საქართველოს რესპუბლიკა

დაარსებულია 1918 წელს.

ოთხშაბათი, 18 ივნისი, 2014 წელი.

№116 (7497)

იმისთანა წმინდა საქმეში, როგორიც ბოჭდვური სიფცვაა, ფცუილებით და ჭირებით ბუნთის გაფანა ყველა უკადრისობაზე უსაძაგლესია.

ელექტრონული ფოსტა: sakresp@mail.ru და sakresp@wanex.ge

ვებ გვერდი: www.open.ge

ფასი 50 თეთრი.

რა მოხდება 16 ივნისის შემდეგ?

რეპრესიები, თუ კვლავ კოჰაბიტა-ციური იდილია? ④

პოროშენკოს ქართველი მრჩევლები ⑤

„შავი ჯიპებიდან არ ჩანს ხალხის პრობლემები“ ②

მარნეულში სრული სიმშვიდეა ④

რა გამოავლინა უკრაინის კრიზისმა? ⑥

„ხელისუფლებამ არჩევნების გაყალბების ცდუნებას პირველად გაუძლო“ ③

ძვირი წამლის ⑥ ფასი

ერთ წელიწადსა და ცხრა თვეში დაკარგული ნდობა

რეიტინგი

2012 წლის 1 ოქტომბერი – 1 181 862 ამომრჩეველი
2013 წლის 27 ოქომბერი – 1 012 569 ამომრჩეველი
2014 წლის 15 ივნისი – 282 760 ამომრჩეველი

თქვენ წარმოიდგინეთ და ეს ციფრები საქართველოს დაუსაქმებელი, სოციალურად დაუცველი, უსამართლოდ დაჩაგრული და ათას უბედურებაგადატანილი ადამიანების რაოდენობის კლებას კი არ წარმოადგენს, არამედ კოალიცია „ქართული ოცნების“ მხარდამჭერთა რაოდენობას.

არადა მართლაც საოცარია, რომ ერთ წელიწადსა და ცხრა თვეში თითქმის მილიონ ნახევარი მხარდამჭერი ზუსტად ხუთჯერ შეუმცირდა.

ამას მართლაც „დიდი მოხერხება სჭირდება“.

გია გაბრიჭიძე

რასაც ჩვენს გაზეთში წაიკითხავ, სხვაგან ვერ ნახავ!..

◎ საარჩევნო სტატისტიკა

თბილისის საკრებულოში ადგილები ოთხმა პოლიტიკურმა ძალამ გაინაწილა

ცესკოს წინასწარი მონაცემების მიხედვით, თბილისის საკრებულოში პროპორციული წესით მანდატების მიღებას ოთხი პოლიტიკური ძალა შეძლებს.

პროპორციული სიით ყველაზე მეტ დეპუტატს საკრებულოში „ქართული ოცნება“ შეიყვანს, რომელმაც პროპორციულ არჩევნებში 150 052 ხმა მოაგროვა, რაც არჩევნებში მონაწილეთა 45.96%-ს შეადგენს.

მეორე ადგილზეა „ერთიანი ნაციონალური მოძრაობა“ 85 326 ხმით, რაც 26.13%-ს შეადგენს.

საკრებულოში პროპორციული სიით მანდატს მიიღებს „ნინო ბურჯანაძე-ერთიანი ოპოზიციაც„, რომელმაც ხმათა 10.35%, 33794 ხმა მიიღო.

ყველაზე ცოტა მანდატი კი „დავით თარხან-მოურავი – საქართველოს პატრიოტთა ალიანსს“ ექნება, რომელმაც ხმათა 6.37% მოაგროვა.

არჩევნებში მონაწილე დანარჩენმა პოლიტიკურმა პარტიებმა 4-პროცენტიანი საარჩევნო ბარიერი ვერ გადალახეს.

თბილისის საკრებულოში პროპორციული სიით 25 დეპუტატი უნდა შევიდეს. ასევე 25 მაჟორიტარული წესით არჩეული დეპუტატი იქნება წარმოდგენილი. უკვე ცნობილია, რომ 25 დან 24 მაჟორიტარულ მანდატს „ქათული ოცნების“ კანდიდატები აიღებენ.

თბილისში თვითმმართველობის არჩევნებში რეგისტირებული 918 661 ამომრჩევლიდან, 342 996 მიიღო მონაწილეობა.

დავით ნარმანიამ და ნიკა მელიამ თავის პარტიებზე მეტი ხმა მიიღეს

თბილისის მერის არჩევნების მეორე ტურში გასულმა კანდიდატებმა თბილისში საკუთარ პარტიებზე მეტი ხმა მიიღეს.

დავით ნარმანიამ, რომელიც „ქართულ ოცნებას“ წარმოადგენს, არჩევნებში 151 474 ხმა, 46.12% მიიღო, მაშინ როდესაც „ქართულმა ოცნებამ“ პროპორციულით სიით 1 422-ით ნაკლები, 150 052 ხმა მიიღო, რაც მონაწილე ამომრჩეველთა 45.9%-ს შეადგენს.

რაც შეეხება ნიკა მელიას, მან არჩევნებში 91 621 ხმა, 27.9% მიიღო. „ერთიანმა ნაციონალურმა მოძრაობამ“ კი 6 295 ნაკლები, 85 326 ხმა მიიღო, რაც 26.13%-ს შეადგენს.

ამასთან, თბილისში თვითმმართველობის არჩევნებში მონაწილეობა 918 667 ამომრჩეველიდან 342 996 ამომრჩეველმა მიიღო, რაც 37.3%-ს შეადგენს.

„ქართულმა ოცნებამ“ ყველაზე მეტი ხმა დედოფლისწყაროსა და საჩხერეში მიიღო

ცესკოს წინასწარი მონაცემების მიხედვით, დედოფლისწყაროში „ქართულ ოცნებას“ არჩევნებში მონაწილეთა 84.46%-მა დაუჭირა მხარი. მხარდამჭერთა რაოდენობით ასევე გამოირჩევა საჩხერეც, სადაც „ქართულმა ოცნებამ“ 83% მიიღო.

ყველაზე ნაკლები ხმა კი, მმართველმა ძალამ გორში მიიღო, სადაც არჩევნებზე მისულთა 35.57%-მა დაუჭირა მხარი.

რაც შეეხება მეორე ადგილზე გასულ „ერთიან ნაციონალურ მოძრაობას“, ყველაზე მეტი ხმა მათ ზუგდიდში – 40.48% მიიღეს, ყველაზე ნაკლები კი მცხეთაში – 4.59%.

თვითმმართველობის არჩევნები 15 ივნისს გაიმართა და საქართველოს მასშტაბით ამომრჩეველთა 43.31%-მა მიიღო მონაწილეობა.

საკრებულოებში „ქართულ ოცნებას“ 811 მაჟორიტარი დეპუტატი ეყოლება

15 ივნისის თვითმმართველობის არჩევნების შედეგად საქართველოს მასშტაბით საკრებულოებში „ქართულ ოცნებას“ 811 მაჟორიტარი დეპუტატი ეყოლება.

საქართველოს მასშტაბით საკრებულოებში არჩეული მაჟორიტარების სტატისტიკა „ქართული ოცნების“ საარჩევნო შტაბის უფროსმა კახი კალაძემ წარმოადგინა.

სტატისტიკის მიხედვით, საკრებულოებში საინიციატივო ჯგუფის მიერ წარდგენილი 128 მაჟორიტარი მოხვდება, „ერთიანი ნაციონალური მოძრაობა“ 64 მაჟორიტარს შეიყვანს საკრებულოებში, „ნინო ბურჯანაძე – ერთიანი ოპოზიცია“ – 28 -ს, „არასაპარლამენტო ოპოზიცია (კახა კუკავა ფიქრია ჩიხრაძე)“ – ოთხს, „საქართვლოს პატრიოტთა ალიანსი“ – სამს, „ქართული პარტია“ – სამს, „საქართველოს ძალოვან ვეტერანთა მოძრაობა“ – ორს, „ლეიბორისტული პარტია“ – ერთს, ქდმ – ერთს.

თვითმმართველობის არჩევნები 15 ივნისს გაიმართა და საქართველოს მასშტაბით მონაწილეობა ამომრჩეველთა 43.31%-მა მიიღო.

რა თანხა დაჯდება არჩევნების მეორე ტური?

2014 წლის ბიუჯეტის ფარგლებში, ადგილობრივი არჩევნებისთვის ჯამში 34. 673. 300 ლარის დახარჯვაა გათვალისწინებული.

ცესკოსთვის ჯერ უცნობია, რა ხარჯის გაწევა იქნება საჭირო არჩევნების მეორე ტურისთვის და არის თუ არა საკმარისი ბიუჯეტიდან გამოყოფილი თანხა.

როგორც ამ თემასთან დაკავშირებით „ინტერპრენიუსს„ ცესკოს დაგეგმვისა და სახელმწიფოს შესყიდვების დეპარტამენის ხელმძღვანელმა ოთარ ბურსკივაძემ განუცხადა, არჩევნების მეორე ტურის ბიუჯეტის გაანგარიშება ახლა მიმდინარეობს და უახლოეს დღეებში გაირკვევა, გახდება თუ არა საჭირო თანხების დამატება.

არჩევნებთან დაკავშირებით ბიუჯეტში რამდენიმე პროგრამა ჩაიდო: არჩევნების ჩატარებისთვის საჭირო პირდაპირი ხარჯი 27 174 500 ლარს შეადგენს. საარჩევნო ადმინისტრაციის თანამშრომელთა ტრენინგებისთვის – 825 500 ლარი, საარჩევნო სუბიექტების სატელევიზიო რეკლამისათვის – 1 200 000 ლარი, ხოლო საარჩევნო სუბიექტების წარმომადგენლების დაფინანსებისათვის – 5 473 300 ლარი.

შესაბამისად, თვითმმართველობის არჩევნების ბიუჯეტი ჯამურად 34 673 300 ლარს შეადგენს.

◎ ინფორმაცია

ბოლოს და ბოლოს რისი უფლება აქვს პრეზიდენტს?

შეგახსენებთ, რომ საქართველოში შეიცვალა კონსტიტუცია და ძალიან ბევრი უფლება, რომელიც ჰქონდა პრეზიდენტს, საქართველოს მთავრობას გადაეცა. ამიტომ ვაგრძელებთ კონსულტაციას, – ასე პასუხობს ფინანსთა მინისტრი ნოდარ ხადური ჟურნალისტების შეკითხვას იმასთან დაკავშირებით, თუ რით არის განპირობებული რუსთაველისა და ეროვნული პრემიების მინიჭების უფლების პრეზიდენტისგან პრემიერის ხელში გადასვლის გადაწყვეტილება.

ამასთან, როგორც ხადურმა ჟურნალისტებს მთავრობის გუშინდელი სხდომის დასრულების შემდეგ განუცხადა, მინისტრთა კაბინეტმა იმსჯელა უშუალოდ იმ წევრთა მიმართებაში, რის მიხედვითაც აღნიშნული პრემიების გაცემა უნდა მოხდეს.

– აქ საუბარია იმაზე, თუ როგორ, რა წესით უნდა გაიცეს სახელმწიფო პრემიები და უნდა გაგრძელდეს კონსულტაცია იმისთვის, რომ სწორედ ყველაზე ღირსეულმა ადამიანებმა მიიღონ ეს პრემია. შეგახსენებთ, რომ შეიცვალა კონსტიტუცია და ძალიან ბევრი უფლება, რომელიც ჰქონდა პრეზიდენტს გადაეცა მთავრობას, ამიტომ ვაგრძელებთ კონსულტაციებს. ამ შემთხვევაში, საუბარია იმაზე, რომ ეს პრეროგატივა გადადის მთავრობის კომპეტენციაში, მაგრამ ამავე დროს კანონმდებლობაში უნდა იყოს ის მქანიზმი, რომ ეს პრემიები ყველაზე საუკეთესო ადამიანებმა აიღონ, – განაცხადა ნოდარ ხადურმა.

ინტერპრესი

◎ ინფორმაცია

იმერეთისა და კახეთის განვითარების პროექტებს სამცხე-ჯავახეთი და მცხეთა-მთიანეთი შეემატება

საქართველოს მთავრობა რეგიონალური განვითარების, კიდევ ერთ, მესამე პროგრამის განხორციელების ირგვლივ მოლაპარაკებებს იწყებს. როგორც ფინანსთა მინისტრმა ნოდარ ხადურმა განაცხადა, შესაბამისი გადაწყვეტილება მინისტრთა კაბინეტმა მიიღო და საკითხზე მოლაპარაკებების დაწყება უშუალოდ ფინანსთა სამინისტროს დაევალა.

– საქართველო წარმატებით ახორციელებს რეგიონული განვითარების ერთ-ერთ პროგრამას, ესაა კახეთის პროექტი. ამას გარდა, ამ დროისთვის მუშაობს იმერეთის პროექტიც. ასევე მთავრობამ მიიღო გადაწყვეტილება და ფინანსთა სამინისტროს დაევალა, რომ დავიწყოთ მოლაპარაკებები, რათა განხორციელდეს მესამე ასეთი პროექტი, – განაცხადა ნოდარ ხადურმა.

მისივე განცხადებით, ახალი პროექტი ორ რეგიონს – მცხეთა-მთიანეთსა და სამცხე-ჯავახეთს მოიცავს და მისი განვითარების ფარგლებში, დაახლოებით 60 მილიონი დოლარის ჩადება მოიაზრება.

შეწყალების კომისიას ახალი ხელმძღვანელი ეყოლება

ალეკო ელისაშვილი სავარაუდოდ შეწყალების კომისიაში ვეღარ დაბრუნდება. ამის შესახებ თავად ალეკო ელისაშვილმა განაცხადა.

როგორც ელისაშვილმა აღნიშნა, ამ საკითხზე საქართველოს პრეზიდენტს შეხვდება და ექნება საუბარი, თუ ვინ იქნება მისი შემცვლელი შეწყალების კომისიაში.

– რამდენადაც ჩემთვის არის ცნობილი, შეთავსებით ორ პოსტზე ყოფნას კანონი კრძალავს და შეუძლებლად მიმაჩნია, განვახორციელო დეპუტატის უფლებამოსილებაც და ვიყო შეწყალების კომისიაშიც. შეწყალების კომისიაში თავდაუზოგავად ვმუშაობდი, ეს ნიშნავს, რომ ერთგან უნდა ვიზარმაცო ან – მეორეგან. ასე არ შემიძლია. პრეზიდენტთან შევათანხმებ, ვინ იქნება ჩემი შემცვლელი კომისიაში. თუმცა, კომისიის ერთ სხდომას დავესწრები, როგორც კომისიის წევრი და არა – თავმჯდომარე, – განაცხადა ალეკო ელისაშვილმა.

ალეკო ელისაშვილი, როგორც დამოუკიდებელი კანდიდატი, თბილისის საკრებულოს წევრობაზე იყრიდა კენჭს. წინასწარი მონაცემებით, მან არჩევნებში გამარჯვება მოიპოვა.

◎ მაჟორიტარის გეგმები

„შავი ჯიპებიდან არ ჩანს ხალხის პრობლემები“

„ქართულმა ოცნებამ“ ხალხის პრობლემები წელიწადნახევარში დაივიწყა, – ამის შესახებ თბილისის საკრებულოს საბურთალოს მაჟორიტარმა დეპუტატმა ალეკო ელისაშვილმა პრესკონფერენციაზე განაცხადა.

ალეკო ელისაშვილმა პრესკონფერენციაზე თვითმმართველობის არჩევნები და წინასაარჩევნო გარემო შეაფასა.

მისი განცხადებით, წინასაარჩევნო გარემო იდეალური იყო, არჩევნების პროცესი ნორმალურად წარიმართა. მისი თქმით, „ქართულ ოცნებას“ ძალიან სურდა თავისი კანდიდატის გამარჯვება, თუმცა არჩევნების შედეგები არ გაუყალბებიათ და იგი დღეს გამარჯვებულია.

ელისაშვილის თქმით, დარწმუნებული იყო, რომ „ქართულ ოცნებას“ პირველ ტურთან დაკავშირებით პრობლემები ექნებოდა. მან არადემოკრატიული უწოდა დავით ნარმანიას კანდიდატურის წარდგენას თბილისის მერად და აღნიშნა, რომ კოალიცია „ქართული ოცნებას“ ამისათვის პრაიმერი უნდა ჩაეტარებინათ და პრაიმერით უნდა გამოვლენილიყო საჭირო კანდიდატი.

„ქართულ ოცნებას“ დაავიწყდა, რომ ხალხი არის უმთავრესი. შავი ჯიპებიდან არ ჩანს ხალხის პრობლემები. „ქართულმა ოცნებამ“ კავშირი გაწყვიტა მოსახლეობასთან და ამიტომ წელიწადნახევრის შემდეგ ასეთი პრობლემების წინაშე დადგა, – აღნიშნა ელისაშვილმა.

იგი მოსახლეობას დაპირდა, რომ მხარდამჭერი იქნება ყველა იმ სასიკეთო ინიციატივის, რომელიც ქალაქს წაადგება და დაუძინებელი მტერი იქნება იმის, ვინც ქალაქის საზიანო ინიციატივას საკრებულოში წარადგენს.

ელისაშვილი მიიჩნევს, რომ დედაქალაქის 785-მილიონიანი ბიუჯეტი ხალხის პრობლემების მოგვარებას უნდა მოხმარდეს. ელისაშვილი საუბრისას ასევე შეეხო იმ საკითხებს, რომლის დაყენებას ახალ საკრებულოში გეგმავს. კერძოდ, დედაქალაქს სჭირდება კვალიფიციური გენგეგმა, რომლის ორგანიზებაშიც იგი ჩაერთვება.

ელისაშვილის თქმით, 2012 წელს დამტკიცებულმა თბილისის გენგეგმამ მოგვიანებით ბევრი ცვლილებები განიცადა, ახალი გენგეგმის შექმნის შემთხვევაში კი, ამას აღარ დაუშვებს.

ერთ-ერთ უმთავრეს საკითხად ელისაშვილს ასევე მიაჩნია, კომპანია „სითი პარკი სათვის“ კონტრაქტის გაწყვეტა. მისი თქმით, ამ კომპანიამ 2007 წელს დადებული ხელშეკრულების არც ერთი ვალდებულება არ შეასრულა. ქალაქში მოგვარებული არ არის პარკინგი, არ აშენებულა მრავალდონიანი მიწისზედა და მიწისქვეშა ავტოსადგომები. ელისაშვილი აცხადებს, რომ გამოსაკვლევია, თუ სად მიდიოდა მილიონობით ლარი, რომელიც პარკინგიდან შედიოდა კომპანიაში. **კერძოდ, ელისაშვილის ინფორმაციით, დედაქალაქში 400 000 მანქანაა, თითოეულ მანქანაზე ყოველწლიური მოსაკრებელი 50 ლარს შეადგენს. ჯამში წელიწადში ეს არის 20 მილიონი ლარი. აღნიშნული თანხიდან კი „სითიპარკი“ თბილისის ბიუჯეტში მხოლოდ 1,200 მლნ ლარს იხდიდა, 18,800 მლნ ლარი კი უცნობია ვის ჯიბეებში ილექებოდა.**

ელისაშვილის განმარტებით, ამას ემატებოდა 10-ლარიანი და 60-ლარიანი ჯარიმებიდან შესული თანხებიც, რაც ჯამში 15 მლნ ლარს შეადგენდა.

ალეკო ელისაშვილის განცხადებით, ჯამში სულ დაახლოებით 35 000 000 ლარამდე თანხა გაურკვეველია ვის ჯიბეებში მიდიოდა.

ელისაშვილი დარწმუნებულია, რომ „სითი პარკთან“ კონტრაქტის გაუქმებაზე თბილისის საკრებულოში ვერც ერთი პარტიის წარმომადგენელი ვერ იტყვის უარს და ამ ინიციატივას ვერ შეეწინააღმდეგება.

ელისაშვილი ასევე გეგმავს, რომ საკრებულოში შევიდეს ინიციატივით, იპოდრომის ტერიტორიაზე თანამედროვე პარკისა და სპორტული მოედნების გაშენების შესახებ. ელისაშვილის თქმით, ყველაფერს გააკეთებს იმისთვის, რომ 52-ე სკოლის ეზოში აშენებული რესტორანი არ ამოქმედდეს.

საძართველოს უმეტეს ქალაქებსა და რაიონებში არჩევნების მეორე ტური ჩატარდება. ექსპერტები მიიჩნევენ, რომ არჩევნებმა ზუსტად ასახა ის გარემო, რაც ქვეყანაში არსებობდა. ჯერ კიდევ არჩევნების წინ კეთდებოდა პროგნოზები, რომ არჩევნებზე მისული ამომრჩევლის რაოდენობა განაპირობებდა არჩევნების შედეგებს და არ იყო გამორიცხული სიურპიზები.

შედარებისთვის – 2006 წლის ადგილობრივ არჩევნებში მონაწილეობა მიიღო ამომრჩეველთა 48,3% , თბილისში აქტივობა 34,5%-ს შეადგენდა. 2010 წელს ამომრჩეველთა 49%, თბილისში 46,7% მივიდა არჩევნებზე. 2014 წელს ამომრჩეველთა 43,3% დაფიქსირდა არჩევნებზე, თბილისში აქტივობამ – 37,3% შეადგინა.

2014 წლის ადგილობრივი თვითმმართველობის არჩევნების შეფასება for.ge-მ ექსპერტ ხათუნა ლაგაზიძეს სთხოვა, რომელიც აღნიშნავს, რომ ეს არჩევნები იყო ხელისუფლების საჩუქარი საზოგადოებისთვის, რადგან ხელისუფლებამ, რომელსაც ყველანაირი ბერკეტი ჰქონდა, არჩევნები გაეყალბებინა, ეს ნაბიჯი არ გადადგა და ხალხს გაუჩინა რწმენა, რომ სწორედ მათი ნება არის განმსაზღვრელი.

„ხელისუფლებამ არჩევნების გაყალბების ცდუნებას პირველად გაუძლო“



ხათუნა ლაგაზიძე: აქტივობას რაც შეეხება, სრულიად ნორმალურია ადგილობრივი არჩევნებისთვის. არა მხოლოდ საქართველოში, უცხოეთშიც შეინიშნება ამომრჩევლის კლება, განსაკუთრებით ადგილობრივი თვითმმართველობის არჩევნებზე. ამომრჩევლის რა რაოდენობაც დაფიქსირდა საქართველოში, სრულიად რეალისტურია.

მეტიც, ხელისუფლებით კმაყოფილების შემთხვევაშიც კი, შესაძლოა, უფრო მეტი ამომრჩეველი არ მოსულიყო – აქ ის ფაქტორიც მუშაობს, რომ წარმატებული ხელისუფლების შემთხვევაში ხალხი დარწმუნებულია მის გამარჯვებაში. გარდა ამისა, რაც უფრო მაღალი რანგის პირს ირჩევენ, მით უფრო დიდია არჩევნებში აქტივობა. აქტივობა იყო სრულიად რეალისტური იმ კრიტერიუმებით, რითაც ხასიათდება ადგილობრივი თვითმმართველობის არჩევნები.

ბოლო ორ არჩევნებს ახასიათებდა ერთი რამ – ეს იყო არა არჩევნები პარტიებს, პლატფორმებს ან პროგრამებს შორის, არამედ სიკვდილ-სიცოცხლეს შორის, გასაგებია, რომ განსაკუთრებით 2012 წლის არჩევნებზე აქტივობა იყო მაღალი. ამ ტიპის არჩევნებში კი აქტივობა ყოველთვის დაბალია, რადგან არსებითად არაფერს ცვლის.

– შეიძლება ითქვას, რომ ეს იყო განსხვავებული არჩევნები? ბოლოს და ბოლოს, პირველი შემთხვევაა, როდესაც მეორე ტური რეალობა გახდა...

– ზუსტად გამართლდა ის პროგნოზი, რასაც წინასაარჩევნოდ ვამბობდი – რომ, თუ ხელისუფლება არჩევნებს არ გააყალბებდა, ქალაქების უმეტესობაში მეორე ტური იყო მოსალოდნელი. ვამბობდი იმასაც, რომ ხელისუფლების გამარჯვება არ იქნებოდა იმის ნიშანი, რომ ხელისუფლებამ მოიგო, არამედ იქნებოდა იმის გამოხატულება, რომ ოპოზიციამ წააგო, ზუსტად ეს რეალობა გვაქვს.

– ხელისუფლების უდიდესი გამარჯვება არის ის, რომ ქართული არჩევნების ისტორიაში ხელისუფლებამ პირველად გაუძლო (არ ვგულისხმობ 2013 წლის საპრეზიდენტო არჩევნებს) გაყალბების ცდუნებას.

– ხელისუფლებამ არ შეცვალა გადაბერილი საარჩევნო სიები, საარჩევნო კომისიებში მარტო ხელისუფლება იყო წარმოდგენილი და სამშვენისად, ზრდილობისთვის, ერთიორი ნაციონალიც ჰყავდათ. ეს ყველაფერი წინასაარჩევნო პერიოდში მიტოვებდა განცდას, რომ ხელისუფლება გასაყალბებლად ემზადებოდა, მაგრამ მან მოახერხა და გაუძლო გაყალბების ცდუნებას.

ხელისუფლება დარწმუნებული იყო საკუთარ გამარჯვებაში, ამას მეტყველებდა ის ფაქტი, რომ ბევრ ქალაქსა და რაიონში ეგზიტპოლის გამოცხადებისთანავე (თუმცა, ეგზიტპოლები განსხვავებული იყო) ფეიერვერკებით აღნიშნეს გამარჯვება. ანუ, მზაობა ჩანდა, რომ არჩევნები შეიძლებოდა გაყალბებულიყო. შემდეგ აღმოჩნდა, რომ, თურმე, მეორე ტური იქნება.

– დარწმუნებული ვარ, მაინც ბიძინა ივანიშვილის ფაქტორმა იმუშავა და გადაარჩინა ძალიან ახალგაზრდა და მყიფე ქართული დემოკრატია. თუ ამ ხელისუფლებას სამომავლოდ რაიმე პლუსში ჩაეწერება, ეს არ იქნება არც ეკონომიკური და სოციალური ზრდა, არც მასშტაბური საინვესტიციო პროექტები, არც მყარი პარტიული სტრუქტურების მშენებლობა, არამედ ის, რომ ამ ხელისუფლების პირობებში უკვე მეორედ, ღიად ტარდება დემოკრატიული და სამართლიანი არჩევნები, რაც შეუქცევადი პროცესი შეიძლება გახდეს ქართული სახელმწიფოსთვის.

– ძალიან იოლია ხელისუფლების კრიტიკა და ბოლო თვეებია, ამ კრიტიკას არ ვაკლებ, მაგრამ როგორც მოქალაქეს მართლა ძალიან მიხარია, რომ ამ ხელისუფლებამ შეძლო ის, რაც ვერ შეძლო ვერც ერთმა წინა ხელისუფლებამ. ვფიქრობ, მაინც ბიძინა ივანიშვილის პოლიტიკურმა ნებამ განაპირობა, რომ საქართველოში არ გაყალბდა არჩევნები.

საზოგადოებისთვის ეს არჩევნები ერთ-ერთი ყველაზე დიდი საჩუქარი იყო, ამ ხელისუფლებამ ამითი ყველაზე მავნე ტრადიცია დაარღვია და საკუთარ საზოგადოებას სცა პატივი, იმით, რომ არჩევნები არ გააყალბა.

– პირველადი მონაცემებით 46% აქვს „ოცნების“ თბილისის მერობის კანდიდატს, 27% აიღო ნაციონალების კანდიდატმა. თუ ხალხი ხელისუფლებით უკმაყოფილოა (ვიცით, რომ ორი წლის წინ ნაციონალებსაც უარი უთხრა), წესით, ხელისუფლებით და ნაციონალებით უკმაყოფილო ხმები უნდა შეესრუტა მესამე პოლიტიკურ ძალას, თუმცა აღმოჩნდა, რომ ბურჯანაძის კანდიდატი მხოლოდ 12%-ით მოხვდა მესამე ადგილზე. თქვენი შეფასებით, რა მოხდა, რატომ არ მისცა ხალხმა ხმა მესამე პოლიტიკურ ძალას?

– ძალიან მარტივი პასუხია – ხალხი არ ენდობა. არ ენდობა მათ პროფესიონალიზმს, კვალიფიკაციას და ა.შ. არ არის ისეთი პოლიტიკური ძალა, რომლის ხილვასაც ხელისუფლებაში ისურვებდნენ.

– თუმცა, ლოგიკურად, „ნაციონალური მოძრაობაც“ არ არის ის ძალა...

– აქ სხვა ფაქტორი მუშაობს – „ნაციონალური მოძრაობა“, მოსწონს ვინმეს თუ არა, ერთადერთი ორგანიზებული პარტიული სისტემის მქონე პოლიტიკური ძალაა საქართველოში და ამიტომაც დადო მან ეს შედეგი. მაგრამ ეს არ ნიშნავს იმას, რომ ამომრჩეველთა მთელ სპექტრში მას მხარს უჭერს 27%, ეს არჩევნებზე მისული ხალხის, ანუ 37,3 %-ის 27%-ია. რეალურად, ეს მთელი ამომრჩევლის დაახლოებით 15%-ია. იმის გამო, რომ ისინი იდეოლოგიურად შეკრულები არიან, მოტივირებულები, აქვთ გამართული პარტიული სტრუქტურა და დღესაც კი დასავლეთის მხარდაჭერა აქვთ, სარგებლობენ ბევრი მედიასაშუალების სიმპათიით. აქედან გამომდინარე, ახერხებს, რომ საკუთარი ამომრჩევლის სრული მობილიზება მოახერხოს. მაშინ, როდესაც სხვა არც ერთ პარტიას მყარი ელექტორატი არ ჰყავს და ესეც პრობლემაა.

სამომავლოდ ბუნებრივია, ასეთი შედეგები ხელისუფლებისთვის განგაშის ზარის შემოკვრის საფუძველი უნდა გახდეს.

– 2016 წელს გვექნება საპარლამენტო არჩევნები, რომელზეც უკვე დამოკიდებული იქნება, რომელი ძალა მოვა ქვეყნის ხელისუფლებაში. როგორ ფიქრობთ, ხელისუფლება გაითვალისწინებს იმ შეცდომებს, რომელიც დაუშვა?

– არ ვარ დარწმუნებული. თუ ხელისუფლებამ ასე გააგრძელა სახელმწიფო სტრუქტურების დეზორგანიზაცია, საზოგადოებისგან დაშორება, ყველა სახის კვალიფიციურ ჯგუფებთან კონფრონტაციულ და იგნორირების რეჟიმში ყოფნა, გარანტიას გაძლევთ, მომავალ, საპარლამენტო არჩევნებზე ეს ხელისუფლება უმცირესობაში აღმოჩნდება.

არ ვიცი, გაითვალისწინებენ თუ არა, მაგრამ უკვე სენად ექცათ, არავისი აზრი არ უნდათ შეისმინონ, აგრესიით უდგებიან ყველაზე რაციონალურ მოსაზრებასაც კი და ეს მათი პრობლემაა და არა – საზოგადოების.

რამდენადაც ვიცი, ეს შედეგი რომ დადგებოდა, ძალიან კარგად იცოდნენ, მაგრამ სირაქლემის პოზა არ მოიშორეს. მათ ხომ არავინ სჭირდებათ. არც ცნობილი სახეები, არც საზოგადოებისთვის ავტორიტეტული ადამიანები, არც ექსპერტული აზრი, არც კვალიფიციური და პროფესიული ჯგუფების კონსულტაცია. როგორი „უნივერსალებიც“ აღმოჩნდნენ, ეს კარგად აჩვენა შედეგებმა.

– რა შედეგებიც დაიდო, კიდევ ბევრია იმ საქმიანობასთან შედარებით, რასაც ხელისუფლება ეწეოდა ამ წელიწადნახევრის განმავლობაში.

– კიდევ ვიმეორებ, ამ არჩევნების სახით უდიდესია ამ ხელისუფლების წვლილი, დემოკრატიული პროცესის მშენებლობაში, ხალხი დარწმუნდა, რომ მის ნებას აქვს აზრი და მნიშვნელობა. მაგრამ არის მეორე მხარეც - ეკონომიკური და სოციალური პრობლემები, პლუს დეზორგანიზებული სახელმწიფო სტრუქტურები. გარდა ამისა, ძალიან ადრე დაშორდნენ საზოგადოებას. ეს უპირველესად მათ სიებსა და კანდიდატურებზე აისახა.

რატომ ეგონა ვინმეს, რომ საკრებულოს წევრთა კანდიდატების მათ მიერ წარმოდგენილ სიას ასე თვალდახუჭული „გადაყლაპავდა“ ამომრჩეველი? ვის თავში მომწიფდა იდეა, რომ ამდენი უცნობი, უავტორიტეტო და უცნობი თუ არა, უსახური ხალხი შეეთავაზებინათ ამომრჩევლისთვის? ხომ ნახეს, რომ ეს შეუძლებელი ყოფილა. ჰყავდათ სიაში ღირსეული კანდიდატებიც, მაგრამ ეს ზღვაში წვეთი იყო და ის შედეგი, რაც მიიღეს, ამ მოცემულობისთვის გადაჭარბებულიც კი იყო.

– ოპოზიცია როგორც აცხადებს, მთავარი როლი ხელისუფლების შეუსრულებელმა დაპირებებმა ითამაშა, იმაში, რომ მეორე ტურამდე მივიდა საქმე...

– სწორედ ამას ვამბობ, რომ ხელისუფლება აბსოლუტურად არაეფექტურია თითქმის ყველა სფეროში. საგარეო პოლიტიკაში კიდევ ინერციით მივდივართ, ევროკავშირისკენ სვლა წარმატებით მიმდინარეობს და იმედია, დარჩენილ 10 დღეში აღარაფერი შეიცვლება. ასევე გარკვეულწილად, პლუსად შეიძლება ჩაუთვალო ამ ხელისუფლებას, კონფრონტაციული ფონის მოხსნა რუსეთთან, მაგრამ მეორე მხრივ, არ აქვთ ჩამოყალიბებული ხედვები, იგივე საგარეო მიმართულებით. ყველგან აბსოლუტური ქაოსია და მენეჯმენტის გაურკვევლობა. არანაირ კრიტიკას არ უძლებს აღმასრულებელი ხელისუფლების ურთიერთობა პრეზიდენტთან.

რა შეიძლება მოჰკითხო ხელისუფლებას, რომელიც დავობს იმაზე, ვინ გადასცემს სახელმწიფო სტიპენდიას და ვინ დაჰკიდებს ორდენს? – თურმე პრობლემებში ჩაძირული ქვეყნის ხელისუფლების მთავარი პრობლემა ეს არის. გაცილებით სავალალო თემა – აფხაზეთსა და სამხრეთ ოსეთზე უკრაინაში განვითარებული მოვლენების ფონზე, ხელისუფლების სამი უმაღლესი თანამდებობის პირი, რომელიც პასუხისმგებელია ქვეყნის უსაფრთხოებაზე – პრემიერი, პრეზიდენტი და თავდაცვის მინისტრი სამ ურთიერთგამომრიცხავ განცხადებას აკეთებს. გნებავთ, გარეშე მაყურებლის თვალით შევხედოთ ამას და გნებავთ, შიდა გულშემატკივრის. რას შეიძლება ელოდე ხელისუფლებისაგან, რომელიც ასეთ, სასიცოცხლოდ მნიშვნელოვან საკითხზეც კი ვერ ახერხებს ერთიანი პოზიციის ჩამოყალიბებას?! სწორედ ამ ყველაფრის შესაბამისი შეფასება მისცა საზოგადოებამ ამ არჩევნებზე.

– შესაძლოა, ხელისუფლება იმიტომაც არის მოდუნებული, რომ დარწმუნებულია, ხალხი არ დაუშვებს „ნაციონალური მოძრაობის“ ხელისუფლებაში მობრუნებას, ხოლო მესამე პოლიტიკური ძალა, რომელიც კონკურენციას გაუწევდა, არ ჩანს?

– ნაციონალების რეანიმაცია მათი დიდი დამსახურებაა. „ნაციონალურ მოძრაობას“ დღეს მორალური უფლებაც არ აქვს, იყოს მთავარი ოპოზიციური ძალა და საზოგადოება მას ასე ხედავს, თუმცა, ეს ხელისუფლება ყველანაირად შეეცადა, მთავარ ოპოზიციურ ძალად შეენარჩუნებინა, თუნდაც იმით, რომ დებატებში მარტო „ნაციონალურ მოძრაობას“ უჯდებოდნენ და აღიარებდნენ ერთადერთ ოპონენტად. ეგონათ, რომ მარტივი იქნებოდა ნაციონალებთან გამკლავება. ნებისმიერ თემაზე, რომელიც არაკომფორტული იყო მათთვის, ამბობდნენ, რომ „ნაციონალურმა მოძრაობამ“ ააგორა. ვინც მათთვის არაკომფორტულ თემას ეხებოდა, აქეთ სდებდნენ ბრალს, რომ ნაციონალების აგორებულ თემას აპიარებდა და ა.შ. ნაციონალები ფარად ჰყავდათ აფარებული, კრიტიკული აზრის იგნორირებისთვის და რაც მიიღეს შედეგად, ნახეს.

„ნაციონალური მოძრაობა“ ფენიქსივით არის და თუ ასე გააგრძელა ხელისუფლებამ, ნახავს, რაც მოჰყვება ამას. არ ვარ მომხრე იმ აზრის, რომ მომავალ საპარლამენტო არჩევნებზე ნაციონალები მობრუნდნენ ხელისუფლებაში, მაგრამ თვალნათლივ ვხედავ, ამ ხელისუფლებასაც და „ნაციონალურ მოძრაობასაც“ მომავალ საპარლამენტო არჩევნებზე ერთიანად ჩარეცხავს ხალხი. „ნაციონალური მოძრაობა“ შეიძლება, კიდევ უფრო მყარად იყოს წარმოდგენილი, ვიდრე ეს ხელისუფლება.

ამ არჩევნებმა გვაჩვენა, რომ პოლიტიკური სივრცე ღიაა ახალი პოლიტიკური სახეებისთვის და ახალი პოლიტიკური ძალისთვის, რომელიც რეალური პოლიტიკური პროგრამით შემოვა. არა იმიტომ, რომ მიშა, შევარდნაძე, ან ზვიადი მოაშორონ, არამედ შემოვა რეალური აღმშენებლობისთვის. დღეს არც ერთი პოლიტიკური ძალა ქვეყნის განვითარებისთვის რეალურ საშიშროებას აღარ წარმოადგენს.

– ლევან ვასაძის პოლიტიკაში შემოსვლა-არშემოსვლაზე დროდადრო დისკუსიები იმართება-ხოლმე, მის შემოსვლას გულისხმობთ?

– არ ვამბობ, რომ ეს ადგილი ვასაძეს უნდა დაეთმოს, თუმცა, რადიკალური ძალები ამით, რა თქმა უნდა, ისარგებლებენ. არ ვამბობ, რომ ვასაძისთვის არის ასპარეზი თავისუფალი. ამ საზოგადოებამ ძალიან ბევრი ქარიზმატული ლიდერი იწვნია და არ მგონია, ვინც კი ოდესმე გვყოლია, ყველაზე მეტად ქარიზმატულზე შეაჩეროს არჩევანი – ვასაძე ათი თავით აჭარბებს გამსახურდია-სააკაშვილს, ერთად აღებულს თავისი ქარიზმითა და პოპულიზმით – იქნება, რადიკალურად განწყობილი ნაწილი, სადაც ის თავის ნიშას მონახავს, მაგრამ ვლაპარაკობ ჯანსაღ ძალებზე, ვინც რაციონალურად მიუდგება ქვეყნის განვითარებას.

– რომელიც არ ჩანს...

– ეს არ ნიშნავს, რომ არ გამოჩნდება.

ლალი ზირაქიშვილი.

◎ რა მოხდება 16 ივნისის შემდეგ?

რეპრესიები, თუ კვლავ კოჰაბიტაციური იდილია?

ირაკლი ღარიბაშვილის ნათქვამმა – **„ნაციონალები სამუდამოდ უნდა მოვაშოროთ ხელისუფლებასო“ – „ქართული ოცნების“ რადიკალურად განწყობილ მომხრეებს იმედის ნაპერწკალი გაუჩინა. ზოგიერთები მოუთმენლად ელიან, რომ არჩევნების შემდეგ კოჰაბიტირებულ და მორატორიუმგამოცხადებულ ნაციონალებზე სერიოზული შეტევა დაიწყება. უმრავლესობის წევრის, დავით ლორთქიფანიძისთვის ბათუმში ევროპის მოედანზე პრემიერის მიერ გაკეთებული ეს განცხადება მეტად საყურადღებო აღმოჩნდა. მისთვის ეს იძლევა სტიმულს, რომ ნაციონალების მიმართ ადგილობრივი არჩევნების შემდეგ რადიკალურად შეიცვლება მიდგომები.**

ასევე მკვეთრად აღიქვეს ნაციონალებმა ირაკლი ღარიბაშვილის უფრო ადრეული განცხადებებიც – **„ერთიანი ნაციონალური მოძრაობა პოლიტიკური რადარიდან ქრება“; „ის არ უნდა დარჩეს არც ერთ მუნიციპალიტეტში“; „ეს არის შედეგი იმისა, რაც დათესეს წლების განმავლობაში, ეს არის მათი საქმიანობის შედეგი და ეს ყველაფერი კანონზომიერია“; („ნაციონალების“) არც ერთი ნარჩენი არ უნდა დავტოვოთ“.**

პიარის თვალსაზრისით, შიდა მოხმარებისთვის ღარიბაშვილის სწორად გათვლილი ეს მესიჯები ხომ არ იქნება წამგებიანი „ოცნებისთვის“ საგარეო ასპარეზზე, რომლის ტრიბუნასაც ნაციონალები გამუდმებით იყენებენ და ახალ ხელისუფლებას ძირითადი ოპოზიციური პარტიის განადგურების მცდელობაში ადანაშაულებენ?! როგორი რეალობა იქნება 16 ივნისის შემდეგ? დაიწყება თუ არა ნაციონალების სერიოზული დევნა და არიან თუ არა ნაციონალები პოლიტიკური „განადგურების“ მოლოდინში?

ნაცმოძრაობის წევრი **ზურაბ ჭიაბერაშვილი** არჩევნებამდე დევნის შესახებ საუბრობს და თეთრიწყაროში, საგარეჯოსა და თელავში მომხდარ დარღვევებზე ამახვილებს ყურადღებას. კონკრეტულად, იგი აცხადებს, რომ „ქართული ოცნების“ მიერ მესტიის თემის გამგებლობის კანდიდატად წარდგენილი პირის – კაპიტონ ჟორჟოლიანის ძმა, მესტიის მუნიციპალიტეტის მულახის თემში მცხოვრებ ლამზირა ხარძიანის მიმართ ახორციელებდა მუქარას სოციალური დახმარების მოხსნით, თუ ის არ გამოხატავდა კანდიდატის – კაპიტონ ჟორჟოლიანის მხარდაჭერას.

ხოლო №7 ჩუღურეთის საარჩევნო ოლქის №36 საუბნო საარჩევნო კომისიის წევრი ზურაბ მელაძე ტელეკომპანია – „ობიექტივის“ პირდაპირ ეთერში საჯაროდ ახოციელებდა „ერთიანი ნაციონალური მოძრაობის“ საწინააღმდეგო კამპანიას. ასეთი ფაქტები კი, ჭიაბერაშვილის აზრით, არაერთია.

„საქართველოს მთავრობა აბსოლუტურად არის მოწყვეტილი რეალობას და მისი გამოფხიზლების ერთადერთი შანსი 15 ივნისია“, – მიიჩნევს ნაციონალი **გოკა გაბაშვილი.**

თუმცა, რა მოხდება 15 ივნისის შემდეგ, ამის შესახებ ექსპერტებსა და ნაცმოძრაობის წევრებს განსხვავებული მოსაზრება აქვთ.

ექსპერტი გია ხუხაშვილი For.ge-სთან საუბარში არ მალავს, რომ მისი სურვილია, ხელისუფლებამ ასეთი ტიპის განცხადებები არ გააკეთოს და ოპონენტებს სპეკულაციის აგებისა და პოლიტიკურ დევნაზე საუბრის საშუალება არ მისცეს. თუმცა, საარჩევნო კამპანიას ახასიათებს გარკვეული ექსპრესიულობა და ირაკლი ღარიბაშვილის ნათქვამიც სწორედ ექსპრესიულობის გამოვლენა უნდა იყოს და არა - პოლიტიკური პროგრამა, რასაც ჯერ კიდევ ახალგაზრდა პრემიერი დაღვინების შემდეგ მომდევნო არჩევნებზე აღარ იტყვის.

„არჩევნების შემდეგ პოლიტიკურ დევნას არ ველი. საზოგადოებისგან მსჯავრდებული ფიგურანტები გვყავს, მაგრამ ისინიც კი, ზოგიერთები პოლიტიკური თავშესაფრის ქვეშ არიან, ზოგი უბრალოდ გაქცეულია, ზოგი თბილისში აღარ არის და ვერ ხდება მისთვის სასჯელის მისჯა. ვფიქრობ, პირიქითაა საქმე – სამართალი ჯერ არ დამდგარა ქვეყანაში. ამ ფონზე საუბარი პოლიტიკურ დევნაზე და არჩევნების შემდეგ პოლიტიკურ რეპრესიებზე, ღრმად არასერიოზულია. ვინც დამნაშავეა, აგებს პასუხს, მაგრამ უდანაშაულოს დაჭერა ღარიბაშვილის პოლიტიკური ამოცანა არ არის. ვინმეს რომ ჰქონდეს ასეთი პროგრამა, მიუხედავად ჩემი „თბილი დამოკიდებულებისა“ ნაციონალური მოძრაობის მიმართ, მეც მათი ერთ-ერთი დამცველი გავხდები. საერთოდ, ვისაც ცუდის გაკეთება უნდა, ან რეპრესიებს გეგმავს, ის ამაზე არც ლაპარაკობს და ცუდ საქმეს ისე აკეთებს“, – აღნიშნა გია ხუხაშვილმა.

საზოგადოებრივი კომუნიკაციების მართვის სპეციალისტი, **არჩილ გამზარდია** For.ge-სთან საუბარში აცხადებს, რომ ირაკლი ღარიბაშვილს ახასიათებს ე.წ. სიტყვა-დეკორაციები, რომლებსაც განსაკუთრებული მნიშვნელობა არა აქვს და მხოლოდ დეკორატიული მნიშვნელობისაა, ანუ სიტყვის გასაფორმებლად გამოდგება.

„ეს უფრო შიდა მოხმარებისთვისაა გათვლილი, რამდენადაც აქ იგულისხმება საზოგადოების დიდი ნაწილის ნეგატიური დამოკიდებულება ნაცმოძრაობასთან მიმართებით. ნინო ბურჯანაძის პარტია ძირითად შანსებს მოითვლის სწორედ „ოცნების“ პასიური ქმედების გამო ნაციონალებთან მიმართებით. ამიტომ პრემიერის მძიმე ფრაზები გულისხმობს, რომ „ოცნებამ“ ეს აუდიტორიაც არ გაუშვას ხელიდან. ეს არ არის შემთხვევითი წამოცდენები, ეს გააზრებულად გამოთქმული ფრაზებია. 2 ოქტომბრიდან მოყოლებული, ნაცმოძრაობა აცხადებს, რომ მათ „ქართული ოცნება“ განადგურებას უპირებს. მაგრამ ფაქტია, ისინი დღემდე ერთ-ერთ ყველაზე აქტუალურ პარტიად რჩებიან, საპარლამენტო წარმომადგენლობად, ანგარიშგასაწევ ძალად. ნაცმოძრაობა არათუ ნადგურდება, მშვენივრადაც გრძნობს თავს. ამიტომ უცხოელებიც ნახავენ, რომ ნაცმოძრაობის შეფასებები არაადეკვატურია. თუკი ნაცმოძრაობას ამგვარი განცხადებები ხშირი ექმნება, საკუთარი თავის დისკრედიტაციას უფრო მოახდენენ, ვიდრე – პრემიერის დისკრედიტაციას, – აცხადებს არჩილ გამზარდია და 16 ივნისის შემდეგ რაიმე განსაკუთრებულს არ ელის ნაცმოძრაობასთან მიმართებით. მით უფრო, რომ მთელი ამ ორი წლის განმავლობაში ჩვენ არ შევხვედრივართ ტოტალურ პოლიტიკურ რეპრესიებს მოწინააღმდეგეებთან მიმართებით.

ნაცმოძრაობის ერთ-ერთი ლიდერი **გიორგი ვაშაძე** ჩვენთან საუბარში ადასტურებს, რომ ნაცმოძრაობა არჩევნების შემდეგ რეპრესიებს ელის, რადგან „ქართულ ოცნებას“ ერთადერთი გზა დარჩენია, ნაცმოძრაობის მიმართ სრულ თავდასხმაზე გადავიდეს.

„ხედავთ, რაც ხდება ჩვენს კანდიდატებთან მიმართებით წინასაარჩევნოდ. დარწმუნებული ვარ, ამას გააგრძელებენ, რადგან საქმის კეთება არ იციან. ეს ეტყობა რაიონებს, მთელი დასავლეთ საქართველო შემოვიარე და ბოლო ორი წლის განმავლობაში არსად არაფერი გაკეთებულა. ამ ყველაფრის გადასაფარად სჭირდებათ პოლიტიკური ოპონენტების განეიტრალება დაჭერით, დაბარებებით, მაგრამ არ დავანგრევინებთ საქართველოს, არ დავუშვებთ ჩამოშლას. იმ რაიონებში, სადაც გავიმარჯვებთ, ვაჩვენებთ, რა არის საქმის კეთება. ხელზე დაიხვიეს, თქვენ ხოცავდითო, მე ნაცმოძრაობაში 2012 წელს შევედი არჩევნებამდე, ნაცმოძრაობაში ვინც იყო დამნაშავე, ყველა მათთან არის გადაბარგებული. სწორედ მათზე დაყრდნობით აპირებენ არჩევნების მოგებას. კუდს უბრალოდ სახელი შეეცვალა, სუსი დაარქვეს, თორემ შინაარსი გაუარესდა. არჩევნების შემდეგ რამდენს დაიჭერენ?! ერთს დაიჭერენ, მეორე იქნება, იმდენი ვართ, სასჯელაღსრულებით დაწესებულებაში მაგდენი ადგილი არ აქვთ. ყველა ჩვენს მხარდამჭერს ვერ დაატევენ თავიანთ ციხეებში“, – გვითხრა გიორგი ვაშაძემ.

მანანა ნოზაძე

◎ რეპორტაჟი

მარნეულში სრული სიმშვიდეა

სტატისტიკით დავიწყებ.

ცესკოს მონაცემებით, 2014 წლის 15 ივნისის თვითმმართველობის არჩევნებისთვის ამომრჩეველთა საერთო რაოდენობა მარნეულის საარჩევნო ოლქში სულ 96000-ია. გამგებლობის კანდიდატებად რეგისტრირებულები იყვნენ მერაბ თოფჩიშვილი – ქართული ოცნება; ახმედ იმამყულიევი – ერთიანი ნაციონალური მოძრაობა; ნელი კილინკაროვა – მომავალი საქართველო; ზვიად შუბითიძე – საქართველოს ძალოვან ვეტერანთა და პატრიოტთა პოლიტიკური მოძრაობა; რაშიდ მამედოვი – ნინო ბურჯანაძე-ერთიანი ოპოზიცია; შამილ ახუნდოვი - არასაპარლამენტო ოპოზიცია (კახა კუკავა, ფიქრია ჩიხრაძე).

საკრებულოს არჩევნებში მონაწილეობდა 9 საარჩევნო სუბიექტი და 80-ზე მეტი მაჟორიტარი კანდიდატი.

გადავწყვიტე თავდაპირველად ახმედ იმამყულიევს, ნაციონალური მოძრაობის კანდიდატს გავსაუბრებოდი. დილის რვა საათზე პირდაპირ საარჩევნო შტაბში ვესტუმრე და ვთხოვე, მოეთხრო, რაც წინ უსწრებდა არჩევნების დღეს. იგი ჩემი პირველი რესპოდენტი შემთხვევით არ ყოფილა, რადგან სწორედ ახმედის სახელს უკავშირდებოდა ბოლო დღეების მარნეულში განვითარებული მოვლენები. ამის თაობაზე მკითხველებმა მასმედიის საშუალებებით კარგად იციან და თავს არ შეგაწყენთ.

– ბატონო ახმედ, სააპელაციო სასამართლოს გადაწყვეტილებით, საარჩევნო სიაში თქვენი კანდიდატურის აღდგენას წინ რა უძღოდა?

– 30 მაისს „ქართული ოცნების“ ერთ-ერთმა აქტივისტმა, ალი მამედოვმა თავის ფეისბუკის გვერდზე განათავსა პოსტი, სადაც პირდაპირ მიმართავდა მეგობრებს: „ფრთხილად იყავით, მარნეულელებო, განსაკუთრებით ოცნების ხალხო, რადგან ნაცები აპირებენ გარდაბნის მსგავსი პროვოკაციის მოწყობას და არ დაუშვათ ნაციონალური შუღლის გაღვივება“. ხუთი დღის შემდეგ საოლქო საარჩევნო კომისიაში ერთ-ერთმა არასამთავრობო ორგანიზაციამ განცხადება შეიტანა იმის თაობაზე, რომ თითქოს მე, ახმედ იმამყულიევი ბოლო ორი წელი არ ვცხოვრობდი მარნეულში. ეს ასე არ იყო და ჩვენ ეს დავამტკიცეთ. შესაბამისად, აღდგა კანდიდატთა თავდაპირველი სია.

– რა შედეგს ელოდებით?

– სრულ და სამართლიან გამარჯვებას.

* * *

საუბარი რომ დავასრულეთ, ჯერ ისევ დილა იყო, თუმცა უკვე საკმაოდ ცხელოდა და ივნისის მზე „ცეცხლებრ შემწუელი“ მხურვალებით იმუქრებოდა.

ვიფიქრე, ჩრდილში სულს მოვითქვამ-მეთქი და ერთ-ერთი საარჩევნო უბნის წინ პირდაპირ ღია ცის ქვეშ განლაგებულ საჩაიეს შევაფარე თავი. საჩაიე კაცებისაა და როგორც კი შემნიშნეს, ყურადღების ცენტრში აღმოვჩნდი. მარნეულელებს უცხოსთან საუბარი არ უჭირთ, თუმცა რამდენად გულწრფელნი არიან, ამას ან მიხვდები, ან ვერა. ჩემი კითხვები, თუ რას ფიქრობდნენ ადგილობრივ არჩევნებზე, ვის ანდობდნენ მარნეულის მომავალსა და რას მოითხოვდნენ თავისი რჩეულისგან, მათთვის საინტერესო აღმოჩნდა. საუბარი თავდაპირველად რუსულ ენაზე დავიწყეთ, მაგრამ მალე შლიაპიანი ხნიერი მამაკაცი შემოგვიერთდა და ჩემს საპატივსაცემოდ, ჩიქორთულად, მაგრამ მაინც ქართულად მიპასუხა:

– აქ ჩვენ ყუელანი ერტ კანდიდატს ვუჩერთ მხარს. ეს ახმედ იმამკულიევია. აქაური ბიჩია და იცნობთ. ბოლო-ბოლო, ოცი ცელი აზერბაიჯანელი გამგებლი არა ყავს მარნეულს“.

მართალია, თანამოაზრეებს ნათქვამის ნახევარიც არ ესმოდათ, მაგრამ მაინც კვერს უკრავდნენ.

უკვე ჩამოცხა. ასეთ დროს კაცი ჩრდილს აედევნება ხოლმე, მაგრამ აღარც ჩრდილია და არც სხვა რამ თავშესაფარი. ვაჩერებ ტაქსის და ჩემს მეგობარ ნათია ხარშილაძეს გაუფრთხილებლად ვადგები კარზე. მანამდე მძღოლმა ნადირ მამედოვმა მარტო მარნეულისა კი არა, ქვეყნის გადარჩენის ძალიან საინტერესო ვერსია გამანდო: **„ჩემთვის სულერთია, ვინ მოვა. მთავარია 27-ში ხელი მოვაწეროთ და ორ წელიწადში ყველაფერი კარგად იქნება“.**

ნადირს ამის სჯერა, ოღონდ არ იცის, ხელს რას და რატომ ვაწერთ.

ნათია დიდი ხნის უნახავივით გადამეხვია, თან მომიბოდიშა, არჩევნებზე მივდივარ და ცოტა ხნით მარტო უნდა დაგტოვოო. ვის აძლევ ხმას-მეთქი, ვკითხე და, რა თქმა უნდა, მერაბ თოფჩიშვილსო. რატომ მაინცადამაინც მაგას-მეთქი.

– სიმართლე რომ გითხრა, ჩემთვის პრინციპული მნიშვნელობა არა აქვს, გამგებლად ვინ იქნება. მთავარია, მარნეულელი ხალხი უყვარდეს და მათთვის გააკეთოს რამე. წინა მთავრობამ გზები დააგო, ქალაქი გაანათა; პოლიცია მუშაობს, რაც ჩემთვის, როგორც დედისთვის, მთავარია, რადგან ჩემი 16 წლის ბიჭის საღამოობით გარეთ გაშვების აღარ მეშინია. თუმცა, ეს საკმარისი არაა. როგორც მახსოვს, ყველა დროის მთავრობა გვპირდებოდა ქალაქის წყალმომარაგების გაუმჯობესებას, მაგრამ დღემდე ონკანში წყლის წამოსვლის ხმას ვდარაჯობთ, რადგან არ ვიცით, რა დროს და რამდენი ხნით წამოვა. მერაბ თოფჩიშვილმა უკვე გაგვაცნო თავი, როგორც სიტყვის პატრონმა გამგებელმა.

ელევატორისკენ, ლტოლვილების დასახლებაა ხომ იცი, იქ სამი მთავრობის გასაკეთებელგაუკეთებელი მერაბმა მოაგვარა. სახნავ-სათესი მიწები ოჯახებს საკუთრებაში გადასცა და ახლა საცხოვრებელ სახლებსაც უშენებს. ამიტომაც ვენდობი.“

მერე საქმიანად მითხრა, გავიქეციო და გავარდა.

უმასპინძლო სახლში რა გამაჩერებდა და ავედევნე. ჩემი მეგობარი მალე უახლოეს საარჩევნო უბანში შევიდა. ხალხის სიხალვათემ გამაოცა. დილით ვიფიქრე, ადრეა და ჯერ არ გაულვიძიათ-მეთქი. მერე, სიცხეა და გარეთ სიარული ჭირს-მეთქი. ახლა რა ვიფიქრო, აღარ ვიცი. არადა, მართლა არ მომჩვენებია. საღამოს გავრცელებულმა ცესკოს მონაცემებმა, რომ ამომრჩეველთა აქტივობა ყველაზე დაბალი შიდა და ქვემო ქართლში იყო, ჩემი ეჭვი გაამართლა.

ღამით მარნეული ერთბაშად გამოცოცხლდა. ქუჩებში ხალხი ჯგუფებად შეკრებილიყო და დაშლას არა ჩქარობდა. დაქროდნენ 41-ის დროშიანი მანქანები და გაისმოდა გაბმული სიგნალების ხმა. „ქართული ოცნების“ მხარდამჭერები გამარჯვებას ზეიმობდნენ.

სტატისტიკით დავიწყე და ამითვე დავასრულებ.

16 ივნისის დილის 12 საათის ცესკოს მონაცემებით, გამგებლის კანდიდატთა შედეგები ასეთია: მერაბ თოფჩიშვილი – 52,44%; ახმედ იმამყულიევი – 31,86%; ნელი კილინკაროვა – 0,55%; ზვიად შუბითიძე – 2,26%; რაშიდ მამედოვი – 12,3%; შამილ ახუნდოვი – 0,58%.

სულიკო ედიშერაშვილი

◎ პიარაკვარიუმი

პოროშენკოს ქართველი მრჩევლები

ვითომ ქართული სენსაციები აკლდა მსოფლიოს, რომ ახლა კიდევ უკრაინიდან გამოჟონილმა უცაბედმა ნიუსმა გადაურბინა პლანეტას. აბა რა იქნებოდა, როცა „შოკოლადის მეფედ“ წოდებულმა პეტრე პოროშენკომ არჩევიდან რამდენიმე საათში განაცხადა, მრჩევლად საქართველოს მოქალაქე მეყოლებაო. ეს ამბავი ჯერ გაციებულიც არ იყო, როცა გაირკვა, რომ უკრაინის ახალ პრეზიდენტს ერთი კი არა, თურმე საქართველოს ორი მოქალაქე ეყოლება მრჩევლად – მიხეილ სააკაშვილი და კახა ბენდუქიძე, ამასთან დაკავშირებით ექსკლუზიური კომენტარი ვთხოვე ცნობილ საერთაშორისო ექსპერტსა და პოლიტოლოგს, ბატონ სოლომონ ციცვაძეს.

– ხალხი გადარეულია, ბატონო სოლომონ, იქნებ აგვიხსნათ, ბოლოს და ბოლოს, რა ხდება ამ ტიალ დუნიაზე?

– დუნიაზე რა მოგახსენოთ, მაგრამ კონკრეტულად რა გაინტერესებთ?

– უკრაინის პრეზიდენტის გადაწყვეტილებამ განაცვიფრა, ბატონო პოლიტოლოგო, ჩვენი ხალხი. ამბობენ, სააკაშვილმა და ბენდუქიძემ აქ ქვეყანა დაგვიქციეს და უკრაინას რა სტატუსით მოევლინებიანო?

– იმავე სტატუსით, ბატონო ჩემო, რა სტატუსითაც აქ იმოღვაწეს.

– ვერ მიგიხვდით, ბატონო სოლომონ, გინდათ თქვათ, რომ საქართველოს დამაქცევრები ერთბაშად უკრაინის აღმშენებლებად გარდაიქმნებიან?

– არაფერსაც არ გარდაიქმნებიან, სააკაშვილი ისეთივე შარახვეტიად დარჩება, როგორც საქართველოში იყო და ბენდუქიძეც იმავე ფულის ტომრად, მით უფრო, რომ ეს უკანასკნელი ასაკშია და ქონებრივ და ზნეობრივ ცვლილებებს აღარ ექვემდებარება.

– აბა რას დახარბდა, ბატონო, მილიარდერი პოროშენკო?

– სააკაშვილისა და ბენდუქიძის პიარტექნოლოგიებით შექმნილ პიარრეიტინგს.

– გადამრევთ, ბატონო სოლომონ, ამათი პიარრეიტინგი უკრაინელ ხალხს რაში გამოადგება?

– ქვეყანასა და ხალხს კი არა, თავად პოროშენკოს გამოადგება.

– მილიარდერ პოროშენკოს?

– დიახ, დიახ, მილიარდერ პოროშენკოს? მას ფული კი არა, ჩემო კარგო, რეიტინგი აკლია და სააკაშვილი და ბენდუქიძეც სწორედ ამ დანაკლისის შევსებაში დაეხმარებიან.

– კი მაგრამ, სააკაშვილმა პიარის კეთების ისეთი რა გამოცდილება დააგროვა, რომ მთელი მსოფლიო დაინტერესდა?

– თავისი პრეზიდენტობის 9-წლიან პერიოდში, საქართველოში მაგაზე მეტი არაფერი უკეთებია და როგორ არ დააგროვებდა.

– ქვეყანა კი დაგვამხო თავზე და მაგის პიარრეიტინგი ვის რაში გამოადგება?

– ჩვენ არა, მაგრამ თავად ხომ ხედავთ, როგორ გამოიყენა. საზღვარგარეთ ბევრს დღესაც სჯერა, რომ სააკაშვილმა, – მსოფლიოში უპირველესმა დემოკრატმა და რეფორმატორმა, – საქართველო ააყვავა.

– აბა, კაცო, აგერ არ ვტკბებით მის მიერ აყვავებული ქვეყნით? მასეთი ამყვავებელი თუა, აბა საზღვარგარეთს თავშეფარებული სამართალს რატომ ემალება?

– ეგ ჩვენ ვიცით, სააკაშვილი როგორი დემოკრატი და რეფორმატორიც ბრძანდება, თორემ ბევრ ჩვენს უცხოელ კეთილისმყოფელს ის დღესაც დიდ პოლიტიკურ მოღვაწედ ეზმანება.

– ასე თუა, ეს ჩვენი კოალიციური მთავრობა რატომ ხმას არ ამოიღებს?

– სწორედ მაგ ვაჟბატონის ნაკეთებ საქმეთა განქიქებას რომ გადაყვა, მაგიტომ ჩაუვარდა ეკონომიკა (ზოგი კი ამ წარუმატებლობას ხადურს აბრალებს). მთავრობამ უცხოელთა თვალში სააკაშვილის ცრურეიტინგს იმდენი ვერაფერი დააკლო, რამდენიც საკუთარ ხალხში საკუთარ რეიტინგს.

– აბა, უხაროდეთ უკრაინელებს, ასეთი მსოფლიო რეიტინგის მქონეთა რჩევებით ჩავარდნილ ქვეყანას უცებ ამოსწევენ.

– აკი ვთქვი, ეგენი პოროშენკოს ქვეყნის კი არა, პიარრეიტინგისა და აგრესიული რიტორიკის წამოწევაში დაეხმარებიან.

– ჰო, აგრესიულ რიტორიკაში სააკაშვილი შეუდარებელი იყო, როგორ გგონიათ, მისივე წაქეზებით, პუტინს ომს პოროშენკოც გაუბედავს?

– მაგას ვერ გეტყვით, მაგრამ ერთი რამის თქმა ახლაც შეიძლება: ომი თუ იყო და უკრაინამ წააგო (სხვა ვარიანტი არც არსებობს), სააკაშვილის რჩევით, მას მოგებულად გამოაცხადებენ და მაიდანზე საერთო-სახალხო დღესასწაულს გამართავენ.

– მერე არ შეეშინდებათ, რომ პუტინი პოროშენკოს ერთი ადგილით ჩამოკიდებას დაემუქროს?

– დაემუქროს, ვის რას დააკლებს, აგე სააკაშვილი მაგ მუქარით დღემდე გუნებიერად ხალისობს.

– მარტო ეგ ხომ არ არის, პუტინს შეუძლია უკრაინას ემბარგო გამოუცხადოს და ხორბლისა და შოკოლადის ბიზნესი ჩაუგდოს.

– მსოფლიოში ბაზრების მეტი რა არის, უკრაინას ერთგან თუ კარს ჩაუკეტავენ, მეორეგან გაუღებენ. რაც მთავარია, ქვეყნის მმართველი გუნდის წევრები, ჩვენებური ნაცების გამოცდილების დარად, ყველა ბიზნესზე მონოპოლიას აიღებენ, ურჩ მეწარმეებს ციხეში გამოამწყვდევენ და ხელკეტებითა და ცოცხებით გაუმასპინძლდებიან.

– მერე ასეთ ქვეყანას ნატოში ვიღა მიიღებს?

– ჩვენ რომ მიშას წყალობით საარჩევნო დემოკრატია გვქონდა, მიგვიღეს? რასმუსენი, როგორც ყოველთვის, ახლაც იტყვის, რომ უკრაინისთვის ნატოს კარი ღიაა, მაგრამ იქ შესვლა ჯერჯერობით ვერ ხერხდება.

– ევროკავშირი?

– ევროკავშირიც ისევე მოექცევა უკრაინას, როგორც თავის დროზე ჩვენ მოგვექცა – სრულ მხარდაჭერას გამოუცხადებს, რაც ძირითადად შეშფოთებაში გამოიხატება.

– ამასობაში, ბატონო სოლომონ, ბენდუქიძე სულ გამოგვრჩა (სიკვდილსაც დავიწყებია), თქვენ თუ გიფიქრიათ, პოროშენკო თავის საბრძანებელში იმხელა კაბინეტს სად გამოძებნის, რომ ქართველი ნამინისტრალი თავის ღიპიანად დაეტიოს?

– არხეინად იყავით, ბენდუქიძეს იმდენად ღიპის ტარება არ უჭირს, რამდენადაც უნამუსობისა, უნამუსობას კი, კარგად მოგეხსენებათ, ცალკე კაბინეტი არ სჭირდება.

– ჰო, მახსოვს, ეკონომიკის მინისტრად რო დაჯდა, როგორ იქადნებოდა, საქართველოში ყველაფერი უნდა გავყიდოთ, გარდა ნამუსისაო. აკი გაყიდა კიდეც, ქვაც კი არ დაუტოვებია გაუყიდავი, მარტო ნამუსი დარჩა გაუსაღებელი.

– რაც არა ჰქონდა, რას გაყიდდა.

– ხომ არ იცით, უკრაინაში რის გაყიდვას აპირებს? იქაურები ხორბალს თავადაც მშვენივრად ყიდიან და ბენდუქიძემ რაღათი უნდა ივაჭროს?

– იმით, რაზეც ხორბალი მოჰყავთ. მდიდარ უკრაინულ მიწაზე უარს ვინ იტყვის. მოაჯდება ეს ჩვენი ჩარჩი იმ თვალუწვდენელ მინდვრებს და ერთიანად ჩინელების, ბურების თუ ინდუსების ფულებზე გადაახურდავებს. მე თქვენ გეტყვით, აღებ-მიცემობა და ფულის კეთება შეეშლება, ბენდუქიძე ამ საქმის ნამდვილი დიდოსტატია.

– ეგ ყველაფერი კარგია, ბატონო სოლომონ, მაგრამ იმაზე არ გიფიქრიათ, სააკაშვილისა და ბენდუქიძის რჩევები პოროშენკოს როდემდე გაყვება? ერთ მშვენიერ დღესაც, მასაც ხალხი, ალბათ, როგორც ჩვენს რჩეულებს, განაჩენს გამოუტანს.

– გამოუტანს და გამოუტანოს, ვითომ სააკაშვილმა და ბენდუქიძემ ასეთი განაჩენის შემდეგ თავი დაჩაგრულად იგრძნეს? ისევე როგორც ამათ, მაღალი პიარრეიტინგის მქონე პოროშენკოსაც, ალბათ, ამერიკასა და ევროპაში გამოუჩნდებიან ხელისგამწვდენლები. სხვა თუ არაფერი, ბოლოს და ბოლოს, ისე როგორ წახდება, რომ, რომელიმე ქვეყნის ახლადარჩეულ პრეზიდენტს მრჩევლად მაინც არ გამოადგეს.

საუბრის ბოლოს მე, რა თქმა უნდა, ბატონ სოლომონ ციცვაძეს მადლობა გადავუხადე ბუნდოვანი საკითხების კვალიფიციური განმარტებისათვის და დავემშვიდობე. ღმერთმა ხელი მოუმართოს, ხალხი დაბნეული იყო და, როგორც თავად განმიცხადა, მოვლენები „გააიასნა“.

ოტია ჩართოლანი

◎ ო, ენავ ჩემო!

„დედაკაცი“. გავაძევოთ მეტყველებიდან?

გავაძევოთ (წუხილით ვამბობ ამას), თუ სალანძღავი, „უხმარი“ (სულხან-საბა ორბელიანი) სიტყვის ხვედრს ვუმზადებთ მას. აქეთკენ კი მიდის საქმე:

„ასეთი ლოგიკისაა ეს აშარი **დედაკაცი...“;** „უცებ ეს ლამაზთვალა ქალი ანჩხლ (ეცოტავა!), კაპას **დედაკაცად** იქცა...“; „მორატრატე **დედაკაცი...**“; „პირდაუბანელი **დედაკაცი**“; „ნუ ცრუობ, **დედაკაცო!**“; „ნუ თვალთმაქცობ, **დედაკაცო!**“; „ასე წამოაძახეს ერთმანეთს უამრავი ბრალდება ბაზრის **დედაკაცებივით**“; „...ისეთ ტყუილებს კადრულობს, სოფლის უკანასკნელი ჭორიკანა **დედაკაცი** რომ არ იკადრებს; (და, სავალალოდ, უამრავი სხვა. ხედავთ, რა გარემოცვაშია ეს სიტყვა?

აქ კი ნამდვილად უნდა დავეკითხოთ ჩვენს წინაპრებს:

„თქვენს წინაშე მე გადაწყვეტით ვაღიარებ, რომ დღეს ან უნდა გავიმარჯვოთ, ან უნდა გამოვესალმოთ ჩვენს თავს და აქ უნდა გავწყდეთ. ჩვენს ცოლშვილში ხომ სირცხვილია დამარცხებით მისვლა. მერე რა პირით დაგვინახავენ ჩვენი კარგი **დედაკაცნი?** შავსა დამარცხებულ პირსა!“ (ლევან სანიკიძე, დედა-ისტორია, გვ. 381; ერეკლე მეფის მიმართვიდან ქართველი მეომრებისადმი 1770 წლის 20 აპრილს ასპინძის ბრძოლის წინ); „ქართველი **დედასაც კაცად** ხადის და ამიტომ „**დედაკაცს“** ეძახის, როგორც მამას – **„მამაკაცს.“** (ილია); „გვსურს, რომ აქ წარმოვსთქვათ მოკლედ რამოდენიმე ჰაზრი საზოგადოდ **დედა-კაცობის** ღირსებაზე, როგორც დედობაში, ისე ცოლობაშიც. ერთის სიტყვით, **დედაკაცი** არის ჩვენის ცხოვრების გვირგვინი...“ (აკაკი). „**დედაკაცს** დიდი მნიშვნელობა აქვს კაცობრიობის ცხოვრებაში“ (ვაჟა-ფშაველა)...

ასეთივე პატივისცემით მოიხსენიებდნენ და მოიხსენიებენ დედაკაცს ჩვენი თანამედროვენი: „თქვენს კაი **დედაკაცობას** მივესალმები!...დედობა, ცოლობა და დობა დიდი საქმე არ არის, – იგი ზოგი ბუნების საქმეა და ზოგიც გარემოებისა. საქმე კაი **დედაკაცობაა** და კაი ადამიანობაა, როგორც დიდი ილია ბრძანებს“ (ანა კალანდაძე); „ტყუილად არ დაურქმევია ქართველს პლანეტისათვის **დედამიწა,** თბილისისათვის – **დედაქალაქი,** მთავარი იდეისათვის – **დედააზრი,** ყანის კაცისათვის – **გუთნისდედა,** სახლის საყრდენისათვის – **დედაბოძი,** ღირსეული მანდილოსნისთვის – **დედაკაცი**“ (ქართული სადღეგრძელოდან); „**დედაკაცს** სანამ ქმარი ჰყავს, ამირანია და როცა ქმარი მოუკვდება – ამირანთ ამირანიაო“ (ქეგლი); „რასა და რას არ აუტოკებია კატოს (ეკატერინე ვაჩნაძის, – **ავტ.**) გული, როდის იყო, რომ ერის სატკივარი გულთან არ მიეტანა... ლოგინად ჩავარდნილმაც კი კახელი დედაკაცის სანაქებო ნირი შეინარჩუნა – ვერაფერმა აქცია თავისთავში ჩაკეტილ, გარემოს მოწყვეტილ არსებად“ (მიხ. გიჟიმყრელი, „სრ“, 26.III.11); „რაც შეეხება ქალბატონ ნინოს, მან ... არაერთხელ დაანახვა საზოგადოებას, რომ ჭკვიანი, ღირსეული **დედაკაცია,** ამ სიტყვის ილიასეული გაგებით“ (დ. მხეიძე, „სრ“, 4.IX.10)...

ბოლოსთვის ერთი მრავლისმეტყველი მაგალითი მოვიტოვე - ჩემს სამეგობროში მეგულება კაცი – საქართველოს დამსახურებული ჟურნალისტი, არაერთი საინტერესო წიგნის ავტორი, დედაენის ერთგული გუშაგი – ზურაბ ლომიძე. რომელიც თავის მეუღლეს **„დედაკაცს“** ეძახის ხოლმე. რაოდენ დიდი სიყვარული და პატივისცემაა ჩაქსოვილი ამ ძახილში! ღმერთმა გვიმრავლოს ასეთი ხალხი.

დასასრულ, მინდა მოგიწოდოთ, ძვირფასო მკითხველო, ნურავის ნუ ათქმევინებთ დედაკაცის ისეთ შეურაცხმყოფელ ფრაზებს, როგორიც მოყვანილია ამ წერილის თავში.

ოთარ კაპანაძე

◎ ჩვენი ყოფა

ძვირი წამლის ფასი

„ბიზნესელიტა“, რომელიც წინა ხელისუფლებასთან იყო დაახლოებული, ამ სიახლოვით ახლაც სარგებლობს“.

„ჩემი 4 წლის გოგონას ეპილეფსიური გულყრა აწუხებს და ექიმმა „დეპაკინის სიროფი“ და „ნოოფენი“ გამოუწერა. ადრე „ჯიპისის“ სააფთიაქო ქსელში „დეპაკინის“ სიროფს 8,75 ლარად ვყიდულობდი, ახლა, 11,50 ლარი გადავიხადე. 26 ლარი ღირდა „ნოოფენიც“, რომელიც ასევე აუცილებელია ჩემი შვილისთვის... ფარმაცევტმა მითხრა, თითქმის ყველა დასახელების მედიკამენტი გაძვირდაო“ – მიხსნის **ნატო ნაცვლიშვილი...** წამლების გაძვირებაზე მოსახლეობის უკმაყოფილება თანდათან იზრდება, რადგან მედიკამენტები თითქმის ყველა სააფთიაქო ქსელში გაძვირდა. მომხმარებელი წუხს, რომ ის მედიკამენტები, რომლებიც ხელისუფლების შეცვლიდან ცოტა ხანში გაიაფდა, სულ მალე ისევ გაძვირდა.

ფარმაცევტული კომპანიის ხელმძღვანელები წამლების გაძვირებას უარყოფენ. თუმცა, მომხარებლების თქმით, წამლების გაძვირება აქამდე ყველაზე დაბალი ფასებით გამორჩეულ „ფარმადეპოსაც“ შეეხო. მეტიც, ზოგი მედიკამენტი აღნიშნულ სააფთიაქო ქსელში უფრო ძვირიც ღირს, ვიდრე სხვა ფარმაცევტულ სავაჭრო ობიექტებში. მომხმარებელთა თქმით, თითქმის ყველა აფთიაქში ვიზიტისას მედიკამენტებზე გაზრდილი ფასები ხვდებათ.

ფრიდონ გაგოშიძე, თბილისის მკვიდრი:

– ადრე თუ ბავშვისთვის ხველის საწინააღმდეგო აბების – „მუკალტინის“ ფირფიტას 30 თეთრად ვყიდულობდი, ახლა მას საერთოდ ვეღარ იშოვი, სამაგიეროდ, მის ნაცვლად სიროფს გთავაზობენ, 3.40 ლარი ღირს. ე.წ. ფასდაკლების დღეებში, შედარებით იაფი ღირს, მაგრამ სხვა დღეებში იმდენად ძვირია, რომ იმ ორი დღის შეღავათს ფარავს. პაციენტს ზოგი მედიკამენტი სასწრაფოდ სჭირდება და ფასდაკლების დღეებს ხომ ვერ დაელოდება? ყველა სააფთიაქო ქსელში გაიზარდა „პამპერსის“ ფასი. თვეში სულ 500 ლარი მაქვს შემოსავალი და მხოლოდ ჩემი ოჯახის წევრებისთვის წამლებისა და ჰიგიენის საშუალებების შესაძენად არ მყოფნის.

ნათელა სამუშია, პენსიონერი:

– გასულ ზამთარს რამდენჯერმე გამიცივდა შვილიშვილი. ანტიბიოტიკი „როცეფინი“ (1 მგ-იანი) გამოუწერეს – 12,35 ლარი ღირდა. ცოტა ხნის წინ კიდევ დამჭირდა ამ პრეპარატის შეძენა და 13,50 ლარი გადავიხადე. საბავშვო სუსპენზია „სინეკოდი“ 9 ლარი ღირდა, ახლა 10 ლარი ღირს. „პუროქსანის“ ფასი 15 ლარიდან 19 ლარამდე გაიზარდა. ნოშპა 5,40 ლარი ღირდა და 6,60 ლარი გახდა. გული მაწუხებს და მუდმივად მჭირდება წამლები, რომელთა შეძენის შემდეგ, ლამის პურის ფულის გარეშე ვრჩები. ჩემი დაკვირვებით, ფასდაკლების დღეებში აფთიაქები პრეპარატებს ძველი ფასებით ყიდიან, დანარჩენ დღეებში კი მომატებულ ფასში. გამოდის, რომ გამოცხადებული ფასდაკლებები უბრალოდ ტყუილია.

სპეციალისტების აზრით, ფარმაცევტულ ბაზარზე ვითარება მხოლოდ ჯანსაღი კონკურენციის პირობებში შეიძლება შეიცვალოს, ამას კი ახალი კომპანიების შემოსვლა სჭირდება.

ლევან კალანდაძე, ექსპერტი ეკონომიკურ საკითხებში:

ფარმაცევტული პროდუქციით და ნავთობპროდუქტებით, ძირითადად იმპორტზე ვართ დამოკიდებული, მაგრამ იმ ფონზე, როცა საერთაშორისო ბაზრებზე ამ თვალსაზრისით ფასები არ იცვლება, საქართველოში ფასები მაინც ცვალებადია. საზოგადოებასა და ექსპერტულ წრეებში ჩნდება ეჭვი, რომ ეს ყველაფერი კარტერული გარიგებებით ხომ არ არის ნაკარნახევი – ხომ არ არსებობს კომპანიებს შორის მაღალი ფასის შესახებ შეთანხმებები? არის ლეგიტიმური კითხვა, რაზეც პასუხი დღემდე არ არსებობს.

– სახელმწიფოს არ აქვს ასეთი პროცესების გაკონტროლების მექანიზმი?

– ამისთვის აუცილებელია პოლიტიკური ნება. წელიწადნახევარი დასჭირდა კონკურენციის შესახებ კანონის მიღებას. ახლა გვაქვს კანონი, კონკურენციის სააგენტოც , თავმჯდომარეც დანიშნულია, მაგრამ მაინც არ მუშაობს, რადგან არ არსებობს ნორმატიული ბაზა, რის საფუძველზეც ამა თუ იმ კომპანიის მონოპოლოური მდგომარეობის, დომინანტური საბაზრო ქმედების ან კარტერული გარიგების გამოვლენა მოხდება.. კითხვაზე, თუ როდის გვექნება ეს ნორმატიული ბაზა, გვპასუხობენ, რომ 2014 წლის ბოლოს... ამიტომ, ჩნდება ეჭვი საზოგადოებაში და ჩემშიც, რომ ყველაფერი მხოლოდ იმიტომ ხომ არ ხდება, რომ მონოპოლისტების გამოსავლენად პოლიტიკური ნება არ არსებობს...

– ანუ ხელისუფლების დაპირება, – „მონოპოლიების მოშთობის“ შესახებ, მხოლოდ პიარი იყო?

– ფაქტია, რომ წინა ხელისუფლების დროსაც არსებობდნენ მონოპოლისტები და ახლაც არიან. ამასთან, ამ ბიზნესის მეპატრონეები პარლამენტშიც არიან და ყველაფერი ძველებურად გრძელდება. ის „ბიზნესელიტა“, რომელიც წინა ხელისუფლებასთან იყო დაახლოებული, ამ სიახლოვით ახლაც სარგებლობს. თავად არიან ხელისუფლების ნაწილი და ამ კანონმდებლობის ამოქმედება მათ ინტერესებში არ შედის. მედიკამენტების საერთო მაჩვენებელი, საერთო ჯანდაცვის დანახარჯებში, კატასტროფულად მაღალი – 50%-ზე მეტია, როდესაც ევროპაში, 22-25 % -ია და იქაც კი მიაჩნიათ, რომ ეს მაჩვენებელი მაღალია.

ლალი პაპასკირი

◎ კაკალ გულში

ნერტილოვანი ფრაზები

● „რუსთავი-2“-ის ეგზიტპოლების მიხედვით გაიმარჯვა მელიამ;

1 არხის ეგზიტპოლების მიხედვით – ლორთქიფანიძემ;

2 არხის მიხედვით – კუკავამ;

„იმედის“ მიხედვით – გაჩეჩილაძემ;

„მაესტროს“ მიხედვით – მურვანიძემ;

„ობიექტივის“ მიხედვით – ინაშვილმა;

„კავკასიის“ მიხედვით – ტყაბლაძემ;

მეცხრე არხი-ს ის მიხედვით – ნარმანიამ;

TV3 -ის მიხედვით – ღლონტმა;

„ერთსულოვნების“ მიხედვით – სალუაშვილმა;

„კომედი არხის“ მიხედვით – ჯავახაძემ;

„ენკი-ბენკის“ მიხედვით – ლაღიძემ...

● კაცო, 2012 წლის 1 ოქტომბერს, ის კი არ მიხაროდა, ხადური (კოლექტიური) რომ მოდიოდა, მიხაროდა, რომ წიკლაური (კოლექტიური) მიდიოდა.

ახლა ერთი კოლექტივიც აქაა, მეორეც და თან ორივე გახარებულია, ჩემგან განსხვავებით!

● ახლობელს საარჩევნო უბანზე ერთი გოგონასთვის ჩაუჩურჩულებია, მევასებიო და აგიტაციაში ჩაეთვლება?

● თქვენ გაიხარეთ, ზუგდიდელებო!

ყველა ნეგატივი დამავიწყა ზუგდიდის არჩევანმა, რომლებმაც პირველივე ტურში „მოუყომარეს“ მეცოცხეებს. ქალაქი, სადაც ყოველ წუთს შეიძლებოდა აგენტობის ბრალდებით წამებაში ამოეხადათ სული, ქალაქი რომელსაც ყველაზე თავზეხელაღებული ნაძირლები აკონტროლებდნენ, ქალაქმა, რომელმაც ყველა უბედურება ყველაზე მძაფრად გადაიტანა, რაც საქართველოს დაატყდა ბოლო წლებში, პროვინციაააო. პროვინცია თბილისია, სადაც ახატიათ ქვეყანაში რა ხდება. ზუგდიდი, ამდენი გარედან მოხვეული უბედურების მიუხედავად იყო და დარჩა ელიტურ ქალაქად!

● აი მცხეთელები ჯიგრები – ნაცმოძრაობა სამეულშიც ვერ მოხვდა!

● თბილისის მოსახლეობის 60 % პულსი არ ესინჯება, დარჩენილი 40%-ის 25 % სქესი არ უდგინდება. ესაა ჩქიმ კომენტარი.

● არც ერთი არჩევნები არ მიღირს ნუგზარ წიკლაურის ცრემლად.

● თამარ ჟვანიას: მეორე ტურის „ბილეთებში“ ერთი თავისუფალი გრაფა დატოვეთ, ჩვენ ჩავწერთ ჩვენს კანდიდატს და იქნება „პირველად საქართველოში“.

● ნუ ნერვიულობთ. რაც მოხდა კარგი მოხდა. პირველი: ნაცმომ, ბოლო კაცამდე მობილიზაციის პირობებში, აიღო 20 პროცენტი, ანუ ხმათა რაოდენობის მესამედის მეხუთედი. ეს ამომრჩეველთა საერთო რაოდენობის 6-7 პროცენტია. ნაცმოს ამ მონაცემის ერთი კაციათ გაზრდის საშუალებაც კი არა აქვს. ესე იგი ნაცმო სამუდამოდ წარსულშია. მეორე კარგი რაც მოხდა: ქართულ ოცნებას ისეთი სილა გააწნა ქართველმა ამომრჩევლმა, იმედია გამოფიზლდება და უსახური კანდიდატების წარდგენას, ათასობით ლარი პრემიის აღებას და თავდაჯერებული ბალვანის საქციელებს თავს დაანებებს და საქმეს მიხედავს, თუ ჭკუა ეყოფა. და მესამე, ჩემთვის ყველაზე მნიშვნელოვანი: ქვეყანაში, პატრიოტთა ალიანსის სახით ახალი, დაუსვრელი და ეროვნული ძალა გამოჩნდა, რომელსაც უდიდესი პერსპექტივა აქვს სწორი და პატიოსანი მოქმედების შემთხვევაში და ის არჩევნებზე მიუსვლელი 60 პროცენტი არის ძალა, რომელიც სწორად და პატრიოტულად მოქმედ პოლიტიკოსებს დაუდგება მხარში მომავალში. მოკლედ არც ისე ცუდადაა საქმე, უბრალოდ სწორი და გონერი ნაბიჯების გადადგმა სჭირდებათ პოლიტიკოსებს, ხალხს კი – მეტი მონდომება და დაუზარელობა ქვეყნის წინსვლაში.

ჩაიწერა
გია გაბრიჭიძემ.

◎ მსოფლიო დღეს

რა გამოავლინა უკრაინის კრიზისმა?

უპუტინოდ, მაგრამ პუტინთან ერთად, ანუ პუტინის აჩრდილთან ერთად გაიმართა „დიდი შვიდეულის“ ბრიუსელის შეხვედრა. ცნობისთვის, სწორედ ამ დროს უნდა გამართულიყო ქ.სოჭის „დიდი რვიანის“ სამიტი, მაგრამ, უკრაინის მოვლენებიდან გამომდინარე, „დიდი რვიანის“ შვიდმა წევრმა დაგმო კრემლის პოლიტიკა და პირველი, რაც მოიმოქმედა, განაცხადა, რომ წელს „დიდი შვიდეულის“ სამიტი გაიმართება და არა „რვიანის“, რაც იმას ნიშნავდა, რომ რუსეთს არ მიაღებინებდნენ მონაწილეობას სამიტში.

ბრიუსელში გამართულ ორდღიან სამიტში რუსეთი არ მონაწილეობდა, მაგრამ განსახილველი თემიდან გამომდინარე – უკრაინა, პუტინი იქ იყო, ცხადია, დაუსწრებლად, მაგრამ მაინც. „შვიდეულმა“ იმსჯელა უკრაინასთან დაკავშირებით, გალანძღა რუსეთი და განაცხადა, რომ თუ პუტინი არ შეწყვეტს აღმოსავლეთ უკრაინაში ანტიუკრაინული ძალისთვის იარაღის მიწოდებას და მებრძოლების გაგზავნას, დასავლეთი აამოქმედებს სანქციების მესამე ეტაპს.

სანქციების მესამე ეტაპი შედგება სამი საფეხურისგან: მსუბუქის, საშუალოს და ძლიერისგან. ყველა მათგანის ამოქმედება უარყოფითად იმოქმედებს რუსეთის ეკონომიკაზე და გააუარესებს რუსეთის მოქალაქეთა სოციალურ პირობებს. მაგრამ სანქციების ამოქმედება დასავლეთსაც დააზიანებს, ვინაიდან ის მჭიდროდ არის დაკავშირებული რუსეთთან.

აღნიშნული სინამდვილე ნაკლებად აღელვებს აშშ-ს, ანტირუსული პოლიტიკის მებაირახტრეს, ვინაიდან ევროკავშირის ზომაზე მეტად გაძლიერება სულაც არ შედის მის გეგმებში. ვაშინგტონის უმთავრესი მიზანია, როგორც რუსეთის, ისე ევროკავშირის პრაგმატული ურთიერთობების, განსაკუთრებით ეკონომიკურ-ენერგეტიკულისთვის ბარიერის შექმნა და საბოლოო ჯამში მათი დაშორიშორება.

უკრაინის კრიზისმა, უკვე გააჩინა გარკვეული ბზარი მოსკოვ-ბრიუსელს შორის, თუმცა ბრიუსელი ანგარიშს უწევს იმასაც, რომ მოსკოვთან ურთიერთობების გაუარესებით, თვით მას შეექმნება პრობლემები. ამდენად, ბრიუსელს მიაჩნია, რომ მოსკოვმა პასუხი უნდა აგოს ყირიმისთვის, აღმოსავლეთ უკრაინისთვის, მაგრამ პასუხისგებას საზღვარიც უნდა ჰქონდეს, ანუ ბრიუსელმა ისეთი რამ არ უნდა დაუშვას, რაც მრავალი წლით გამოიწვევს მოსკოვის გაუცხოებას, თანამშრომლობის შეკვეცას და „ცივი ომის“ პერიოდის აღორძინებას.

ვაშინგტონის პოლიტიკა სულ სხვაა – უპირველესად საკუთარი ჰეგემონიზმის შენარჩუნება-განმტკიცება და ამისთვის ჯიუტი რუსეთის, შემდეგ ევროკავშირის ერთმანეთზე ისე გადაკიდება, რომ მრავალი წლით იყვნენ ჩართული ერთმანეთის საწინააღმდეგო კონფლიქტში. არის თუ არა აშშ-ის ადმინისტრაციის ამგვარი პოლიტიკა გამართლებული? ცხადია, აშშ-ს პოზიციიდან გამომდინარე, ეს ასეა.

აშშ დიდი ქვეყანაა, თანაც პირველი და თუ პირველობის დათმობას აპირებს (ალბათ მის ადგილას სხვაც არ დათმობდა), გასაკვირი არაფერია. გასაკვირი მხოლოდ ის არის – რა გზით, რა ხერხით აპირებს აშშ ჰეგემონიზმის გახანგრძლივებას. და რომ ეს გზა ძალზე შორს არის ამერიკული ყბადაღებული ლოზუნგებისგან – ადამიანის უფლებების დაცვა და დემოკრატია.

დემოკრატია ვერ დაერქმევა ერთი ქვეყნის მიერ მეორე ქვეყნის მეზობლად მყოფ ქვეყანაში „დემოკრატიის“ განვითარებისთვის მილიარდობით დოლარის ხარჯვას, მოსახლეობის წვრთნას და ამერიკის მოწინააღმდეგე ქვეყნის წინააღმდეგ ამხედრებას; ლეგიტიმური ხელისუფლების შეიარაღებული გზით ჩამოგდებას და მისთვის ლოიალურად განწყობილი ხელისუფლების ქვეყნის სათავეში დასმას; ნეოფაშისტური ჯგუფებისთვის ხელის შეწყობას და სამთავრობო სტრუქტურებში მათი შეყვანას და ა.შ.

ბრიუსელის სამიტის შემდეგ გამართულ პრესკონფერენციაზე აშშ-ის პრეზიდენტი ობამა ეკონომიკური იზოლაციით დაემუქრა რუსეთს – მსოფლიოში ყველაზე დიდ სახელმწიფოს, ტერიტორიის თვალსაზრისით, ბირთვული იარაღის მქონეს და ა.შ., რაც თავისთავად სასაცილო თუ არა, ღიმილის მომგვრელია, ვინაიდან მუქარა ერთია და მისი შესრულება სხვა. და ესეც რომ არ იყოს, რა უფლება აქვს აშშ-ს, დაემუქროს სხვა ქვეყანას? რა უფლება აქვს მას, საკუთარი პოზიციები თავს მოახვიოს „დიდი შვიდეულის“ წევრებს?

როდესაც „შვიდეულის“ დანარჩენი წევრები ზომაზე მეტად „დედლურად“ გამოიყურებიან, თან საკუთარ სუვერენიტეტდაკარგულად, ვაშინგტონს ყველაფრის უფლება აქვს, მათ შორის სახეში სილის გაწვნისაც კი.

იხ. 8 გვ.

ცხოვრების მეტად უცნაური და საჭირბოროტო მოვლენებით ჩაფიქრებულ ადამიანს, რომელ ეპოქაშიც არ უნდა მოღვაწეობდეს იგი, მუდამ აწუხებდა და ახლაც აწუხებს კითხვები და დაუოკებელი სურვილი ამ კითხვებზე პასუხის მოძიებისა. მოაზროვნე ჰქვია ასეთ კაცს და მიუხედავად დღევანდელი სწრაფმავალი ჟამისა, მაინც ასწრებს აითვისოს და გაეცნოს ყოველ სიახლეს, თანამედროვე თვალით გააანალიზოს და ჩაუღრმავდეს ძველს, კაცობრიობის ისტორიის საკვანძო მოვლენებს, იგი, ასევე, ფხიზლად ადევნებს თვალს პოლიტიკურ თუ ლიტერატურულ არენაზე მომხდარ მოვლენებს, უწნდება სურვილი პოეზიის ხიბლთან ზიარებისა, პროზის ძველი და ახალი შედევრების გაცნობისა და ყოველივე ამას „ფიქრთგასართველად“ წასვლას ეძახის – ბოლოს ფიქრთჩაღრმავებით რომ მთავრდება, ალბათ. ვფიქრობ, რომ ასე ემართებოდათ იმ შემოქმედ ადამიანებს, რომლებიც მისდაუნებურად არა მხოლოდ ეპოქის ფერის მიმცემნი, არამედ ამა თუ იმ ცივილიზაციის თანამონაწილენი, შემქმნელნი და, ფუძემდებლებიც კი იყვნენ, ასეთებში უნდა ჩავთვალოთ უთუოდ, აწ ჩვენგან წასული ადამიანი, მაგრამ მუდამ ჩვენთან მყოფი და სავარაუდოდ, მუდამ თანამედროვე ობამაზ ჩხენკელი, რომელმაც თავის შემოქმედებაში ადგილი დაუთმო მსოფლიო ფილოსოფოსთა და მოაზროვნეთა წერილებს, ქართულადაც გვითარგმნა და მას „თვალსაწიერი“ დაარქვა

ამ წიგნით მიღებულმა შთაბეჭდილებებმა „ჩამითრიეს“ მეც და ახლა მათთან ერთად დავდივარ, ვფიქრობ და ვმსჯელობ. რაც არ უნდა სხვა ლიტერატურას მოვკიდო ხელი და წავიკითხო, ბოლოს მაინც თამაზ ჩხენკელის თვალსაწიერში მოქცეულ ფილოსოფოსთა სტატიებს ვუბრუნდები. მეც ვეძიებ კითხვებზე პასუხებს, პოვნის იმედით!..

შიში ადამიანთან ერთად გაჩენილი გრძნობაა?

ამერიკის შეერთებული შტატების ერთ-ერთ დიდ მუზეუმში მეოცე საუკუნის გამოჩენილი ამერიკელი ესეისტი, პროზაიკოსი და პოეტი ლორენ აისლი ათვალიერებს ადამიანის ისტორიისადმი მიძღვნილ გამოფენას, სურს, იპოვოს კაცობრიობის ბედის რაიმე გასაღები, ადამიანის ბუნების რაიმე გამხსნელი ნიშანი, მაგრამ, სამწუხაროდ, გამოფენა მთავრდება დიდი კითხვის ნიშნით. გამოფენის სათავეს რამდენჯერმე დაუბრუნდა ბატონი ლორენი, დაკვირვებით უცქირა ექსპონატზე გამოსახულ პირველყოფილ ადამიანს, რომელიც დანთებულ კოცონს მიჯდომია, იქვე გამოსახულია მდედრიც, გულში ჩაკრული ჩვილით, სურათს ასეთი ტაბლო აქვს: „ადამიანის პირველი ნაბიჯი ენერგიის დაუფლების გზაზე, მან ისწავლა ცეცხლის გაჩენა“. აისლი კვლავ დაბეჯითებით შემოივლის დარბაზს, აკვირდება ადამიანის ისტორიის წარმომჩენ სურათებს, მონადირეთა იარაღებით დაწყებული, მიწათმოქმედების განვითარებით, ეკონომიკის გადატრიალებებით, მოსახლეობის ზრდით, ქალაქებისა და სოფლების გაჩენით, იმპერიების აღმოცენებითა და დაქცევით, და მაინც, დამთვალიერებლისთვის საგრძნობი ენერგეტიკული რესურსების დაგროვების უსასრულო მიმდინარეობით. მაგრამ მოაზროვნე აისლის თვალს როგორ გამოეპარებოდა მთავარი: შეიარაღებული ძალების წლითიწლობით ზრდა, მსოფლიოს ორ ბანაკად გაყოფა და მისი ბედ-იღბლის, მისი ყოფნა-არყოფნის აღმოჩენა იმ „თმაგაბურძგნული დედაკაცისა და მისი ბანჯგვლიანი მეუღლის ნაშიერთა ხელთ“. აისლი გვეუბნება, რომ თანამედროვე ადამიანის თვალმა (აისლის თვალმა) ასე აღიქვა ამ დარბაზში განთავსებული ადამიანის ისტორიის სურათები.

სამწუხაროდ, კაცობრიობის ისტორიის წარმოჩენის პრეტენზიის მქონე ეს დარბაზი გვიჩვენებდა ბევრ რამეს ადამიანზე, მაგრამ არა მისი სულიერი სამყაროს ჩამოყალიბებისა და განვითარების გზას.

ლორენ აისლის წერილი მეტად საინტერესოა და მინდა, მკითხველს ვუამბო, რამ შთამაგონა, აისლის ტექსტთან მიმეყვანა მკითხველი და შემეწუხებინა მისი და ჩემი ფიქრების წარმოშობის მიზეზებით. რაამ? – დღევანდელობამ, ცხოვრებამ, თანამედროვე ადამიანებმა. ათასეული წლები გავიდა მას შემდეგ, რაც ხერხემალგასწორებული და ორ ფეხზე მოსიარულე არსებას, აზროვნების ჩამოყალიბების, დამწერლობისა და წიგნიერების გაჩენისთანავე „ ადამიანი“ უწოდეს. აი, ამ არსებას, მიიხედ-მოიხედა თუ არა, პირველი გრძნობა, რაც დაეუფლა, ეს სიცოცხლის სიყვარული იყო (ალბათ!), მერე კი სიცოცხლის შენარჩუნებისა და თავდაცვის სურვილთან ერთად გაჩნდა... შიში! რისი არ ეშინოდა პირველყოფილ ადამიანს: ხმაურის, ტყეში მობინადრე ცხოველების, ბუნების მოვლენების და ბევრი, ბევრი რამის, მაგრამ მას ყველაზე მეტად თავისი მსგავსი არსებების ეშინოდა... კაცობრიობის არსებობისა და განვითარების ისტორია ათასეულ წლებს კი არადა, საუკუნეებს ითვლის, იმის მიხედვით, რასაც მიაგნო და რაც შეისწავლა მეცნიერებამ.

განვითარდა, დაიხვეწა და შეიცვალა ადამიანი, რა ცივილიზაციები გაიარა და რა საოცრებებს არ მიაღწია იმ თმაგაბურძგნული მდედრისა და მამრის პირველყოფილი ცხოვრების შემდეგ, მაგრამ, თუ დავუკვირდებით, არ შეცვლილა ერთი რამ... არ შეცვლილა შიში, შიში ყველაფრისადმი, შიში, ბუნების მოვლენებისადმი, მტაცებელი ცხოველებისადმი და რაც მთავარია და რაც დღესაც იწვევს ყველაზე დიდ დამთრგუნველ და ჯერაც გადაულახავ კომპლექსს (მოდი, ასე ვუწოდოთ), ეს არის შიში თავად ადამიანისადმი. მაგრამ მერე კაცობრიობამ ამ შიშის გამომწვევ მიზეზს სიტყვა „ადამიანი“-საგან განსხვავებით „მტერი“ დაარქვა. ეს მტერი ხან ჯვაროსანთა რაზმების სახით მოევლინებოდა კაცობრიობას , ხან „ფაშიზმის“, ხან „კომუნიზმისა“ და ხშირად ამა თუ იმ სარწმუნოების სახითაც კი და ვინ მოთვლის კიდევ რა სახით არა... სინამდვილე ის იყო, რომ ადამიანებს ადამიანების ეშინოდათ და ამ სიმართლის, იმ ანტაგონიზმის დასაფარავად, რაც მათ შორის შიშს ჩამოეგდო, რას არ იგონებდნენ, რათა ერთმანეთი გაენადგურებინათ, უკეთეს შემთხვევაში – დაემორჩილებინათ მაინც! საბოლოოდ საითკენ მივყავართ მსჯელობას? უკვე ყველასათვის კარგად ცნობილი თეზა – რომ კაცობრიობის ისტორია გამუდმებული ბრძოლის ისტორიაა, რომ ამ ბრძოლის შედეგად განადგურებულ ცივილიზაციებს, ახალი, უკეთესი (თუ უარესი?) ცივილიზაციები მოჰქონდა, რასაც „ბუნებრივად“ მოჰყვებოდა საზარელი ომები და ხოცვა-ჟლეტა... ერთი სიტყვით, ლოგიკას მართლა მივყავართ იქითკენ, რომ ადამიანი ადამიანის მტერია...

სახელმწიფოებს, ქვეყნებს მუდამ თვალი ეჭირათ მეზობელი სახელმწიფოებისა და ქვეყნებისაკენ, ერთმანეთის შიშმა მოაპოვებინა მათ მიწა, რომელიც მერე შემოსაზღვრეს, დაისაკუთრეს, შემორაგვეს კიდეც უზარმაზარი სისქისა და სიმაღლის კედლით, შიშმა ააშენებინა ადამიანებს ციხე-სიმაგრეები, გამოაგონებინა ათასგვარი გამანადგურებელი იარაღი... და ყველაფერ ამას ადამიანი მიესწრაფოდა ადამიანისადმი შიშით, ადამიანის საწინააღმდეგოდ, ადამიანი თავს იცავდა ადამიანისაგან! ასეთ შიშში იხვეწებოდა ინტელექტი, გონი და ნიჭი, ასეთ შიშს მოსდევდა ზეაღმავალი ცივილიზაციების ცვლა და ახალ-ახალი საოცრებები – ატომური და ბირთვული იარაღების შექმნა. ამ უკანასკნელმა გამოგონებებმა შექმნა კაცობრიობის ახალი ერა –კოსმოსისაკენ სწრაფვისა და ახალი პლანეტების დაპყრობისათვის მოსამზადებლად. ასე რომ, ადამიანების შიშმა ერთურთისადმი, შემდეგ უკვე სახელმწიფოს ინტერესებში გამოხატულმა, ერთმანეთის დამონებისა და დამორჩილების სურვილმა, რომელსაც საფუძველშივე ის შიში ედო, რასაც ადამიანი მისი მოდგმის მიმართ მუდმივად ატარებდა, მიიყვანა კაცობრიობა ატომისა და ბირთვული იარაღის ერამდე, რამაც ყველაზე დიდი საშიშროება მოიტანა. ამ საშიშროებამ არა მხოლოდ ადამიანი, არამედ ერთადერთი, სიცოცხლისუნარიანი პლანეტა – დედამიწა, ყოფნა-არყოფნის პრობლემის წინაშე დააყენა

როდესაც შესაძლებელი ბირთვული ომის შემთხვევაში, კლიმატური ცვლილებების შედეგებისთვის, 1983 წელს, ანალიზი ჩაატარა მეცნიერებათა აკადემიის გამოთვლითი ცენტრის თანამშრომლებმა (გვიამბობს გამოჩენილი რუსი მეცნიერი, აკადემიკოსი, გამოყენებითი მათემატიკის მთელი რიგი ახალი მიმართულებების ფუძემდებელი ნიკიტა მოისეევი), შედეგები თავზარდამცემი აღმოჩნდა: **„ბირთვული კონფლიქტი, რამენაირ ლოკალურ აცივებას კი არ გამოიწვევს, როცა ჭვარტლის ღრუბლების ქვეშ წყვდიადი გამეფდება, არამედ გლობალურ ბირთვულ ღამეს... დედამიწას უკუნეთი მოიცავს. ატმოსფეროში ატყორცნილი ასეულობით მილიონი ტონა გრუნტი, კონტინენტური ხანძრების კვამლი, ცეცხლმოკიდებული ქალაქებისა და ტყეების ფერფლი, უმთავრესად კი ჭვარტლი სავსებით დააბნელებს მზეს.“** (ჩხენკელი თ. – თვალსაწიერი. 2013. გვ.99.).

ვითომ კეთილდღეობის მოსაპოვებლად გარჯილი მსოფლიო ინტელექტუალთა ჯგუფმა, უფსკრულის პირას მიაგორა დედამიწა. დიახ, გაძლიერებულმა თანამედროვე სამრეწველო ცივილიზაციამ ისე დათრგუნა და მოათვინიერა ბუნება, რომ საითაც უნდა, იქეთ მისცემს მიმართულებას, მაგრამ შეჩერდითო, გვეუბნება ეპოქის უდიდესი მეცნიერი მოისეევი, რადგანაც **„არა მარტო ბუნებაზე ადამიანის ხელმწიფება მატულობს, არამედ – ადამიანზე ბუნების ხელმწიფებაც და მისი ბიოსფეროს მდგომარეობაზე დამოკიდებულებაც. ადამიანს ადვილად შეუძლია გადააბიჯოს იმ სამანს, იმ „საბედისწერო ზღვარს“, რომლის იქით ბუნებრივი პირობების ჩვენთვის უცნაური და მოუხელთებელი ევოლუცია დაიწყება. სადაც კაცობრიობას შეიძლება არც კი ჰქონდეს ადგილი“** („თვალსაწიერი,“ გვ 106)

ამ ძალიან რთულ, შემაშფოთებელ საკითხებზე საუბრისას, გიჩნდება აზრი, თუ რატომ და როგორ მიიყვანა შიშმა თავდაცვით საშუალებებზე ფიქრით შეპყრობილი ადამიანის გონება ბირთვული იარაღის გამოგონებამდე...

რა თქმა უნდა, მარტო შიში როდი იყო ადამიანის გონების ევოლუციის გზა , მაგრამ ამჟამად ჩვენ „შიშის“ ფენომენზე და მის მნიშვნელობაზე ვსაუბრობთ, იქმნებოდა სხვადასხვაგვარი მექანიზმები, ყალიბდებოდა ძალმომრეობის პრინციპებზე აგებული თავდაცვის აპარატი, რომელმაც სახელმწიფოს სტრუქტურის ჩამოყალიბებამდე მიიყვანა ადამიანი. ასე გრძელდება დღემდე. **დღესაც ივსება კაცობრიობის ისტორია შიშზე და უნდობლობაზე აგებული ტრაქტატებით, რაც სამკვდრო-სასიცოცხლო ბრძოლებით, ერთმანეთზე გადაკიდებით, სხვისი ტერიტორიების მითვისებით, ათასეულობით ადამიანთა მსხვერპლით კი არ მთავრდება, არამედ, უსასრულოდ გრძელდება.**

უძველესი დროიდან, ჰქონდათ რა შეცნობილი „შიშის“ ფენომენი და მისი ბოროტი გავლენა კაცობრიობაზე, ნიჭიერი ადამიანები, გამორჩეულები, უდიდესი მგოსნები, მომღერლები, პოეზიის კორიფეები, ფილოსოფოსები და სხვანი მის დასათრგუნავად იღვწოდნენ და ადამიანის მშვიდობიანი და ბედნიერი ცხოვრების დასამკვიდრებლად ქმნიდნენ გენიალურ მხატვრულ ნაწარმოებებს, სადაც ადამიანებს შორის სიყვარულისა და მეგობრობის დიად ძალაზე ამახვილებდნენ თანამედროვეთა ყურადღებას. გავიხსენოთ მსოფლიო დონის შემოქმედნი – რუსთაველი, შექსპირი, დანტე, მიქელანჯელო... ქვეცნობიერად თუ მიზანდასახულად ამ გენიოსთა მოწოდება კაცობრიობისადმი იყო – სიყვარული, მეგობრობა, თანადგომა. ადამიანების კეთილგანწყობილმა ურთიერთობამ, მეგობრობამ, სიყვარულმა გადაზრდილმა სახელმწიფოთაშორის კეთილდამოკიდებულებაში, შეაძლებინა რუსთაველის გმირებს დიდი გამარჯვება ბოროტებაზე.

„ხამს მოყვარე მოყვრისათვის, თავი ჭირსა არ დამრიდად, გული მისცეს გულისათვის, სიყვარული გზად და ხიდად“ – მსოფლიოს რამდენ ენაზე არ ითარგმნა ეს დიდებული სიტყვები, მსოფლიოს რამდენმა გენიოსმა მწერალმა შემოგვთავაზა მეგობრობისა და თანადგომის ქვეყანაში ცხოვრება, მაგრამ, სამწუხაროდ, ადამიანთა გონებისა და ხასიათის დამმორჩილებელმა საკვირველმა ძალამ – პოლიტიკამ ვერ მიიღო და ვერ იგუა, ვერ შეითვისა რუსთაველის მსგავს მომღერალთა ჰიმნები კაცობრიობის მშვიდობიან თანაცხოვრებაზე. ადამიანთა სიყვარულსა და მეგობრობაზე და ამ ამაღლებულ, ადამიანურ გრძნობებს კაცობრიობის გამანადგურებელი ატომური და ბირთვული იარაღები დაუპირისპირა. ასეთ ვითარებაში რა უნდა ქნას ისეთმა პატარა ქვეყანამ, როგორიც საქართველოა? როგორ შეუძლია მას შეაშინოს თვალუწვდენელი მიწებისა და საზღვრების მქონე სახელმწიფოები? და თუ არ შეაშინებს, ისინი გვაშინებენ, რადგანაც ჩაყლაპვით კი არ გვემუქრებიან მხოლოდ, არამედ, გვყლაპავენ კიდეც... მოვიპოვეთ დამოუკიდებლობა, მაგრამ გვიჭირს, ძალიან გვიჭირს განვითარება. **სად არის გამოსავალი? გამოსავალი თურმე ერთ უბრალო და მარტივ განზომილებაშია – სიყვარულში ! იგი გრძნობაა და დღეისათვის უკვე საკმაოდ გაცვეთილი სიტყვით – „სიყვარული“ გამოიხატება, მაგრამ თურმე რა ძნელია ამ გრძნობის ჩანერგვა ადამიანებში! „შიში შეიქმს სიყვარულსო“ – გვკარნახობს მეთორმეტე საუკუნის გენიოსი და ვფიქრობ: სიყვარულთანაც შიში? რა შიშია ეს? ეს უდაოდ პოლიტიკაა (შიში! პოლიტიკა). ასე მგონია, ასე ვფიქრობ. თითოეულმა სახელმწიფომ ადამიანური სიყვარული და თანადგომა პოლიტიკის რანგში უნდა აიყვანოს, რისი გაცნობიერებაც მხოლოდ სიტყვებით (წიგნებით) რომ ყოფილიყო შესაძლებელი, დღეს იგი (სიყვარული) აყვავებული იქნებოდა.** დღევანდელ მსოფლიოში საქმე მხოლოდ კეთილი გრძნობებით არ კეთდება, ყოველგვარი მონაპოვარი კაპიტალს ეყრდნობა, კაპიტალი კი მშვიდობისმოყვარე ადამიანების ხელში როდია თავმოყრილი. ასეა ჯერჯერობით და ვინ იცის, რა მოხდება შემდგომ. ადამიანის გაჩენის დღიდანვე შიშის ნაცვლად ერთმანეთისადმი სიყვარული, ნდობა და თანადგომა რომ ჩასახულიყო ადამიანების გულებში, რა იქნებოდა ნეტავ დღეს? განვითარების რა ფაზას მიაღწევდა კაცობრიობა? ამ კითხვაზე პასუხი ძნელია და, ალბათ, იმდენია, რამდენიც ადამიანია ქვეყნად. ასე რომ, გამოსავალი შიშის დათრგუნვა როდია მხოლოდ...

სულ ახლახან გაზეთში ამოვიკითხე ზურაბ ხონელიძის პროექტ-კონცეფციის შესახებ – „სამხრეთ კავკასია- გეოპოლიტიკური სივრცე – რეგიონული თანამშრომლობის ახალი ფორმატი.“ პროექტი, რომელიც საქართველოს უსაფრთხოების ისეთი სისტემის შექმნაში მდგომარეობს, რომლითაც შეიძლება დაბალანსდეს ჩვენი ქვეყნის შიდა ობიექტური ინტერესები, მსოფლიო მსხვილი პოლიტიკური მოთამაშეების ინტერესებთან და აქ საქართველო მარტო არ იქნება. მეზობელ სახელმწიფოებთან – აზერბაიჯანსა და სომხეთთან ერთად პროექტში მოაზრებულია მრავალმხრივი ეგზოგენური ინტერესები და რესურსები. განიხილავენ რა ამ პროექტს, ქართველი მეცნიერები ვარაუდობენ, რომ „ზ. ხონელიძე მსოფლიოში მიმდინარე პროცესების ღრმა და სისტემური ანალიზის საფუძველზე გვთავაზობს ხედვას, თუ როგორ უნდა შედგეს ახალი ქართული სახელმწიფო“ ... რაც მთავარია, პროექტი გვთავაზობს საქართველოს უსაფრთხოების, პოლიტიკური და ეკონომიკური განვითარების ახალ გზას.

კონცეფცია ქაღალდზე დაწერილი პროექტია და იგი ქაღალდზევე დარჩება, თუ მას ღრმად არ შევისწავლით, თუ მის განსახორციელებლად სახელმწიფო პრაქტიკულ ნაბიჯებს არ გადადგამს.

ჯერჯერობით კი ქვეყნის ბედ-იღბლით დაფიქრებულთა გულებში კვლავ მძვინვარებს შიში, რომელიც არც პოლიტიკაა და არც სხვა რაიმე სასიკეთო გრძნობა, შიში ადამიანის დამთრგუნველი განცდაა!..

გულნარა სტურუა

◎ მსოფლიო დღეს

რა გამოავლინა უკრაინის კრიზისმა?

(მეექვსე გვერდიდან) „შვიდეულის“ შეხვედრაზე, ურუსეთოდ დარჩენილები, გულმოდგინედ აგინებდნენ რუსეთს, იცავდნენ „უმანკო“ უკრაინას – საკუთარი შემოქმედების ნაყოფს. განსაკუთრებული სიკაპასით – ცხადია, ქალობიდან გამომდინარე, გერმანიის კანცლერი მერკელი გამოირჩეოდა. ის ქალბატონი, რომელიც აშშ-ის სპეცსამსახურებმა ლამის საიდუმლო მოსმენების მთავარ სამიზნედ გაიხადეს.

დასაწყისში მერკელი გაწიწმატდა, მაგრამ შემდეგ ჩაცხრა და „თავს ზევით ძალა არ არის“ პოლიტიკა აირჩია. არადა გერმანია ევროკავშირის ლოკომოტივია. თავწახრილი გერმანია დასავლური ფასეულობების დამცველად ვერ გამოდგება. სუვერენიტეტდაკარგული, პიონერივით მუდამ მზად მყოფი ვაშინგტონის მოწოდების შესრულებისთვის, ვერ იქნება ის ქვეყანა, რომელიც მტკიცედ იდგება ევროპულ სადარაჯოზე.

ზემოთ აღვნიშნე – ვინ მისცა უფლება აშშ-ს მთელს მსოფლიოს ჭკუა ასწავლოს?! ვინ მისცა უფლება „შვიდეულს“ ანალოგიურად მოიქცეს?! გაეროს რიგებში 200-მდე სახელმწიფოა, ძლიერი და ნაკლებად ძლიერი, წარმატებული და ნაკლებად წარმატებული, მაგრამ ყველა მათგანი აღიარებს საკუთარ სუვერენიტეტს. და ასეთ დროს – „შვიდეულის“ ბრძანებაში გადასული რეკომენდაციები, ხშირად თითის ქნევა.

„შვიდეულმა“, თუნდაც „რვიანმა“ დიდი ხანია ამოწურა თავისი შესაძლებლობები. დიდი ხანია, მან გადალახა ეკონომიკური საკითხების მოგვარების ჩარჩოები და პოლიტიკაში გადავარდა. დიდი ხანია, „შვიდეული“ „დიდმა ოცეულმა“ ჩაანაცვლა, რამაც ფაქტობრივად წირვა გამოუყვანა წინამორბედ „შვიდეულს“.

დიდი ხანია „ოცეული“ შეავსო ე.წ. სწრაფი ეკონომიკური განვითარების ქვეყნებმა, მათ შორის რუსეთმა. „ოცეულსაც“, რომ თავი დავანებოთ, შეიქმნა ისეთი ეკონომიკური კავშირი, როგორიცაა „ბრიკსი“ (ბრაზილია, ჩინეთი, რუსეთი, ინდოეთი, სამხრეთ აფრიკის რესპუბლიკა, არგენტინა), რომლის საერთო პოტენციალი თვალშისაცემია და აჭარბებს „შვიდეულისას“. ყოველივე აღნიშნული აშკარად მეტყველებს, იმ სერიოზულ პოლიტიკურ-ეკონომიკურ ძვრებზე, რაც მსოფლიოში ხდება.

საბჭოეთის დაშლამ მძიმე შედეგი მოუტანა მსოფლიო ძალთა თანაფარდობას. შეიქმნა ერთპოლუსიანი სამყარო. მსოფლიო ჟანდარმობა აშშ-ს აკისრებინეს და ისიც დიდის გულმოდგინებითა და სიხარულით ახორციელებს ისტორიის მიერ ნაბოძები პირველი ქვეყნის სამუშაოებს. როგორც ჩანს, მას მოსწონს პირველობა და ამიტომაც ძალას, ფულს და ენერგიას არ ზოგავს პირველი ქვეყნის სტატუსის სამარადისო შენარჩუნებისთვის. უკრაინის კრიზისი შენარჩუნების საქმის ერთ-ერთი მნიშვნელოვანი კომპონენტია.

უკრაინის კრიზისი არ შეიძლება ჩაითვალოს მოულოდნელ მოვლენად. კრიზისს ხანგრძლივი წინა ისტორია აქვს, მათ შორის სამხედრო აგრესია იუგოსლავიის წინააღმდეგ, ერაყში შეჭრა, რაკეტსაწინააღმდეგო სისტემების მოლაპარკებიდან აშშ-ის ცალმხრივი გასვლა, მოვლენები ლიბიასა და სირიაში. ყველა ამაში შეუნიღბავი თვალითაც კარგად ჩანს დასავლეთის მიერ გადადგმული მიყოლებითი, ჯაჭვური ნაბიჯები.

თითოეული ნაბიჯი ძირს უთხრიდა საერთაშორისო სამართალსა და გაეროს უშიშროების საბჭოს როლს. თითოეული ნაბიჯი ხელს უშლიდა მრავალმხრივ, კოლექტიურ მოქმედებას, ამართლებდა სამხედრო ძალის გამოყენებას. ამდენად პირველი, რაც უნდა გაკეთდეს, არის საერთაშორისო უსაფრთხოების მექანიზმის განმტკიცება, ახალი მსოფლიო წესრიგის ერთობლივი შემუშავება.

უკრაინის კრიზისმა ნათელყო, რომ ნდობის ფაქტორი რუსეთსა და დასავლეთს შორის კი არ გაიზარდა, პირიქით – შემცირდა. რაც არ უნდა პარადოქსულად ჟღერდეს, საბჭოეთის არსებობის პერიოდში ის (ფაქტორი) გაცილებით მეტი იყო, ვიდრე დღეს. თუმცა მაშინაც უცხო არ იყო შიში. განვლილმა ოცმა წელმა, განსაკუთრებით უკრაინის მოვლენებმა, წინა პლანზე წამოწია „ცივი ომის“ დროინდელი რიტორიკაც, აღორძინდა ორივე მხარეს არსებული რეაქციული ძალები.

უკრაინის კრიზისმა დაგვანახა ევრო-ატლანტიკური ინსტიტუტების სისუსტე საყოველთაო მშვიდობის დაცვის საქმეში. არ ჩანს ეუთოს როლი ამ საქმეში, ხოლო რუსეთ-ნატოს საბჭო ტექნიკურ ორგანოდ გადაიქცა.

უკრაინის კრიზისის განმავლობაში წამოიწია ისეთი საკითხები, რომლებიც არაერთხელ შეგვახსენებდნენ გადაჭრის აუცილებლობას ბოლო 20 წლის განმავლობაში: იუგოსლავიის, ერაყის, ლიბიის, სირიის მაგალითებიდან გამომდინარე. ყოველივე ამან ერთობ მწვავედ, ვიდრე უწინ, უკრაინის მოვლენების დროს გაიჟღერა. რა საკითხებია ესენი? **უპირველესად, ტერიტორიული მთლიანობა და თვითგამორკვევა, კანონიერი ხელისუფლება და არშემდგარი ქვეყანა, რა შემთხვევაში შეიძლება ვაღიაროთ თვითგამორკვეული ხალხის ლერგიტიმურობა და ა.შ.**

თვითგამორკვევის თემა მძლავრად გაჟღერდა კოსოვოს, სამხრეთ ოსეთის, აფხაზეთის, ყირიმის მოვლენების წყალობით. თუმცა უკრაინა, ამ ჭრილში, არის მთავარი მამოძრავებელი, მსოფლიო პოლიტიკის უძლურობის გამოაშკარავების საქმეში. **უკრაინამ არა მარტო მსოფლიო ინსტიტუტების სრული იმპოტენცია გვაჩვენა, არამედ მსოფლიო ლიდერების მეშჩანობა, თავშეუკავებლობა, სერიოზული პრობლემის ერთიანი ძალით გადაჭრის უძლურება.** როდესაც „შვიდეულის“ მეთაურები, „მერვის“ „შეცდომის“ გამოსწორების მაგივრად, თავს არიდებენ მასთან პირისპირ ლაპარაკს – უსუსურობა და უპასუხისმგებლობაა.

„შვიდეულმა“ უარი თქვა „რვიანის“ ფორმატზე, ანუ პუტინთან დალაპარაკებაზე, რაც დანაშაულის ტოლფასია. როდესაც უკრაინის აღმოსავლეთი ცეცხლშია გახვეული, როდესაც მშვიდობიანი მოსახლეობა იღუპება, საკუთარი სიძლიერის დასამტკიცებლად, ძლიერთა ამა ქვეყნისათა, იმის ძალა უნდა ჰქონდეთ თვალებში ჩახედონ „დამნაშავე“ პუტინს. მაგრამ ძლიერნი ამა ქვეყნისანნი, იმიტომ არიან სუსტნი, რომ არ ძალუძთ, სიმართლეს გაუსწორონ თვალი. ამის ნაცვლად ბრიუსელში დასხდნენ და ენა გადაიტყავეს პუტინის ლანძღვით.

დალაპარაკება, თუმცა ხანმოკლე, მაგრამ მაინც, ნორმანდიაში გამართული ზეიმის დროს მოხდა – ფაშისტების წინააღმდეგ მოკავშირეთა ჯარების გადმოსხმის 70-ე წლისთავის აღსანიშნავ ცერემონიალზე. კიდევ კარგი, რომ ზეიმის დღეს გაჩნდა ურთიერთთან დალაპარაკების შანსი, წინააღმდეგ შემთხვევაში, ვინ იცის, როდის გალღვებოდა ყინული?

მეორე მსოფლიო ომში საბჭოეთის მიერ გაწეული უდიდესი წვლილისთვის მიიწვიეს რუსეთის პრეზიდენტი პუტინი საფრანგეთში. და ეს დღე უმეტესად უკრაინის პრობლემების პირისპირ სასაუბრო დღედ გამოდგა. მანამდე კი იყო ლიდერებს შორის გამართული – ნაკლებად ეფექტიანი სატელეფონო საუბრები.

უკრაინის კრიზისმა ნათელჰყო, რომ მოსაგვარებელი საქმე დროზე უნდა მოგვარდეს, გაჭიანურება ნიშნავს კრიზისის გახანგრძლივებას, მეტ სისხლსა და ნგრევას. საერთაშორისო თანამეგობრობას რომ მეტი გულისყური გამოეჩინა პრობლემის სწრაფი მოგვარებისთვის, დამნაშავეები დროულად დაესაჯა, დღევანდელი ჩიხური ვითარება არ იქნებოდა. საერთაშორისო საზოგადოება მედიის მიერ გავრცელებულ ჭორ-მართალს აჰყვა და „დამნაშავისკენ“ თითის შვერას მოჰყვა, შექმნილი ვითარების გამოსწორების ნაცვლად.

უკრაინის კრიზისმა გამოავლინა იმათი რადიკალიზმი, ვინც კრიზისი წარმოშვა. ევროპელები რახანია შეეჩვივნენ ულტრამემარჯვენე დაჯგუფებათა არსებობას – არა უშავს, ცოტანი არიან და ჯანსაღ საზოგადოებას ვერაფერს ავნებენო. უკრაინამ ცხადყო მსგავსი მოსაზრების ინფანტილიზმი. თუ საწყის ეტაპზე მშვიდობიანი „მაიდანი“ ნაკლებად საშიში იყო ნეოფაშისტური გამოვლინებისგან, შემდგომში ფაშისტურად გადაიქცა – შეიარაღებული გადატრიალებაც მოაწყო და ომიც გაჩაღდა საკუთარი მოსახლეობის მიმართ.

უკრაინის რადიკალიზმმა, თავისთავად გამოიწვია რუსული რადიკალიზმი და არა მარტო რუსული, არამედ ევროპული, ამერიკული; გარდა ამისა გამოავლინა სამოქალაქო საზოგადოების სრული უსუსურობა კონფლიქტის მოგვარებაში. არასამთავრობათა როლი ნულს გაუტოლა.

და რაც მთავარია, უკრაინის კრიზისმა კიდევ ერთხელ დაგვარწმუნა, რომ ადრე დამყარებულ ურთიერთკონტაქტებს გაღრმავება ესაჭიროება და არა დაშორიშორება. სწორედ კრიზისულ ვითარებაშია აუცილებელი დიალოგი და არა ბუტიობა. სწორედ კრიზისულ ვითარებაში უნდა ჰქონდეს გასაქანი სისტემურ კონტაქტებს და არა ეკონომიკური სანქციების დაწესებას.

1962 წლის კარიბის ზღვის კრიზისი არ გადაიჭრებოდა, რომ არა ინტენსიური დიალოგი. სწორედ მას მოჰყვა მსოფლიო წესრიგის დამყარება. დიდმა ქვეყნებმა, უპირველესად აშშ-მა უნდა შეიგნოს, რომ მარტო ის ვერ შეძლებს მსოფლიო წესრიგის უზრუნველყოფას, მით უმეტეს მაშინ, როდესაც დიამეტრალური განსხვავება არსებობს მის და მის მოწინააღმდეგეთა კონცეფციებს შორის.

ახალი მიდგომა მსოფლიო საკითხებისადმი აშშ-მა 1990 წელს გამოავლინა – გამოაცხადა რა დემოკრატიის გაფართოება აღმოსავლეთით. ამ გეგმას უნდა მოეცვა ყოფილი საბჭოთა რესპუბლიკები, რუსეთის გარდა. ამ გეგმიდან გამომდინარე, აშშ-ის პრეზიდენტმა კლინტონმა დაიწყო ნატოს აღმოსავლეთით გაფართოება (1994 წ.).

კლინტონის ინიციატივას კრემლმა მკვახე რეაქცია მოაყოლა, თუმცა ამაოდ. ასე და ამრიგად, 1994 წელს დაიწყო დიდი აღმოსავლური იერიში ბალტიის ზღვიდან, შავ ზღვამდე, რამაც მოიცვა ფინეთი, ბალტიისპირა ქვეყნები, „ვიშეგრადის ქვეყნები“ (პოლონეთი, ჩეხეთი, უნგრეთი, სლოვაკეთი), უკრაინა, მოლდოვა, რუმინეთი, ბულგარეთი, საქართველო.

გამწვავებული ვითარების დასარეგულირებლად, 1997 წელს გაიმართა რუსეთ-ნატოს შეხვედრა. ნატო დაპირდა რუსეთს, რომ ახალი წევრების ტერიტორიაზე არ განალაგებდა მსხვილ სამხედრო კონტიგენტს და ბირთვულ იარაღს. თავის მხრივ, რუსეთი არ განალაგებდა ამ ქვეყნების საზღვრებთან თავის ჯარს. მაგრამ მას შემდეგ მოხდა მრავალი ქვეყნის ნატოში გაწევრება, ხოლო „ფერადმა“ რევოლუციებმა უკრაინა-საქართველო ჩაახუტეს ნატოს.

ნატოს ტრიუმფალურ აღმოსავლურ სვლას ბარიერი აღუმართა 2008 წლის ცხინვალის ომმა, რომელმაც დაამტკიცა, რომ რუსეთს ძალუძს საკუთარი სამხედრო ძალების გამოყენება საზღვარგარეთ. შემდეგი ეტაპი იყო და არის „აღმოსავლეთის პარტნიორობა“. მის მიხედვით უნდა მომხდეს უკრაინის, ბელორუსის, მოლდოვას, საქართველოს, აზერბაიჯანისა და სომხეთის ევროკავშირთან ეკონომიკური ინტეგრაცია. პროგრამა 2009 წელს ამოქმედდა პარიზში. რუსეთმა თავის მხრივ შეიმუშავა ევრაზიული კავშირის პროექტი, რომელსაც სულ ახლახანს მოეწერა ხელი ასტანაში.

2010 წელს რუსეთმა შესთავაზა აშშ-ს აღმოსავლეთ ევროპაში ურთიერთმოქმედების ხელშეკრულების გაფორმება, რაზეც ვაშინგტონმა უარი განაცხადა, ვინაიდან მიუღებლად ჩათვალა ე.წ. გავლენის სფეროების არსებობა, ცხადია, რუსეთისთვის და არა თავისთვის. მას ყველგან, მთელს მსოფლიოში უნდა ჰქონოდა გავლენა. ერთ-ერთი ასეთი უკრაინაა.

ერთიანი უკრაინა ამერიკისთვის საბჭოეთის არ აღდგენის გარანტიას ნიშნავს. გარდა ამისა, ამერიკისთვის უკრაინა არის რუსეთთან დსთ-ს ინტეგრაციული პროცესის საწინააღმდეგო ტორპედო.

უკრაინის ნეოფაშისტთა მოქმედებით, ვაშინგტონი იმედოვნებს უკრაინაში რუსეთის ჯარის შეჭრას და მასთან დაჯახებას. რუსულ-უკრაინული სამხედრო კონფლიქტით ვაშინგტონი ვარაუდობს რუსული გავლენის სფეროს შეჩერებას. უკრაინის ნეოფაშიზმის აღორძინება, მისი ანტირუსულად ამოქმედება ამერიკული პროექტია – შორსმიმავალ გეგმებზე გათვლილი.

უკრაინის კრიზისმა ცხადყო, რომ თანამედროვე ევროპა მოკლებულია კრიზისების მოწესრიგების მექანიზმს. არც ერთი მოქმედი ევროპული სტრუქტურა არ გამოსულა სამშვიდობო ინიციატივებით. არათუ აშშ, არამედ არც ერთი ევროპული სახელმწიფო არ ცდილა, უკრაინის კრიზისთან დაკავშირებით, რუსეთთან მოლაპარაკების გამართვას. რაც შეეხება სანქციებს – იცოცხლეთ.

დასკვნისთვის, უკრაინის კრიზისმა გამოავლინა აშშ-ის ცალმხრივობა პირველობის შენარჩუნებასთან დაკავშირებით, ევროპის ქვეყნების უყოყმანო მორჩილება ჰეგემონის წინაშე და, რაც არანაკლებ საკვალალოა, საკუთარი სუვერენიტეტის რყევის ხარჯზე, საერთაშორისო ინსტიტუტების იმპოტენცია კრიზისული სიტუაციების მოწესრიგების საქმეში და სრული უმოქმედობა ვაშინგტონის დირექტივების

გარეშე, რუსეთის სურვილი, იმოქმედოს დამოუკიდებლად, მტკიცედ, არ დაემორჩილოს აშშ-ის მიერ შექმნილ მსოფლიო მოწესრიგების სისტემას, იბრძოლოს საკუთარი პოზიციების განმტკიცება-შენარჩუნებისთვის.

ჰამლეტ ჟიპაშვილი,
პოლიტოლოგი.

დედამიწის ზურგზე

ორმა ტორნადომ პრაქტიკულად მიწასთან გაასწორა პატარა ძალაძი ამერიკის ნებრასკის შტატში, არის მსხვერპლი

ძლიერმა ტორნადოებმა გადაუარეს ნებრასკას ჩრდილო-აღმოსავლეთ ნაწილს. სტიქიისაგან ყველაზე მეტად დაზარალდა პატარა ქალაქი პილჯერი, რომლის მოსახლეობაც დაახლოებით 350 კაცია. არის მონაცემები, ორი დაღუპულისა და ათობით დაჭრილის შესახებ, რომლებიც კრიტიკულ მდგომარეობაში არიან. შტატის გუბერნატორმა საგანგებო მდგომარეობა გამოაცხადა.

* * *

ანტიტერორისტული ოპერაციის მთელი პერიოდის განმავლობაში უკრაინის სამხრეთ-აღმოსავლეთში 125 უკრაინელი ჯარისკაცი დაიღუპა, უმრავლესობა – არა ბრძოლებში

საბრძოლო მოქმედებების შეწყვეტის შემდეგ შეიარაღებულ აქტივისტებს ნებას მისცემენ, დატოვონ ქვეყნის ტერიტორია, განაცხადა უკრაინის პირველმა ვიცე-პრემიერმა ვიტალი იარემამ. ამ დროს საბრძოლო მოქმედებები ლუგანსკისა და დონეცკის ოლქებში გრძელდება.

* * *

ობამამ კონგრესს ერაყში 275 სამხედრო მოსამსახურის გაგზავნის შესახებ აცნობა

თეთრი სახლის განცხადებაში ხაზგასმითაა აღნიშნული, რომ ამერიკული სამხედრო კონტინგენტი შეჰყავთ ერაყში ერაყის მთავრობის ნებართვით. „ეს ძალები გაიშლება იმ მიზნით, რომ დაიცვან ამერიკელი მოქალაქეები და, თუ აუცილებელი იქნება, მათი საკუთრებაც“.

* * *

აშშ და ევროკავშირი განიხილავენ ახალ სანქციებს რუსეთთან დაკავშირებით ენერგეტიკის, თავდაცვისა და საბანკო სექტორში

ამერიკის სახელმწიფო მდივნის თანაშემწის ვიქტორია ნულანდის სიტყვებით, ამერიკის შეერთებული შტატები და ევროკავშირი მუშაობენ სანქციების სერიაზე რუსეთის ენერგეტიკისა და საბანკო სექტორებში, აგრეთვე გეგმავენ შემზღუდავ ზომებს „თავდაცვის სფეროში“. როდესაც სანქციების შემოღების მიზეზებზე საუბრობდა, ქალბატონმა ნულანდმა დააკონკრეტა, რომ ამერიკის ხელისუფლების შეშფოთებას იწვევს თითქოსდა ნატოს დადასტურება, რომ უკრაინაში რუსეთის ფედერაციიდან გაიგზავნა ტანკები და იარაღის სხვა სისტემები.

ლევან მინდიაშვილი: მე ვეძებ პარალელებს...

ნიუ-იორკში, The Lodge Gallery-ში აშშ-ში მხატვარ ლევან მინდიაშვილის პირველი პერსონალური გამოფენა სახელწოდებით „საზღვრის ხაზები“ (Borderlines) გაიხსნა. ამ ექსპოზიციის ჩანაფიქრი მას ჯერ კიდევ 2010 წელს ბუენოს-აირესში ყოფნის დროს დაებადა, როცა ამ ქალაქის არქიტექტურასა და მეტროპოლიებში პირადსა და საჯარო სივრცეებს შორის საზღვრების გარდამავლობას აკვირდებოდა.

– ჩემი ინტერესი სცდება ქალაქისა და მისი თვისებების ჩვენებას. მე არ მაინტერესებს ის რაც, ამ ქალაქებისთვის უშუალოდაა დამახასიათებელი, არამედ მაინტერესებს ის, რა აქცენტებს მკარნახობს ესა თუ ის ქალაქი – ამბობს ლევანი. – პირველი პროექტის ჩანაფიქრი უშუალოდ ბუენოს-აირესის არქიტექტურით მოვიდა, მერე – ნიუ-იორკით და ამ გამოფენაზე ქალაქების აქცენტები ბუენოს-აირესსა და ნიუ-იორკს შორის მერყეობს. ვფიქრობ, ამ თემაზე კიდევ რამდენიმე წელს ვიმუშავებ.

– თქვენს ნამუშევრებში რამდენადაა შესაძლებელი მწახველმა ამ ორ ქალაქს შორის არსებული განსხვავება დაინახოს?

– ვიზუალურად ბევრი ელემენტია, რომლებიც ამას გაჩვენებენ. შარშან კიოლნში გამოფენა მქონდა, რომელსაც „ქალაქური ინტიმურობები“ ერქვა. ეს იყო ერთგვარი პირადი ისტორია იმ ქალაქებისა, სადაც ვცხოვრობდი. ბუენოს-აირესი და ნიუ-იორკი ისე იყო დახატული, რომ რთული იყო მათი ერთმანეთისგან განსხვავება. იდეა კი იყო იმის სინთეზი, თუ რამდენად სუბიექტურია ჩვენი აღქმა; იმის, რაც გვიყვარს ან რასაც ვეძებთ. ადამიანი ხედავს იმას, რაც უნდა რომ დაინახოს და ეძებეს რეფერენსებს, რათა მან რაღაცეების დანახვა გაუადვილოს. როცა უცხოს ვხედავთ, ვცდილობთ მის ჩვენთვის ნაცნობ სტრუქტურაში მოქცევას, რათა მისი აღქმა და იდენტიფიციტრება უფრო ადვილად მოვახერხოთ. ეტყობა, ნიუ-იორკში მეც ვეძებდი იმ ვიზუალურ რეფერენსებს, რაც ბუენოს-აირესს გამახსენებდება. როცა ბუენოს-აირესიდან ნიუ-იორკში დავბრუნდი, თითქოს თვალით ვეძებდი, თვალი ითხოვდა იმ წყლის ბაკებს, რომელიც არგენტინის დედაქალაქში ვნახე და ამიტომ ნიუ-იორკშიც უნდა ყოფილიყო. მინდოდა ის დამენახა, რაც ნაცნობთან იდენტფიცირებას მოახდენდა.

– ქალაქის არქიტექტურით შთაგონება თქვენი დიდი ხნის თემაა. შესაძლებელია ერთ მშვენიერ დღეს დასავლეთის ურბანული ინსპირაცია დასრულდეს? აღმოსავლურ შთაბეჭდილებებს არ მოსინჯავდით?

– არ ვიცი, დასრულდება თუ არა. ეს ისეთ ამოუწურავი მასალაა... სპეციფიურ თემას არ ვეძებ. უბრალოდ, სადაც ვხვდები, იქ ქალაქი ავტომატურად ხდება ჩემი თვალის არეში, მერე იმ ელემენტებს ვეძებ, რაც ქალაქს უკავშირდება. მაგალითად, რაც ჩემთვის ძალიან შთმბეჭდავი იყო, ეს სტამბულია. ძალიან შთამბეჭდავი ქალაქი და მე მივხვდი, რომ ეს ის ქალაქია, სადაც დიდი სიამოვნებით ვიმუშავებდი. თითქოს ვეძებდი იქ იმას, რაც მანამდე სხვაგან ნანახთან იდენტიფიცირებული იქნებოდა. სხვათა შორის, ჩემს პროექტებში ცოტაოდენი თბილისიცაა.

– ხშირად მეგაპოლისებში ფასადები აბსოლუტურად განსხვავებულია შენობების შიდა დიზაინისგან და ერთი შეხედვით, ძალიან შეუსაბამოა...

– ხშირად ასეა: გარედან შენობის ფასადი ნეოკლასიკური, ევროპული სტილითაა და როცა შიგნით შედიხარ – იქ სულ სხვა რამ გხვდება. მაგალითად, ოფისი, თუმცა დასავლეთში არსებობს არქიტექტურული სტანდარტი. ესაა, როცა ოფისებს სახე გარეგნულად შენარჩუნებული აქვს, შიგნით კი უფლება აქვთ შეცვალონ, ოღონდ მხოლოდ მკაცრად განსაზღვრული წესის თანახმად. თბილისში შეიძლება კლასიკური სტილის ფასადის შენობას მიეცეს ე.წ. იტალიური ეზოს მსგავსი რამ. ეს კი ვიზუალურად ძალიან განსხვავებულია იმისგან, რაც თავიდან იყო ჩაფიქრებული. საინტერესო ფენომენია – ე.წ. ევროპულ ფასადსა და შიდა სტრუქტურას შორის განსხვავებულობა. ეს ის თემაა, რომელიც მაინტერესებს და რომელზეც სიამოვნებით ვიმუშავებდი.

– როგორც ჩანს, ურბანისტი ხართ, გიყვართ ბეტონი...

– მე ყოველთვის დიდ ქალაქებში ვცხოვრობდი და ვიცი, მხოლოდ დიდ ქალაქებში შემიძლია ცხოვრება. იქ, სადაც ყველაფერი მჩქეფარეა და ვიცი, რომ ასე ვიქნები. თუმცა, მე არ მაინტერესებს ჩემი აღფრთოვანება ქალაქებით, არამედ მაინტერესებს ქალაქი, როგორც სოციალური, პოლიტიკური და ისტორიული ფენომენი, რადგანაც ეს ყველაფერი ყველაზე კარგად ჩანს ამ ძალიან მჩქეფარე, დიდ და ბეტონირებულ ქალაქში. ჩემი ნება რომ იყოს, დიდი სიამოვნებით ვიცხოვრებდი ბუენოს-აირესში. უბრალოდ იქ არსებული სიტუაცია ამის საშუალებას არ მაძლევდა. ნიუ-იორკში კი შემოთავაზებების გამო დავრჩი და ახლა ვგრძნობ, რომ ეს ისეთი მნიშვნელოვანი ეტაპია ჩემს ცხოვრებაში, რომ მე სწორედ აქ უნდა ვიყო. ყველას ცხოვრებაშია ე.წ. პატარა მინიშნებები და სწორედ ეს მოხდა ჩემს ცხოვრებაში. ვცდილობ, ვიყო ყურადღებიანი ამგვარი მინიშნებების მიმართ. ადამიანს შეიძლება სულ სხვა გეგმები ჰქონდეს, მაგრამ ამ მინიშნებებმა აზრი შეუცვალონ. არადა ნიუ-იორკი სულ არ შედიოდა ჩემს გეგმებში.

– როგორ დაახასიათებდით „საზღვრის ხაზების“ კონცეფციას?

– ნიუ-იორკში ჩამოსვლისას ორ კურატორთან – კიტ შვეიცერთან და ჯეისონ ვოგელთან დავიწყე თანამშრომლობა. ამ ადამიანებმა „ლოჯი გალერეა“ ერთი წლის წინ დააფუძნეს და თავიანთ გალერეაში ექსპოზიციის გამართვაც შემომთავაზეს. იმთავითვე გვინდოდა, რომ თემა ყოფილიყო არქიტექტურა, როგორც მეტაფორა იმ ცვლილებებისა, რომელიც დღესდღეობით მთელს მსოფლიოში ხდება. გლობალიზაციას თავისი შედეგები მოაქვს, იგი მოქმედებს ჩვენს ცნობიერებაზე და ქალაქების ურბანულ განვითარებაზე. ამავე დროს ხდება თავად იმიჯების გლობალიზირებაც. ძალიან ბევრი მხატვარი ირჩევს ერთსა და იმავე იმიჯს, რადგან თავად იმიჯი გახდა სამეტყველო ენა. იგი ისეთივე მნიშვნელოვანია, როგორც სიტყვა. ის არაა დამოუკიდებელი სუბსტანცია. მწერალი ხომ თავისი ნაწარმოებებისთვის ახალ სიტყვას არ იგონებს, არამედ სიტყვათა წყობას; წერს, ნამუშევრებს ქმნის. ხელოვნებაშიც ასეა. ინფორმაციის გლობალიზაცია და მისაწვდომლობა, თავად გამოსახულებაც, ლექსიკონიც მედიუმი გახდა, სადაც სიტყვა არის იმიჯი. ის კი არაა მნიშვნელოვანი თუ მხატვრები რა სახის ახალ იმიჯებს ქმნიან (თუმცაღა, რასაკვირველია, არსებობენ გამონკლისები), არამედ ის, რომ უკვე არსებული იმიჯებისგან ქმნიან ტილოებს. იდეა ამ გამოფენის ისაა, რომ არტი თავადაა ისტორიული ფაქტორი; რომ ყველა დიდი ცვლილება, საზოგადოებივი, პოლიტიკური თუ ისტორიული ყველაზე თვალსაჩინოდ მაინც არქიტექტურაზე აისახება.

ურბანული არქიტექტურა კიდევ უფრო დინამიური და საინტერესო იმიტომაა, რომ გარე ცვლილებები მასზე თავისებურად აისახება. იგი კი საინტერესო მასალაა ამ ცვლილებების დასანახად და შესამჩნევად. ბევრი არტისტი და ურბანისტი უკვე იმაზე საუბრობს, რომ არაერთი ქალაქის ისტორიულ იდენტობას საფრთხე ემუქრება. არადა იმდენად საფრთხე კი არ ემუქრება, რამდენადაც სერიოზულ ცვილებებს განიცდის, რადგანაც ჯენტრიფიკაცია (ახალი ტერიტორიების ურბანული ათვისება) გარდუვალი პროცესია და ეს თანამედროვე არქიტექტურაზე აისახება. მაგალითად, ბრუკლინის უბანი უილიამსბურგი იყო ძალიან ღარიბი უბანი. მერე იქ არტისტები დასახლდნენ, მერე კორპორაციები შევიდნენ და გახდა ამერიკული ურბანული ტერიტორია. ტერმინი „ჯენტრიფიკაცია“ მაშინ გამოიყენება, როცა შედარებით აუთვისებელ ტერიტორიებზე ხდება ზოგადგლობალური ქსელის განვითარება, მათ შორის, ახალი შენობების მშენებლობა და კომპანიების განთავსება.

– ამ საზღვრის ხაზებში, ალბათ, ბევრი მეტაფორაა.



– ყველა დიდი ქალაქი ძველისა და ახლის მიჯნაზე დგას: ძველ ისტორიულ წარსულსა და თანამედროვეობას შორის. ჩემთვის მთავარია ქალაქის მეტაფორების დანახვა. ჩემს ნახატებში თეთრი ლაქები, ხაზები ამ მიჯნის მეტაფორა, ვირტუალური ბარიერია. შუშის კედლებზე შუშის ფარდაა, სხვადასხვა სიმბოლოებია და ფორმები, რომელიც, მაგალითად, ჩიტებს იცავს, რომ გამჭვირვალე მინას არ შეასკდნენ. ძველი არქიტექტურა ახალი შენობების მინებში ირეკლება და შეგიძლია იმაზე დაკვირვებაც, თუ როგორც ჩაენაცვლება ძველს ახალი. მიჯნის მეტაფორაა ახალ შენობებზე ძველი არქიტექტურის ანარეკლი, ასიმეტრიული, დეფორმირებული დეტალები, რომლებიც გარკვეულწილად წარმავალობასა და წარსულზე მიუთითებს და ნელ-ნელა ძველის ახლით ჩანაცვლება ხდება.

– ცოტა უცნაურია ჩემთვის, როცა ოფისები, სავარჯიშო კლუბები განსაკუთრებით პირველ სართულებზე ხალხმრავალ ქუჩებშია განლაგებული და შენ შეგიძლია, თვალი მოჰკრა ადამიანებს, რომლებიც ისე იქცევიან, თითქოს არ იციან, რომ მათ ხედავენ.

– ამდაგვარი ქცევა სოციალურ ქსელებშიც შეიძლება შევნიშნოთ, როცა ადამიანები მაქსიმალურად ცდილობენ საკუთარი თავის ჩვენებას. სწორედ ესაა ჩემი ინტერესის სფერო: როცა პირადი ყველასთვის საზოგადო, მისაწვდომი ხდება. მე მაინტერესებს სად გადის ზღვარი პირადსა და საზოგადოს შორის, სადაა ეს ბეწვის ხიდი და მყიფე გამყოფი ხაზი. არქიტექტურა თავისი მეტაფორებით რეაგირებს ახალი ტრანსპარენტულობის შემოტანაზე. ამავე დროს მე არ ვეძიებ შენობის ისტორიულ არსს, არამედ მის პოლიტიკურ მხარეს. მე ამავე დროს არა ვარ რაიმეს კრიტიკოსი, არამედ – მხოლოდ კომენტატორი და ინტერპრეტაციებისთვის სივრცეს სხვებს ვუტოვებ. მე ვეძებ პარალელებს.

– ნიუ-იორკში არაერთი ასეთი ადგილია. თუნდაც ჩელსის ზოგიერთი უბანი, რომელიც ჯენტრიფიცირდა, მაგალითად, ტრაიბეკას კინოფესტივალის ჩატარების შემდეგ.

– როგორც წესი, ჯენტრიფიკაციას იდენტობის ცვლილება მოჰყვება. ჩელსი იყო კრიმინალური, ნახევრად ბოჰემური უბანი და ახლა კი პრესტიჟულ უბნად გადაიქცა. ბუშვიკიც და დამბოც ასეთია. იქ ბინები ძალიან იაფი ღირდა. ჯენტრიფიკაციის მერე იქ უძრავი ქონება გაძვირდა, გაიხსნა მაღაზიები, კორპორაციებმა საოფისე ფართები დაიქირავეს. თბილისს, სამწუხაროდ, ეს პროცესი დიდი ხანი კიდევ ვერ შეეხება. თბილისში ყველაფერი ცენტრში და ცენტრიდან ორი ბლოკში ხდება. სცადეთ, აბა, გალერეა დიდუბეში გახსნათ. გამოფენაზე შეიძლება არავინ მოვიდეს, მეგობრების გარდა.

– რამდენად უკავშირდება ჯენტრიფიკაცია დეცენტრალიზაციას? თუნდაც წინა ხელისუფლების მიერ დაწყებულს. მაგალითად, პარლამენტის ქუთაისში გადატანას?

– ამის საკუთესო მაგალითია გერმანია. ბონში დიდი ხანია, არაფერი ხდებოდა. ქვეყნის დედაქალაქი უბრალოდ ადმინისტრაციული ცენტრი იყო. კულტურულად უფრო მნიშვნელოვან დიდ ცენტრს დუსელდორფი წარმოადგენდა. იქ კულტურა ვიზუალურ ხელოვნებაზე, ფერწერაზე, ქანდაკებაზე იყო კონცენტრირებული. კიოლნი კი უფრო ფოტოგრაფიით, ვიდეოარტით იყო ცნობილი. ბერლინში კი ელექტრონული მუსიკის სუბკულტურა გაჩნდა. მაგალითად, კარლსრუე პატარა სტუდენტური ქალაქია და ვისაც ახალი მედიების განვითარება აინტერესებს, იგი სასწავლებლად კარლსრუეში უნდა ჩავიდეს. ევროპაში ქვეყნის განვითარებისთვის კი სულაც არაა აუცილებელი დედაქალაქში ყველაფერი იყოს კონცენტრირებული. გერმანული სამანქანო ბიზნესიც კი ქალაქებს შორისაა გადანაწილებული. სწორედ კომუნისტური პერიოდის გადმონაშთია მკაცრი ცენტრალიზაცია, რათა მართვა უფრო ადვილი იყოს. მაგალითად, სსრკ-ის დროს რუსეთში მხოლოდ მოსკოვი და ლენინგრადი იყო აქტიური ქალაქები. თუმცა დღევანდელი სანკტ-პეტერბურგიც უკვე არსად ფიგურირებს. მოსკოვის გარდა არსად არაფერი არსებობს. ამგვარი პოლიტიკა კონტრპროდუქტიულია, რადგანაც უპირველესად ეს იმის მაჩვენებელია, რომ ქვეყანა არათანაბრად ვითარდება.

– როგორ შეიძლება ეს პრობლემა საქართველოში გადაწყდეს?

– საქართველოში არაერთი რესურსი არსებობს, რომლის საშუალებითაც ქალაქის ცხოვრების გააქტიურებაა შესაძლებელი. ამისთვის სხვადასხვა რეგიონზე გარკვეული სახის კაპიტალი უნდა გადანაწილდეს. თბილისის შემდეგ აქტუალური ბათუმი გახდა, ზღვა, ჯაზ და კინო ფესტივალები და ეს გასაგებია. ქუთაისი ჯერ კარგად ვერ წარსდგა, იგი მხოლოდ პარლამენტის მუშაობის გამო ჩნდება მხედველობის არეში. არადა ოდესღაც ქუთაისი მოდენული ხელოვნების ცენტრი იყო თავისი სიმბოლისტებითა და არტისტული აურით. რასაკვირველია, საქართველოს ჯენტრიფიკაციისთვის აუცილებელია, რომ პირველ ეტაპზე ინფრასტრუქტურის განვითარებაზე სახელმწიფო ზრუნავდეს, რათა ადამიანს საკუთარი თავის რეალიზება შეეძლოს. ამ პოლიტიკის განვითარებისთვის კი აუცილებელია, არსებობდეს ინტერესი.

– კვლავ დავუბრუნდეთ ნიუ-იორკს. როგორ აისახება ჯენტრიფიკაციისას ე.წ. იდენტობის დაკარგვა? პატარა ერებს, ჩვენნაირებს, ხშირად აწუხებთ ნაციონალური იდენტობის დაკარგვის შიში.

– რემ ქულჰაასი, ვენეციის ბიენალეს არქიტექტურის კურატორი ამბობდა: ასი წლის წინათ ჩვენ ჯერ კიდევ შეგვეძლო გვესაუბრა იაპონურ ან შვედურ არქიტექტურაზე, მაგრამ ახლა საქმე სხვაგვარადაა. ზოგადად ამ პროცესებმა, რომლებიც ბოლო ასი წლის განმავლობაში მოხდა, დააახლოვა ქვეყნები ისეთი სიჩქარით, რომ არქიტექტურა ძალიან სწრაფად ექცევა ერთმანეთის გავლენის ქვეშ. დღეისათვის იგი ნაკლებად მიჰყვება ეროვნული განვითარების ნიშნებს, მას უფრო გლობალური იმიჯები აინტერესებს და ქმნის კიდეც ამ იმიჯებს. მაგალითად, ნიუ-იორკში ახალი შენობა ნაკლებად ითვალისწინებს ნიუ-იორკის ისტორიულ სახეს. ძალიან გაძნელდება თანამედროვე შენობაზე, მაგალითად, 2010-ში აშენებულზე (როგორი კარგიც არ უნდა იყოს იგი), იმსჯელო იმისდა მიხედვით, თუ გეოგრაფიულად რომელ კონტინენტს მიეკუთვნება იგი. ის თითქმის ისევეა ნიუ-იორკში, როგორადაც აშენდებოდა ტიკიოში ანდა მადრიდში.

– ბევრს აწუხებს ის, რომ მოხდა თბილისის სინგაპურიზაცია/დუბაიზაცია. როგორც ამბობენ, ქალაქმა თავისი მეობა დაკარგა.

– ეს მართლაც ძალიან დიდი პრობლემაა. სამწუხაროდ, ადამიანებს სათანადოდ არ ესმით არც კულტურული მემკვიდრეობის იდეა, არც ტრადიცია, და არც თანამედროვე ხელოვნება. რატომღაც ჰგონიათ, რომ თანამედროვე არქიტექტურა უნდა იყოს თბილისის მინა-რკინაში ჩასმა, ანდა მსოფლიოს რომელიმე ქალაქის მოდელის გამეორება. ამის კარგი მაგალითია ის პროექტი, რომელიც „მაგთის“ მიერ რუსთაველზე შენდება. ეს არის ე.წ. ეროვნული არქიტექტურის არასწორი გაგება. სსრკ–ის დროს ეროვნული მოტივების ხაზგასასმელად შენდებოდა შენობები, რომელზეც ასლები ქართული საეკლესიო ორნამენტებიდან, ოღონდ გადიდებული, ფაქტობრივად, პირდაპირ გამოჰქონდათ. მას ეროვნული იდენტობის განვითარების იდეა ებმებოდა. ახლაც იგივე ხდება, უბრალოდ ახლა საშენი მასალაა შეცვილილი.

– ეს „რებრენდინგის“ მცდელობაა?

– ჰო, ესაა ეროვნულობის არასწორად გაგება: ნაძალადევი, ფორსირებული, ყურით მოთრეული, რომელიც ემორჩილება კანონს: იგი უპირობოდ ეროვნული უნდა იყოს... „მაგთის“ შენობა რუსთაველის თეატრის ფასადის ატრიბუტიკის დეტალებს იმეორებს და ამით მას ამსგავსებენ.

– და თუ ამ დეტალებს არ გამოიყენებენ, მაშინ საპირისპირო რიტორიკა იწყება იმის თაობაზე, რომ ეს არაქართულია. თუმცაღა, თბილისის „დუბაიზაციაც“ ღიმილისმომგვრელია. დუბაიში ყველაზე დაბალსართულიანად სამოცსართულიანი შენობა ითვლება...

– რასაკვირველია, იქნება შეცდომები, რადგანაც პროფესიონალებს არ ეკითხებიან. როცა დამკვეთი უკვე ეროვნულის შეკვეთის იდეით მოდის, აქ უკვე პრობლემა იქმნება, რადგანაც ბევრს ჰგონია, რომ ეროვნული მაინცდამაინც წარსულის დეტალების გამეორებას ნიშნავს.

– თქვენ რას გააკეთებდით?

– ვფიქრობ, რომ როცა ძველის ზედაპირული იმიტირება დასრულდება და დაიწყება მსჯელობა სწორ განვითარებაზე, სწორედ მაშინ გადაწყდება ეს პრობლემა. როცა ადამიანები ხელოვნურად იმეორებენ წარსულს, უნდა ესმოდეთ, რომ დღეისათვის ეს აქტუალური ვერ იქნება. დღეისათვის ვიზულიზაციის მხრივ სულ სხვა ფორმებია მნიშვნელოვანი და სწორედ ეს იქნება ყველაზე დიდი პატივისცემა იმ ძველი სტრადიციის მიმართ, რომ მას მისი იდენტობა შეუნარჩუნო და ის აქტუალობაც, რომელიც მას იმ დროსა და იმ ეპოქაში ჰქონდა. და არავითარ შემთხვევაში მისი იმიტირება და ასლის გადაღება არ დაიწყო. ეს იგივეა, ვიჯდეთ ახლა და გაუთავებლად ჩვენს ნახატებში ვიმეოროთ ძველი ქართული ფრსეკების დეტალები. ეს რას მოგვცემს? სხვაა, როცა შეიძლება გამოიყენო მასალა, ანდა ესთეტიკური ორნამენტი ან მცირე ელემენტი. მაგრამ ფიზიკურად ხატო ის, როგორადაც მოხატულია ათენის სიონი, ეს როგორც მინიმუმ, რეალურ მხატვრობას ვერ შექმნის.

ია მერკვილაძე,
ნიუ-იორკი, აშშ



◎ მუნდიალი – 2014

მარილაც ბუნდესსტარტი!

მსოფლიოს XX ჩემპიონატის მეხუთე სათამაშო დღეს ნავსი ერთბაშად ორჯერ გატყდა და ეს ფაქტები ჯგუფური რაუნდის მეცამეტე შეხვედრაში მოხდა.

კერძოდ, ირანმა და ნიგერიამ ბრაზილიური ფორუმის პირველი ფრე „გამოაცხვეს“ და, თანაც, ასევე პირველად, ერთმანეთს უგოლოდ დაშორდნენ („ვ“ ჯგუფი).

რაც შეეხება სასტარტო ტურის ფინიშზე განვითარებულ მოვლენებს, აღსანიშნავია მარადიული ფავორიტის გერმანიის ხმაურიანი დებიუტი, რომელმაც უმოწყალოდ დატორა პორტუგალია – 4:0. ერთი შეხედვით უჩვეულოდ გამოიყურებოდა იოაჰიმ ლიოვის მიერ შერჩეული ძირითადი შემადგენლობა, სადაც ადგილი არ მოიძებნა თავდამსხმელისთვის, თუმცა მიულერ-გიოტცე-იოზილ-კროოს-ხედირა – ლამის მობილურმა შუახაზმა შავი დღე გაუთენა მეტოქეს, რომელსაც პრობლემები ისედაც არ აკლდა. მოგეხსენებათ, კრიშტიანუ რონალდუმ მუხლის ტრავმა ამ ბრძოლის წინ მოიშუშა და დამფრთხალი თამაშობდა, რასაც ამავე მიზეზით უგო ალმეიდას იძულებითი შეცვლა (30-ე წუთი) და მინდვრიდან პეპეს გაძევება (მე-40 წუთი) დაემატა.

მოკლედ, თამამად შეგვიძლია ვთქვათ, რომ ბუნდესნაკრების სახით ჩვენს წინაშე არამარტო „ზ“ ჯგუფის, არამედ მთელი მუნდიალის ერთერთი მთავარი ფავორიტი წარსდგა.

აშშ – განა 2:1.

გიორგი ზოთაძე

◎ კალათბურთი

კვანძი ხვალ გაიხსნება

თურქეთის საკალათბურთო ჩემპიონატის ფინალურ სერიაში, რომელშიც მანუჩარ მარკოიშვილის „გალათასარაი“ „ფენერბაჰჩეს“ ეპაექრება, მე-6 მატჩიც დამხვდურებმა მოიგეს და, შესაბამისად, ანგარიში 3:3 გახდა.

მორიგ მატჩს „გალამ“ უმასპინძლა და 85:77 იმარჯვა. გამარჯვებულთა რიგებში 19-19 ქულით ზორან ერცეგი და კარლოს არიო გამოირჩნენ, მარკოიშვილმა კი 16 წუთში 7 ქულა და 1 მოხსნა მიითვალა.

ქართველმა მცველმა 4-დან 2 ორქულიანი და 3-დან 1 სამქულიანი ჩააგდო, პასივში კი 4 პერსონალური ფოლი ჰქონდა.

ფინალის გადამწყვეტი შეხვედრა ხვალ „ფენერბაჰჩეს“ დარბაზში გაიმართება.

ვიტალი ჯაფარიძე

◎ ავტოსპორტი

„აუდიმ“ ლე მანი მეცამეტედ მოიგო

„აუდის“ გამარჯვებით დასრულდა ლე მანის 82-ე 24-საათიანი რბოლა, რომლის ფინიშთანაც პირველი ორი გერმანული კომპანიის ჰიბრიდული სპორტული პროტოტიპი მივიდა, მესამე ადგილი კი „ტოიოტას“ ეკიპაჟმა დაიკავა. ეს ლე მანზე „აუდის“ მე-13 გამარჯვებაა, თანაც – ზედიზედ მეხუთე. სამწუხაროდ, წარუმატებელი გამოდგა ლე მანზე „პორშეს“ დებრუნება – ცუფენჰაუზენელთა ორი ეკიპაჟიდან ფინიშს მხოლოდ ერთმა მიაღწია და ისიც ტექნიკური პრობლემების გამო მხოლოდ 37-ე ადგილზე.

ყველაზე პრესტიჟულ, LMPI კლასში სამი კომპანიის შვიდი ეკიპაჟი მონაწილეობდა. მათგან მხოლოდ „აუდის“ ჰყავდა სამი მანქანა, „ტოიოტას“ და „პორშეს“ კი – ორ-ორი. რბოლის განმავლობაში შვიდივეს შეექმნა პრობლემები. სტარტიდან უკვე ორი საათის შემდეგ ძლიერი წვიმა წამოვიდა, რამაც ორი ავარია და ტრასაზე უსაფრთხოების მანქანის გამოსვლა გამოიწვია.

რბოლის მეორე ნაწილში „აუდის“ და „პორშეს“ ეკიპაჟები დომინირებდნენ. 16 საათის შემდეგ ლიდერობდა ცხრაგზის დანიელი ჩემპიონის ტომ კრისტენსენის („პორშე“) ეკიპაჟი, როცა „აუდიმ“ გარაჟში მეორე ნომრით მოასპარეზე ეკიპაჟი იხმო. მიზეზი ტურბოკომპრესორის პრობლემა გახდა. ფინიშამდე სამი საათით ადრე მსგავსი პრობლემა ლიდერ „აუდისაც“ შეექმნა. მის რემონტს დაახლოებით 17 წუთი დასჭირდა, რისი წყალობითაც ავსტრალიელი მარკ ვებერის, გერმანელი ტიმო ბერნჰარდტის და ახალზელანდიელი ბრენდონ ჰარტლის „პორშე“ დაწინაურდა.

მალე პრობლემები „პორშესაც“ შეექმნა, რის გამოც საბოლოოდ 37-ე ადგილს დასჯერდა, „აუდის“ მეორე ნომრით მოასპარეზე ეკიპაჟმა კი ფინიშამდე ორი საათით ადრე დაიბრუნა ლიდერობა და ბოლომდე ხელიდან აღარ გაუშვია.

დაბოლოს, მართალია, ბოლო წლებში ლე მანზე „აუდის“ ბადალი არ ჰყავს, მაგრამ ამ ლეგენდარულ რბოლაში ყველაზე მეტი, 16 გამარჯვება „პორშეს“ აქვს მოპოვებული, რომელიც სარტეს ტრეკს 16-წლიანი პაუზის შემდეგ დაუბრუნდა.

კობა კობახიძე

◎ მძლეოსნობა

ქართველთა ყაზახური ჯილდოები

ალმათიში დამთავრდა მძლეოსანთა საერთაშორისო ტურნირი, რომელშიც რვა ქვეყნის წარმომადგენლები მონაწილეობდნენ, მათ შორის – ქართველები. ჩვენებურებმა სხვადასხვა სინჯის ექვსი მედალი მოიპოვეს.

კვარცხლბეკის უმაღლეს საფეხურზე ავიდნენ სიგრძეზე მხტომელი მაიკო გოგოლაძე (6,56) და 110 მეტრზე თარჯმრბენი დავით ილარიანი (13,85). გამარჯვებამდე მცირედი დააკლდათ და ვერცხლის მედლებს დასჯერდნენ ბაჩანა ხორავა (100 მ, 10,60), ნიკა კარტავცევი (200 მ, 21,54) და ანდრანიკ მატინიანი (800 მ, 1.51,27), ხოლო 200 მეტრზე რბენაში იოსებ მარუქაშვილმა (21,76) მესამე ადგილი დაიკავა.

საგულისხმოა, რომ გოგოლაძემ და ილარიანმა ევროპის ინდივიდუალური ჩემპიონატის ლიცენზიები შეასრულეს. ამ შეჯიბრებას აგვისტოს შუა რიცხვებში ციურიხი უმასპინძლებს.

გივი გაგუა

სურათებზე: დავით ილარიანი ასპარეზობისას; ნიკა კარტავცევი და მაიკო გოგოლაძე.

ავტორის ფოტოები.

◎ ძალოსნობა

თავკაცობა თავაძეს ანდეს

საძართველოს ძალოსნობის ეროვნულ ფედერაციას, მას შემდეგ, რაც 2014 წლის მარტში დავით ბეჟუაშვილმა პრეზიდენტის პოსტი საკუთარი განცხადების საფუძველზე დატოვა, შოთა ბუაძე ხელმძღვანელობდა. ორი დღის წინათ სპორტისა და ახალგაზრდობის საქმეთა სამინისტროს სააქტო დარბაზში ძალოსნობის ეროვნულმა ფედერაციამ რიგგარეშე საარჩევნო ყრილობა გამართა. პრეზიდენტობაზე ორ კანდიდატს – ბიზნესმენ არმაზ თავაძეს და სამგზის ოლიმპიურ ჩემპიონ კახი კახიაშვილს უნდა ეყარათ კენჭი. ყრილობის მსვლელობისას კახიაშვილმა კანდიდატურა კონკურენტის სასარგებლოდ მოხსნა. 50-მა დელეგატმა თავაძეს ერთხმად დაუჭირა მხარი. ყრილობას ესწრებოდნენ სპორტისა და ახალგაზრდობის საქმეთა მინისტრის პირველი მოადგილე ზურაბ აზმაიფარაშვილი, ეროვნული ოლიმპიური კომიტეტის ვიცე-პრეზიდენტი მამუკა ხაბარელი და საქართველოს ნაკრების ყოფილი მთავარი მწვრთნელი, ოლიმპიური ჩემპიონების – კახი კახიაშვილის და გიორგი ასანიძის აღმზრდელი ვანო გრიქუროვი.

ძალოსნობის ფედერაციის ახალი პრეზიდენტი 9-კაციანი აღმასკომის წევრებს ფედერაციის ვიცე-პრეზიდენტებსა და გენერალურ მდივანს დღეს წარუდგენს.

ლაშა დიდია

◎ ჩოგბურთი

მასპინძელთა უხვი ნადავლი

დედაძალაძის ლეილა მესხის ჩოგბურთის აკადემიის კორტებზე დამთავრდა 14 და 16-წლიან ჩოგბურთელთა საერთაშორისო ტურნირი. მასპინძლებმა 4 პირველი და ამდენივე მეორე ადგილი დაიკავეს.

14-წლიან ბიჭებში ნიკოლოზ დავლიანიძემ ფინალში რუსი ვიაჩესლავ იულიკი დაამარცხა – 6:3,6:4 და მთავარი პრიზი მოიპოვა. იულიკმა, თავის მხრივ, ნახევარფინალში ზურაბ ტყემალაძეს მოუგო – 1:6, 6:1, 6:3. გოგონებში ქართული ფინალი ვიხილეთ: ნახევარფინალში ასპარეზობის რეიტინგფავორიტმა მარიამ დალაქიშვილმა ანა მაქაცარიას აჯობა – 6:1, 6:3, მე-5 ნომრად განთესილმა ლანა კენჭიაშვილმა კი მეორე ნომერ ანა შანიძეს პირველი ხელი 6:3 მოუგო, მაგრამ მეორეში 3:0 რომ დაწინაურდა, შანიძემ ტრავმის გამო ასპარეზობის გაგრძელება ვერ შეძლო. კენჭიაშვილმა ფინალში რეიტინგფავორიტიც დაამარცხა და პირველი ადგილი დაიკავა. გოგონათა წყვილებში დალაქიშვილისა და შანიძის დუეტმა გადამწყვეტ პაექრობაში თურქები – იპეკ კევიკი და ბასაკ აკბასი დაჯაბნა სამ სეტში – 7:6, 6:7, 10:5. ვაჟთა წყვილებში პირველ ადგილზე ალექსანდრ ლობანოვი და დანიილ სპასიბო (ორივე-რუსეთი) გავიდნენ.

16-წლიანებშიქართველებმა მხოლოდ ერთი პირველი ადგილი მოიპოვეს: გოგონათა წყვილებში ანა ახალკაცმა და ნინო მემიშიშმა გადამწყვეტ ორთაბრძოლაში მედეა პეტრიაშვილისა და იოკუ ბოსის (თურქეთი) ინტერნაციონალურ ტანდემს დააყრევინეს ფარ-ხმალი – 6:3, 7:6. გოგონების ერთეულთა თანრიგის ფინალი მედეა პეტრიაშვილმა ანასტასია ხლესტოვასთან (რუსეთი) დათმო – 5:7, 3:6 და მეორე ადგილს დასჯერდა. ამ ასაკის ვაჟების წყვილთა თანრიგში

ყაზახმა დოსტანბეკ ტაშბულატოვმა და რუსმა ნიკიტა პარფიონოვმა ირაკლი მეტრეველი და ვაჟა შუბლაძე დაამარცხეს – 7:6, 6:3 და კვარცხლბეკის უმაღლეს საფეხურზე ავიდნენ.

ლექსო ციცაძე

◎ ინტერნეტიდან

მუნდიალი და ბრაზილიელი მეძავები

როგორც ბრაზილიური მედია იუწყება, მსოფლიო ჩემპიონატთან დაკავშირებით ბრაზილიაში მეძავების მომსახურება იმდენად მოთხოვნადი გახდა, რომ ფეხბურთის ქომაგებისათვის „მოსამსახურებლად“ ბრაზილიაში მეზობელი ქვეყნებიდან მეძავთა შემოსვლა დაიწყო.

რამდენად კოლეგიალურები არიან ბრაზილიელი ფეხმსუბუქა ქალები, ეს ჩვენ, სამწუხაროდ, არ ვიცით, მაგრამ მუნდიალის ორგანიზატორები ამბობენ, რომ უკვე არსებობს შეთანხმება ბრაზილიის ძალოვან სტრუქტურებთან და ქალებთან ავად მომპყრობნი აუცილებლად დაისჯებიან.

ჯერ კიდევ სოჭის ზამთრის ოლიმპიადის დროს ცხადი გახდა, რომ ქალებთან დამოკიდებულება სპორტის ბევრ გულშემატკივარს ეშლება და სოჭში მეძავების დაჭრისა და დასახიჩრების ათზე მეტი შემთხვევა დაფიქსირდა, ლათინოამერიკელი მეძავები კი, ამჯერად რა თქმა უნდა, ბრაზილიის პოლიციის დასაცავია.

როსტომ რაჭველიშვილი

◎ წერილები რედაქციას

ხელმადლიანობა,

ანუ სიცოცხლის ხალისი უანგაროდ

ძვირფასო რედაქცია, ჩემი ასაკის ადამიანს ვერც წარმოედგინა ამ გაუსაძლისი პირობების ხანაში თუ სამადლობელი წერილის დაწერის საბაბი მომეცემოდა და ისიც ისეთი პროფესიის ადამიანების მიმართ, ვინც სიცოცხლის სადარაჯოზე დგას. მთელი ცხოვრება შეჩვეულნი ვიყავით იმას, რომ უანგაროდ არაფერი კეთდებოდა ამქვეყნად და სიკეთე მხოლოდ ერთეულ მეცენატებსა და მილიონერებს შეეძლოთ.

ასაკზე მოგახსენებთ, ოთხმოცს კარგა ხანია გადავცდი და, ყველას მოგეხსენებათ ამ ასაკში ადამიანის ძვალ-სახსროვანი სისტემა როგორი დაქვეითებულია სიმტკიცის თვალსაზრისით. რამდენიმე თვის წინ ფეხმოტეხილ ქალს, რომ იტყვიან, „ქვა აღმართში წამოწევაო გაჭირვებულს“, ისე დამემართა და ხელიც მოვიტეხე. მოგეხსენებათ საყოველთაო დაზღვევა ყველას გვაქვს, მაგრამ ასაკს რა ვუყოთ?! მთელი დარჩენილი ცხოვრება ხეიბარი უნდა ვყოფილიყავი, მაგრამ ღვთის წყალობით გამოჩნდა მადლიანი ჯანაოზიდასტაქარი, ბატონი ტარიელ ლოლაძე და... იმასაც მოგახსენებთ, რომ არასოდეს მჯეროდა ექიმბაშებისა და ფულზე დახარბებული ათასი ჯურის შარლატანებისა, რომლებიც სხვათა ავადმყოფობის ხარჯზე ხელს ითბობდნენ მავანთა მიერ გაკეთებული „პიარით“ და „წინაპრებისგან მოგონილი მალამოებით“.

რაც შეეხება ბატონ ტარიელს, იგი მხოლოდ დასტაქარი კი არა, დიდი ფსიქოლოგიც გახლავთ და, რაც მთავარია, იმ ადამიანთა (სამწუხაროდ, დღევანდელობაში ძალიან იშვიათები არიან), რიცხვს მიეკუთვნება, ვინც პირველ რიგში პაციენტთა ჯიბეს კი არ უყურებს, არამედ მათ გაჭირვებას და სრულიად უანგაროდ, მიზერული ანაზღაურებით ემსახურებიან მათ. რაღა ბევრი გავაგრძელო და ამ ხელმადლიანი ადამიანის სასწაულმოქმედმა მალამომ ჩემი ხნის ადამიანი ფეხზე დააყენა, თითქოს არასოდეს ვყოფილვარ ხეიბარი. დავუბრუნდი ცხოვრების ჩვეულ რიტმს, ვდიასახლისობ, ცხოვრების ხალისიც დამიბრუნდა და შემიძლია ჩემი ოჯახის წევრებს ტვირთად კი არ დავაწვე, არამედ იქით დავეხმარო საშინაო საქმეებში.

დიდი მადლობა, ბატონო ტარიელ, თქვენ მართლაც სასწაულმოქმედი ბრძანდებით არა მარტო ღვთის მომადლებული ნიჭით, არამედ იმ უანგარობითა და სიკეთით, რაც ჩემნაირ ხელმოკლე ადამიანებს ცხოვრებას უხანგრძლივებს.

პაგივისცემით
სუზანა იმერლიშვილი,
პენსიონერი, თბილისი.

მხოლოდ რუსული ოკუპაცია რატომ გვახსოვს?

საქართველო დღეს რომ იმხელა აღარ არის, რაც დავით აღმაშენებლისა და თამარ მეფის შემდეგ შემოგვრჩა, ესეც რუსეთის ბრალია? განა ჩვენმა „მეგობარმა“ თურქეთმა არ მოგვიწყო ოკუპაცია თავის დროზე?..

განა ჩვენი ძმები სომხები და აზერბაიჯანელები არ ფლობენ ქართულ მიწებს აღმოსავლეთ და სამხრეთ საქართველოში, რომელმა დაგვიბრუნა და გვითხრა – ძმებო, ეს ტერიტორია თქვენია და მშვიდობაში მოგახმაროთო. მხოლოდ რუსები გამოვაცხადეთ ოკუპანტებად! არადა, რუსები რომ არ ყოფილიყვნენ, დღეს საქართველო ისტორიის ხსოვნაში შეიძლება „ლუპით“ საძებარი გამხდარიყო.

ჩვენს დღეებში რუსების მიერ საქართველოს ნაწილის დაპყრობას ჩვენც ხომ შევუწყეთ ხელი? ცხრა ზღვას გაღმა ვიხედებით, ვეძებთ მეგობარს, ახლო მეზობლის აუგად მოხსენიებას კი არ ვერიდებით, იმ სიბრძნეს არ მივდევთ, კარგ ნათესავს ცუდი მეზობელი გერჩივნოსო“. რომ გაგიჭირდება ის „ცუდი“ მეზობელი ხომ უფრო მალე გამოგიწვდის ხელს, ვიდრე...

თუ გინდა პატივი გცენ, შენც პატივისმცემელი უნდა იყო სხვის მიმართ.

ცუდს არ უნდა ცუდად გაღიზიანება! „ცხვარი ცხვარია, რომ გაბრაზდება ცხარეაო“!

ოკუპაციის მუზეუმი მარტო რუსეთისთვის რომ გავხსენით, ის ქვეყნები, რომლებსაც ქართული მიწები აქვთ მითვისებული, რატომ დავჩაგრეთ!!!

პაგივისცემით
თენგიზ თომაძე,
საქართველოს კულტურის დამსახურებული მუშაკი

სტეფანწმინდელებს წყალი უგრაფიკოდ ექნებათ

„საქართველოს გაერთიანებული წყალმომარაგების კომპანიამ“ დაბა სტეფანწმინდის წყალსადენის რეაბილიტაციის პროექტის განხორციელება დაიწყო.

პროექტს კომპანია თავად აფინანსებს და მისი ღირებულება 390 540,9-მდე ლარია.

დაგეგმილია შემკრები რეზერვუარის (500მ³) რეაბილიტაცია, დაუმთავრებელი რეზერვუარის რემონტი, საქლორატოროს შენობის რემონტი, ახადოს სათავეზე ახალი რეზერვუარის მოწყობა.

– პროექტის დასრულების შემდეგ სტეფანწმინდის მოსახლეობა სასმელ წყალს გაუმჯობესებული გრაფიკით მიიღებს, – აცხადებენ კომპანიაში.

კუს ტბის საზოგადოება თანაუგრძნობს ელიზბარ ლომინაძეს სიძის

ზაზა გველესიანის

გარდაცვალების გამო.

◎ ალიანჩალიანი

სტიქია გვიტევს

ძლიერმა წვიმამ და სეტყვამ ყვარლის რაიონიც დააზარალა. როგორც „ინტერპრესნიუსის„ კორესპონდენტი იტყობინება, დაზარალებულია ახალსოფელი , გავაზი, ბალღოჯიანი. ყვარლის მუნიციპალიტეტის გამგებლის, მალხაზ ხიზანიშვილის განცხადებით, წინასწარი ინფორმაციით, 400-მდე ჰექტარის ფართობის ვენახი განადგურდა.

დაიტბორა რამდენიმე ათეული სასოფლო-სამეურნეო სავარგული. მისი ინფორმაციით, შექმნილია სპეციალური კომისია, რომელიც სტიქიის მიერ მიყენებულ ზარალს დაითვლის. მონაცემებს სოფლის მეურნეობის სამინისტროს გადაუგზავნიან. რა ფორმით მოხდება დაზარალებული გლეხების დახმარება, ამას ცენტრალური ხელისუფლება გადაწყვეტს.

ლაგოდეხის და გურჯაანის რაიონის სოფლებიც დაისეტყვა. გურჯაანში დაზარალდა სოფლები გურჯაანი, ახაშენი, ჭანდარი, ჩუმლაყი. ლაგოდეხის რაიონში კი – ვარდისუბანი, კარსუბანი, თამარიანი და ჩადუნიანი.

მოსახლეობის განცხადებით, მათ აგროკრედიტები აქვთ აღებული, ისინი მოსავლის გარეშე დარჩნენ და ხელისუფლებას კრედიტების გადავადებას სთხოვენ.

წალკის მუნიციპალიტეტის რამდენიმე სოფელი – დასეტყვა აგრეთვე სოფელი გუმბათი და ბეშთაშენის თემში შემავალი რამდენიმე სოფლის სასოფლო-სამეურნეო სავარგულები, განადგურდა ნათესები, ხეხილი და ბოსტნეული.

სეტყვის შედეგად მიყენებულ ზარალს გამგეობასთან არსებული კომისია გუშინ დილიდან სწავლობდა.

წალკის მუნიციპალიტეტის სოფლები ბოლო ერთი კვირის განმავლობაში უკვე მესამედ დაისეტყვა. ადგილობრივი მოსახლეობა სტიქიისგან მიყენებული ზარალის სახელმწიფოსგან ანაზღაურებას ითხოვს.

„ერთი კვირა პოლიეთილენის პარკის“ გარეშე!

თბილისის ზოოპარკში აქცია სახელწოდებით „ერთი კვირა პოლიეთილენის პარკის“ გარეშე გაიმართა. კამპანია გარემოსა და ბუნებრივი რესურსების დაცვის სამინისტროს, არასამთავრობო ორგანიზაციების „საგანმანათლებლო ინიციატივების ქართული ასოციაციის“ „განათლებისა და მართვის გუნდის“ ორგანიზებით ჩატარდა.

ღონისძიებას მინისტრი ხათუნა გოგალაძე დაესწრო.

როგორც „ინტერპრესნიუსს“ გარემოსა და ბუნებრივი დაცვის სამინისტროდან აცნობეს, აქციის მიზანი მოსახლეობის ცნობიერების ამაღლებაა იმის შესახებ თუ რა ზიანს აყენებს პოლიეთილენი გარემოს. ასევე იმის შესახებ, რომ საზოგადოებამ უარი უნდა თქვას პოლიეთილენის გამოყენებაზე და იზრუნოს მის ჩანაცვლებაზე.

უბედური შემთხვევა ქარხანაში

რუსთავის მეტალურგიულ ქარხანაში უბედური შემთხვევა მოხდა. საწარმოს ფოლადსადნობი საამქროს ოპერატორმა ნუკრი ქიმაძემ სამსახურში ყოფნისას ელექტროტრამვა მიიღო. ქიმაძე მეტალურგიული ქარხნის საავადმყოფოში გადაიყვანეს, თუმცა მისი გადარჩენა ვერ მოხერხდა.

უბედური შემთხვევის მიზეზს გამოძიება დაადგენს.

ინტერპრესი

რეკლამა გ. ახვლედიანის ქ. №19.
„საქართველოს რესპუბლიკაში“ 299-62-77; 568 82-09-84..

განცხადება აუქციონის ჩატარების შესახებ

სს „ელმავალმშენებელი“ 2014 წლის 18 ივნისიდან აცხადებს აუქციონს 400-ლიტრიანი ჟანგბადის ბალონების რეალიზაციის შესახებ.

ლოტი №1:

400-ლიტრიანი ჟანგბადის ბალონი (ტექნიკური მონაცემები: გამოსაცდელი წნევა – 300 ატმ; სამუშაო წნევა – 200 ატმ; ამჟამად სამუშაო წნევა დაწეულია 150 ატმ-მდე; წონა 803 კგ., გამოშვების წლები 1979-1981წწ.) – 48 ცალი.

ერთი ბალონის საწყისი სააუქციონო ფასი შეადგენს 1 000 აშშ დოლარს (ექვივალენტი ლარებში) დ.დ.გ.-ს გარეშე;

აუქციონში მონაწილეობის მიღება შეუძლია ყველა ფიზიკურ და იურიდიულ პირს.

აუქციონში მონაწილეობის მისაღებად ყველა მსურველმა უნდა გადაიხადოს „ბე“ (ლოტის ღირებულების 10%), რომელიც წაგების შემთხვევაში მონაწილეს დაუბრუნდება უკან.

გადახდა უნდა განხორციელდეს შემდეგ რეკვიზიტებზე:

USD-Account: Intermediary Bank: Citibank N.A., New York, USA; SWIFT: CITIUS33, Account With Institution: Bank of Georgia, SWIFT: BAGAGE22; 3, Pushkin Street, 0105 Tbilisi, Georgia, Beneficiary: JSC ELMAVALMSHENEBELI, Account: GE59BG0000000298256900.

GEL-Account: სააქციო საზოგადოება „საქართველოს ბანკი“ ბანკის კოდი: BAGAGE22, სს „ელმავალმშენებელი“, მიმღების ანგარიშის ნომერი GE59BG0000000298256900.

მყიდველი ვალდებულია, აუქციონის ჩატარებიდან 7 (შვიდი) კალენდარული დღის ვადაში გადაიხადოს მის მიერ აუქციონზე მოგებული საქონლის საბოლოო გასაყიდი მთლიანი ღირებულება, წინააღმდეგ შემთხვევაში მას არ მიეცემა საკუთრების უფლება საქონელზე და „ბე“ არ დაუბრუნდება.

ინფორმაცია აუქციონის ჩატარების შესახებ:

აუქციონში მონაწილეობის მსურველთა განცხადებები მიიღება ყოველდღე უქმი დღეების გარდა, 10-დან 15 საათამდე. (ქ.თბილისი გურამიშვილის გამზირი 84, ადმინისტრაციული შენობის II სართული, ოთახი №216).

აუქციონი გაიმართება 2014 წლის 01 ივლისს 12 საათზე შემდეგ მისამართზე: ქ.თბილისი გურამიშვილის გამზირი 84, ადმინისტრაციული შენობის III სართული.

აუქციონში მონაწილეობისათვის მსურველებმა უნდა წარმოადგინონ შემდეგი დოკუმენტები:

1. განცხადება აუქციონში მონაწილეობის შესახებ, ლოტის მითითებით, მონაწილეზე სრული ინფორმაციის გათვალისწინებით, მისამართის და საკონტაქტო ტელეფონის მითითებით.
2. „ბე“-ს გადახდის დამადასტურებელი საბანკო ქვითარი.
3. პირადობის მოწმობის ქსერო ასლი.
4. ნოტარიულად დამოწმებული მინდობილობა, თუ იგი მოქმედებს სხვისი სახელით.
5. იურიდიულმა პირებმა დამატებით წარმოადგინონ ამონაწერი სამეწარმეო რეესტრიდან.

გამარჯვებულის გამოვლენის კრიტერიუმები:

აუქციონში გამარჯვებულის გამოვლენის კრიტერიუმია ყველაზე მაღალი ფასის დასახელება (არანაკლებ საწყისი გასაყიდი ფასისა).

ინფორმაცია აუქციონის შესახებ შეიძლება მიიღოთ:

ვებ-გვერდი: www.glmf.ge; ტელ. 5 77 48 80 10, 5 93 922 802, 5 77 003 707.

სს „ელმავალმშენებელის“ მუდმივმოქმედი სააუქციონო და საკონკურსო კომისია.

განცხადება

თბილისის სამომხმარებლო კოოპერატივის წარმომადგენელთა კრების 2014 წლის 20 ივნისის დღის წესრიგს დაემატა საკითხები:

1. გამგეობის თავმჯდომარის არჩევნები;
2. გამგეობის შემადგენლობაში ცვლილებების შესახებ.

გამგეობა.

◎ ჩვენი კარაბადინი

ყველამ იცის, რომ მოწევას გამოუსწორებელი ზიანი მოაქვს. და ამ დროს ბევრი, სულ ერთია, აგრძელებს „მეგობრობას“ სიგარეტთან, ამართლებს თავის არჩევანს „რკინისებური“ დასკვნებით, რომლებიც ადასტურებენ, რომ მოწევა არც ისე მავნებელია, ზოგჯერ კი – სასარგებლოც კი.

ჩვენი ექსპერტია – მედიცინის მეცნიერებათა კანდიდატი ოლიკო სპირიდონაშვილი.

მითი №1

რომ მოწიო ჯანმრთელობისთვის ზიანის მიუყენებლად, უნდა მოწიო არა სიგარეტი არამედ ნარგილე (ესაა აღმოსავლეთის ქვეყნებში გავრცელებული თამბაქოს მოსაწევი მოწყობილობა: შედგება წყლის ჭურჭლის, ტყავის მილისა და ჩიბუხისაგან – რედ.).

სინამდვილეში. ჯანმრთელობის დაცვის მსოფლიო ორგანიზაციის აზრით, ნარგილეთი მოწევა არაფრითაა უკეთესი, ვიდრე მოწევა საერთოდ, ამიტომ არანაირად არ შეიძლება ითვლებოდეს იგი სიგარეტის, სიგარის ან ჩიბუხის გამოყენების უვნებელ ალტერნატივად. ბევრი გამოკვლევა ადასტურებს, რომ ეგზოტიკური გართობის თაყვანისმცემლებს ელოდებათ იგივე დაავადებანი, რაც ჩვეულებრივ მწეველებს.

საქმე თამბაქოა!

როგორ გავუმკლავდეთ დამოკიდებულებას

მითი №2

სიგარეტი გვეხმარება, დავიწყნაროთ ნერვები.

სინამდვილეში, ნიკოტინი – ეს მართლაც უნივერსალური ადაპტოგენია, რომელიც გვეხმარება, მოვახდინოთ ეფექტიანი ადაპტირება სხვადასხვა სიტუაციებთან. ამიტომ ბევრ ადამიანს აქვს თავისი თამბაქოსაგან დამოკიდებულების გამართლება. ზოგი ეწევა იმიტომ, რომ უკეთ დაიძინოს, სხვები – რომ ადრე გაიღვიძონ. ზოგი ამას აკეთებს იმისთვის, რომ გაიუმჯობესოს საკვების გადამუშავება, სხვებს სიგარეტი ეხმარება დაწყნარდეს, მოიხსნას დაძაბულობა და სტრესი. მაგრამ პრობლემა ისაა, რომ ადაპტოგენად ნიკოტინი მუშაობს მხოლოდ პირველ ხანებში. შემდეგ, როდესაც მისადმი შეჩვევა ხდება, ნიკოტინი ვერც ერთ ასეთ ამოცანას ვერ ართმევს თავს, არამედ მხოლოდ ვნებს ორგანიზმს. ასე რომ, ეს არის კიდევ ერთი საბაბი, დავემშვიდობოთ მოწევას.

მით უმეტეს, რომ არის გაცილებით მეტი ხელსაყრელი საშუალება ზემოთ ჩამოთვლილი ნებისმიერი პრობლემის გადაწყვეტისათვის.

მითი №3

სიგარეტი გვეხმარება, შევინარჩუნოთ ტანკენარობა.

სინამდვილეში, მთლად ასე როდია. მწეველების წონა არ იზრდება არა იმიტომ, რომ სხეულში – იდეალური ბალანსია, არამედ იმიტომ, რომ ორგანიზმი უბრალოდ მოწამლულია. მოწევა ხომ – სხვა არაფერია, თუ არა ქრონიკული ინტოქსიკაცია. კვამლთან ერთად ორგანიზმში შემოდის არა მხოლოდ ნიკოტინი, რომლის წვეთიც, როგორც ცნობილია, კლავს ცხენს არამედ 4000-მდე ტოქსიკური ნივთიერებაც, რომლებიც არ აძლევენ ადამიანს საშუალებას მოიმატონ წონაში. თანაც მოწევა აუარესებს ყნოსვას, ესეც კი ხელს არ უწყობს მადის გაჩენას. ამას გარდა, თამბაქო ხელს უშლის საკვების შეწოვას. შესაბამისად, საკვების მნიშვნელოვანი ნაწილი აუთვისებელი რჩება, უბრალოდ იკარგება. და ეს მხოლოდ მავნე ცხიმები კი არ არის, არამედ – სასარგებლო ვიტამინებიც და მინერალებიც. ასე რომ, წონა, შეიძლება, არც გვემატება, თუმცა ჯანმრთელობა ნამდვილად გვაკლდება. ნუთუ საჭიროა ასეთი ტანკენარობა?

მითი №4

იმათ, ვისაც არ შეუძლია, დაანებოს თავი მოწევას, უბრალოდ არ აქვთ ნებისყოფა.

სინამდვილეში ზოგიერთი მართლაც იოლად ახერხებს სიგარეტის მოწევისათვის თავის დანებებას, სხვებს კი დამოუკიდებლად ამის გაკეთება არ შეუძლიათ. ამასაც აქვს თავისი ახსნა. ადამიანის ორგანიზმში შეიძლება იყოს ეგრეთ წოდებული მოწევის გენი, რომელიც მჭიდროდ არის დაკავშირებული ნივთიერებათა ცვლის დარღვევებთან, პასუხისმგებელია განწყობილებისა და ქცევების რეგულაციისათვის. „თამბაქოს“ ეს გენი ხშირად გვხვდება იმ ადამიანებში, რომლებსაც აქვთ მიდრეკილება დეპრესიებისაკენ, ნერვული მოშლილობისაკენ, განგაშისკენ, ფსიქოლოგიური არასტაბილურობისაკენ. შემთხვევითი როდია, რომ მწეველთა შორის ასეთები 70 პროცენტს შეადგენს. იმასთან დაკავშირებით, რომ თამბაქოს მოწევა გენეტიკურად არის წინასწარ განსაზღვრული, მწეველი მშობლების შვილები გაზრდილი რისკის ზონაში იმყოფებიან. თანაც ნიკოტინისაგან დამოკიდებულების ყველაზე რთული, მკურნალობას ძნელად დაქვემდებარებული ფორმა – ფსიქოსომატიკური – უვლინდებათ სწორედ იმ ადამიანებს, რომლებიც იზრდებიან ოჯახებში, სადაც ორივე მშობელი, განსაკუთხებით დედები, ეწევიან, ორჯერ უფრო სახიფათოა, თუ ქალი ეწევა ფეხმძიმობის დროს.

მითი №5

მწეველებს ექიმის დახმარება არ სჭირდებათ.

სინამდვილეში ამ საქმეში დიდი მნიშვნელობა აქვს ერთობლივ მუშაობას როგორც მწეველისა, ვისაც სურს, თავი დააღწიოს ამ დამღუპველ ჩვევას ისე სპეციალისტისაც. მტანჯველი სწრაფვა თამბაქოსაკენ გრძელდება 2 კვირიდან ერთ თვემდე. ეს ყველაზე მძიმე პერიოდია. შემდეგ უფრო იოლი ხდება. დამოკიდებულებას თამბაქოსადმი მკურნალობენ ნარკოლოგები და ფსიქიატრები. ფსიქოლოგიური ზემოქმედების მეთოდი ბევრია, მათ შორისაა ჩაგონება, ჰიპნოზი, პირობით – რეფლექტორული თერაპია, რომელიც პაციენტისთვის უარყოფითი პირობითი რეფლექსის ჩამოყალიბებას ემყარება. მკურნალობის დროს ხშირად იყენებენ წამლებს: დამამშვიდებლებს, თამბაქოს კვამლისადმი ზიზღის გამომწვევებს, აგრეთვე ორგანიზმში ნიკოტინის მოქმედების იმიტაციის გამომწვევებს.

ყურადღება!

2014 წლის 20 ივნისს (პარასკევს), 15 საათზე გაიმართება საქართველოს ბიზნესის მეცნიერებათა აკადემიის მორიგი სხდომა, რომელზეც მოხსენებით გამოვა გეოლოგია-მინერალოგიის მეცნიერებათა დოქტორი, პროფესორი, საქართველოს ბიზნესის მეცნიერებათა აკადემიის ნამდვილი წევრი, აკადემიკოსი

ირაკლი მიძაძე

თემაზე: „საძართველოს ჰიდროსფერო და მისი რესურსები“.

სხდომა გაიმართება საქართველოს ჰუმანიტარულ-ეკონომიკური საბაკალავრო კოლეჯის საკონფერენციო დარბაზში (ალ. ყაზბეგის 47,VI სართული) დასწრება თავისუფალია.

აკადემიის პრეზიდიუმი

ვულოცავთ!

პატარა ანდრია – ოჯახის პირველი შვილიშვილი

შარშან, მარიამობას ჩვენს უახლოეს მეგობრებს **ჟუჟუნა ვაშაკიძესა** და **გელა ღლონტს** უფროსი ვაჟის გიორგის გაბედნიერება მივულოცეთ და ქართული წესისამებრ, ვაჟიანობა ვუსურვეთ. თითქოს, ღმერთმა გვისმინა, 15 ივნისს **გიორგი ღლონტისა** და **ნინო მესხის** ახლადშექმნილ ოჯახს პატარა **ანდრია** შეემატა, ჩვენი მეგობრები კი ბებია-ბაბუა გახდნენ. ვულოცავთ მათ პირველი შვილიშვილის შეძენას, ჯანმრთელი და ბედნიერი გაზრდილიყოს იგი საქართველოს სადიდებლად!

დიდი სიყვარულით,
ოთარ ტურაგელიძე, ვილენ მარდალეიშვილი, გია გაგრიჭიძე, გია პლატონიშვილი

◎ ცინცხალი ანეკდოტები

ორი ახალი რუსი ებრაელი შეხვდა ერთმანეთს.
– თქვენ 30 ათასი დოლარის სეხსებას მთხოვთ. მაგრამ რა გარანტია მაქვს, რომ ვალს დამიბრუნებთ?
– პატიოსანი კაცის სიტყვას გაძლევთ.
– კარგი, მაშინ ხვალ ათი საათისთვის ჩემს ოჯახში გელოდებით იმ კაცთან ერთად.

* * *

– აბრამ ოთხშაბათამდე 10 მანეთს ხომ არ მასესხებდით?
– ახლა მჭირდება მე ეს? ისედაც ცუდად მძინავს.

* * *

მთვრალმა მამაკაცმა მეტროში გვერდით მჯდომ გოგოს მხარზე ჩამოადო თავი.
– იქნებ ჩემზე დაწოლაც მოინდომოთ? – ამბობს ამრეზილი გოგო.
– იფ, ნახეთ, რა მოინდომა!

* * *

– თქვენი ერთი კილოგრამი პამიდორი ამ ჩემს პატარა პარკში ჩაეტევა? – ეკითხება ქალი ბაზარში გამყიდველს.
– ჩემი კილოგრამი ჩაეტევა.

* * *

– საქვარელო, დიდი ფულის შოვნა შეგვიძლია, – ეუბნება ქმარი ცოლს. – ცირკს სასწრაფოდ სჭირდება ნომერი – „სქესობრივი ცხოვრება არენაზე“...
– მაგრამ მაყურებელმა რომ ბისზე მოგვთხოვოს გამეორება? – ამბობს დაეჭვებული.

* * *

– ძორწილის შემდეგ სიდედრი მხოლოდ ერთხელ მესტუმრა.
– უჰ, შე ბედნიერო!
– მაგრამ მერე არ წასულა...

* * *

– ეძიმო, თავს ცუდად ვგრძნობ.
– აბა ერთი ეს ვინტი გადაყლაპეთ. რამეს გრძნობთ?
– დიახ, უფრო ცუდად ვგრძნობ თავს.
– თქვენ ვინტის მიმართ გაქვთ ალერგია.

* * *

– დედი, ჩვენ ძროხა გვყავს?
– არა, შვილო, საიდან მოიტანე?
– აბა, მამიკო რომ ეუბნება ჩვენს მოსამსახურე ქალს, შენ ჩემს ძროხაზე უკეთესი ფიგურა გაქვსო?

* * *

ანტონმა სამხედრო სამსახური მოიხადა. ცოლი სამხედრო ნაწილის კარებთან ელოდება. ორივე უზომოდ გახარებულია და იმ მიზნით, რომ დრო არ დაკარგონ, ახლომდებარე სასტუმროში ნომერს ქირაობენ. მთელი ღამე მგზნებარე სექსი ჰქონდათ და მხოლოდ გამთენიისას ჩაეძინათ.
უცებ რომელიღაც მთვრალი მდგმური ფეხების ბრახუნით ბრუნდება თავის ნომერში.
ანტონი წამოხტება და შეშინებული ეუბნება ცოლს:
– ადექი, შენი ქმარი მოვიდა!
– ნუ გეშინია, ის ჯერაც ჯარშია... ბუტბუტებს ბურანში მყოფი ქალი.

* * *

მედინსტიტუტში მიმდინარეობს ლექცია თემაზე „სექსუალური ანომალიები“.
– ცნობილია შემთხვევა, – ამბობს პროფესორი, – რომ ერთმა ქალმა ერთი სექსუალური აქტისას დაახლოებით ასი ათასჯერ განიცადა ორგაზმი.
– პროფესორო, გვითხარით, ვინ არის ის ქალი? – ისმის დარბაზიდან აღელვებული მამაკაცის ხმა.
– დაიკარგე იმ ქალიანად! – უყვირის დარბაზიდან ერთი ლამაზმანი – პროფესორო, გვითხარით, ვინ არის ის კაცი?

* * *

– მოიშა, ბედნიერი ხარ? – ეკითხება ერთი ებრაელი მეორეს.
– აბა, რა ვქნა?

◎ კადრი

ავტორთა საყურადღებოდ!
რედაქციის მიერ შეუკვეთავი მასალები დაიბეჭდება ავტორთა ხარჯით. ავტორთა მოსაზრებები, შესაძლოა, მუდამ არ ემთხვეოდეს რედაქციის პოზიციას. ფაქტების სიზუსტეზე პასუხს აგებენ ავტორები.

საქართველოს რესპუბლიკა
SAKARTVELOS RESPUBLIKA
გ. ახვლედიანის (ყოფილი პეროვსკაიას) ქ. 19
ინდექსი 66434

გამომცემლები:
შპს „თანადგომა-1-გაზეთ „საქართველოს რესპუბლიკის“ გამომცემელი“
ტ: 599 79-76-79)
შპს „ახალი საუკუნე“
იბეჭდება „კოლორში“
(რკინიგზის ჩიხი, № 20)

uac(უაკ)070.4(479.22)
ს-323
ISSN 2233-3851
9 772233 385001

მთავარი რედაქტორი
ალეკო ასლანიშვილი
299-62-77;
599 56-81-86

პასუხისმგებელი რედაქტორები:
გურამ გოგიაშვილი 599 53-76-16;
რუსლან რუსია 599 17-21-21;
სპარტაკ ძოგულია 599 36-00-35
პასუხისმგებელი მდივანი
მამუკა ვაშაკიძე 514 33-33-24